გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

№28 (784) 13 - 14 მარტი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

20 გვერდი 40 თეთრი

ბიძინა ივანიშვილი: „აქ რაღაც გაუგებარი თამაშია!“

აგრარული უნივერსიტეტის სტუდენტებზე მზრუნველი მარგველაშვილი და კახა ბენდუქიძის დაპირება გვ. 2

სერგეენკომ ჩიხრაძეს უფლებამოსილება შეუჩერა

„არ მინდა ეს დირექტორის პოსტი, რა... ეს არის ზედმეტი ეკადი!“ გვ. 7

სამართალი

სამი პოზიცია ვენეციის კომისიის დასკვნაზე გვ. 11

ბავშვების გასართობად მაშას და დათვის ერთი საათით გამოძახება მშობლებს 500 ლარი დაუჯდებათ!

რატომ აუკრძალა ბავშვთა გასართობი ცენტრის „მუტი-პუტის“ მფლობელმა სხვა ცენტრების მეპატრონეებს „მაშა და დათვის“ ესკიზის გამოყენება გვ. 12

იუვალ ფუქსი: „გაერო-ში პალესტინის მხარდამჭერი რეზოლუციებისთვის ხმის მიცემა კონსტრუქციული არ არის“

ექსკლუზიური ინტერვიუ საქართველოში ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან გვ. 13

ისტორიული რეალობის აღდგენის მოთხოვნა და ქართველ გმირთა განადგურებული საფლავები

გვ. 15

სოსო ჯაჭვლიანის სკანდალური განცხადება

გვ. 3

„ნაციონალი“ დამნაშავეების მკაცრ დასჯას მოვითხოვ, წინააღმდეგ შემთხვევაში „ქართულ ოცნებაში“ აღარ დავრჩები



როგორ აპირებს „დეიბორისტი“ გიორგი გუგავა „შუშის კოლბის რაინდისა“ და „მეშოკში მოფართხალე კატის“ დამარცხებას და რა ფაქტს იხსენებს ივანიშვილ-კუბლაშვილის ფინანსური ურთიერთობის შესახებ

გვ. 5

„ქეციანების საზოგადოებად რომ არ ვიქცეთ, ივანიშვილს პასუხი დღესვე უნდა მოვთხოვოთ!“

ზურაბ ჭიაბერაშვილი:

„მეც თუ მომთხოვთ დიპლომებს, აუცილებლად გამოგიგზავნით!“



„პროკურატურაში თუ დამიბარებენ, დავბრუნდები!“

გვ. 4

ბიძინა ივანიშვილი: „აქ რაღაც გაუგებარი თამაშია!“

ნელი თორდია
593-61-07-72

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის საბჭომ, 12 მარტს, დილის 5 საათზე, აგრარულ უნივერსიტეტს ავტორიზაცია შეუჩერა. მსჯელობა სტუდენტების საპროტესტო აქციის ფონზე მიმდინარეობდა, ხოლო გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ, ორგანიზატორებმა განაცხადეს, რომ აქციები პერმანენტულ სახეს მიიღებს.

აგრარული უნივერსიტეტის სტუდენტებზე მზრუნველი მარგველაშვილი და კახა ბენდუქიძის დაპირება

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ კახი ყურაშვილმა სტუდენტები დააიმედა, რომ სასწავლო პროცესი მომდევნო სემესტრის განმავლობაში ჩვეულ რეჟიმში გაგრძელდება. სასწავლებელს ექნება შესაძლებლობა, აღმოჩენილი ხარვეზები გამოასწოროს და ავტორიზაციის მიღების შესახებ ხელახალი განაცხადი წარადგინოს. თავმჯდომარის განცხადებას არ ეთანხმება აგრარული უნივერსიტეტის რექტორი **ლაშა გოცირიძე**, რომელიც „ვერსიასთან“ საუბარში აცხადებს, რომ ხარვეზების გამოსწორების თხოვნაზე საბჭოსგან უარი მიიღო:

„მე ვიყავი საბჭოს სხდომაზე და სანამ საბჭო გადაწყვეტილების გამოსატანად გავიდოდა, მივმართე მათ მოწოდებითა და თხოვნით, განესაზღვრა ჩვენთვის გონივრული ვადა ხარვეზების გამოსასწორებლად, მაგრამ, სამწუხაროდ, საბჭომ თავისი ფუნქცია არ გამოიყენა. როგორც ჩანს, პოლიტიკური გადაწყვეტილება უკვე მიღებული ჰქონდათ და საბჭო, ნაცვლად რეალური საფუძვლისა, მოქმედებდა პოლიტიკური მიმართულებით. აქედან გამომდინარე, მოტივი გასაგებია და ეს ყველაფერი უკავშირდება კახა ბენდუქიძის ფაქტორს“.

აგრარული უნივერსიტეტის ადმინისტრაცია აპირებს, კანონით გათვალისწინებული ყველა სამართლებრივი გზა გამოიყენოს ავტორიზაციის დასაბრუნებლად. გარკვეულ წრეებში სტუდენტთა შორის შესაძლო დაპირისპირების პროგნოზირებისა და საპროტესტო აქციების მიუხედავად, ლაშა გოცირიძე აცხადებს, რომ სასწავლო პროცესი ჩვეულებრივად მიმდინარეობს და უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომების მიღება საჭირო არაა:

„ვიწყებთ იურისტებთან კონსულტაციებს და ვაპირებთ, საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული ყველა სამართლებრივი გზა გამოვიყენოთ, რომ აგრარულ უნივერსიტეტს უსამართლოდ, რეალურ საფუძველსმოკლებული მიზეზებით და სამარცხვინოდ წართმეული ავტორიზაცია დავუბრუნოთ. რაც შეეხება უსაფრთხოების ზომების გამკაცრებასა და შესვლა-გამოსვლაზე კონტროლის გაძლიერებას, დაახლოებით, ერთი წელია, სტუდენტები უნივერსიტეტში თავიანთი ბარათებით შედიან და ამ მხრივ რაიმე ცვლილება არ მომხდარა. ჩემთვის სტუდენტებში არანაირი მხარეები არ არსებობს დ ცნობილია ერთადერთი მხარე — აგრარული უნივერსიტეტის სტუდენტები, რომლებსაც ახსოვთ, როგორი სწავლა მიმდინარეობდა აგრარულ უნივერსიტეტში 2010 წლამდე, როცა ხშირ შემთხვევაში არაკვალიფიციური ლექტორების მოსმენა უწევდათ და ზოგჯერ, ქრთამის მიცემაც კი. სტუდენტებმა ეს ცვლილება საკუთარ თავზე გამოსცადეს და ის პროტესტის გრძნობა, რაც მათი მხრიდან იქნა გამოხატული, იყო ბუნებრივი რეაქცია იმ უსამართლობის წინააღმდეგ, რაც უნივერსიტეტის მიმართ ხორციელდება“.

აგრარული უნივერსიტეტის მფლობელი **კახა ბენდუქიძე**, რომელსაც სტუდენტები ოვაციებით შეხვდნენ, ავტორიზაციის გაუქმებას სამარცხვინოს უწოდებს და სტუდენტებს ბრძოლის გაგრძელებისა და მეტი აქტიურობისკენ მოუწოდებს. ბენდუქიძის თქმით, უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციის გაუქმება მასთან ბრძოლის შედეგია და სამინისტრომ ერთ ადამიანთან ბრძოლას ორი ათასი სტუდენტი გადააყოლა. ბენდუქიძე მზადაა, საჭიროების შემთხვევაში, აგრარული უნივერსიტეტის სტუდენტები „თავისუფალი უნივერსიტეტის“ იგივე სპეციალობებზე გადაიყვანოს.

„ჩვენ ვიმუშავებთ იმისთვის, რომ აღვიდგინოთ ავტორიზაცია და ვიმუშავებთ იმისთვის, რომ მოვიპოვოთ ყველა ნებართვა, საჭიროების შემთხვევაში ყველა სტუდენტი გადავიდეს „თავისუფალ უნივერსიტეტში“, სადაც ფიზიკურად უფრო კარგად იქნებიან“, — აცხადებს ბენდუქიძე.

საქართველოს განათლების მინისტრი უნივერსიტეტის სტუდენტებთან შეხვედრაზე თავად მივიდა და განაცხადა, რომ უნივერსიტეტს ხარვეზების გამოსწორების ვადა 28 იანვრიდან ჰქონდა და არც მისი დაბრუნების პრობლემა არსებობს. სტუდენტთა უფლებების შელახვაში „ბრალდებული“ გიორგი მარგველაშვილი აგრარული უნივერსიტეტის ადმინისტრაციას კონტრბრალდებას უყენებს და სტუდენტთა კონსტიტუციური უფლებების შელახვაზე მიუთითებს.

„იმ ხალხს, ვინც პოლიტიკურ სპეკულაციას ეწევა, თითქოს ერთი წიგნის ან სახანძრო დაფის გამო შეიქმნა პრობლემა, შევახსენებთ, რომ დარღვეულია განათლების ხარისხის განვითარების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლი და საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 32-ე მუხლი, რაც გულისხმობს, რომ აგრარულ უნივერსიტეტს დადგენილი აქვს ფინანსური დავალიანების მქონე სტუდენტებისთვის სტატუსის შეწყვეტის შესაძლებლობა, რაც არალეგიტიმურია მოქმედ კანონმდებლობასთან. განსხვავება ისაა, რომ აგრარულში ფულის გადაუხდელობის შემთხვევაში, სტატუსის შეწყვეტის შემდეგ გამოცდები თავიდან უნდა ჩააბარო, ხოლო სახელმწიფოს მოქმედი კანონმდებლობით, სტუდენტებს ასეთ შემთხვევაში აქვთ 5 წლის განმავლობაში სტატუსის შეჩერების უფლება. დაუზუსტებელი ინფორმაციით, 2011 წლიდან სტატუსის შეჩერების ასეთი წესი შეეხო 609 სტუდენტს. ესაა მაგალითი ადამიანის და კერძოდ, სტუდენტის კონსტიტუციური უფლების შელახვისა. სხვათა შორის, იმ 2000 სტუდენტიდან, რომელიმეს ეს რომ დაემუქროს, რაც უნდა მომართონ ისინი ჩემს წინააღმდეგ პოლიტიკოსებმა, მე მაინც მათზე ვიზრუნებ და უზრუნველყოფ, რომ მათ ჰქონდეთ ბევრად კარგი შესაძლებლობები და ეს ცოტა ხანში გამოჩნდება“.

აგრარული უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციის შეჩერებასთან დაკავშირებით, **მიხეილ სააკაშვილმა** თავისი პოზიცია სოციალურ ქსელში დააფიქსირა. **„ხელისუფლება საქართველოს ყველაზე თანამედროვე და პროგრესული უნივერსიტეტის დახურვას ცდილობს. ამით დარტყმას აყენებს საქართველოს მომავალს. მოვუწოდებ მთავრობას, გადახედოს პოლიტიკურად მოტივირებულ გადაწყვეტილებას, რომელმაც, შესაძლოა, კატასტროფულ შედეგებამდე მიგვიყვანოს“.**

ასევე სოციალური ქსელით ეხმიანება აგრარული უნივერსიტეტის გარშემო განვითარებულ მოვლენებს ჯანმრთელობის პრობლემების გამო ბიულეტენზე მყოფი განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე **დავით ზურაბიშვილი**: **„მიუხედავად იმისა, რომ უკვე ორი კვირაა არ ვიმყოფები საქართველოში და ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვარ ბიულეტენზე, პასუხისმგებლობას მიმდინარე პროცესის მიმართ არ ვიხსნი. ლაპარაკი იმის შესახებ, რომ უნივერსიტეტი დახურეს, არის ტყუილი და არ შეესაბამება სინამდვილეს.**

კატეგორიულად გამოვრიცხავ, რომ საბოლოო გადაწყვეტილება აგრარული უნივერსიტეტის შესახებ მიღებულ იყო პოლიტიკური მოტივაციის საფუძველზე. ყველაფერი გაკეთდება მხოლოდ კანონის შესაბამისად“.

აგრარული უნივერსიტეტის საკითხზე კომენტარი გააკეთა ბიძინა ივანიშვილმაც, რომელმაც განაცხადა, რომ ავტორიზაციის შეჩერების საკითხი პოლიტიკურად ზედმეტად აწეულია. მისივე განცხადებით, აგრარულ უნივერსიტეტს ლიცენზია იმ შემთხვევაში აღუდგება, თუ კომისიის შენიშვნებზე რეაქციას მოახდენს.

„მე მგონია, რომ აქაც ღია კარის მტვრევაა. კომისიამ, რომელიც სააკაშვილის დროინდელი შემადგენლობით მოქმედებს, ჩაატარა ანალიზი და ამ ინსტიტუტთან დაკავშირებით შეკითხვები აქვს. ყველაფერი ძალიან მარტივია. მათ კომისიის შენიშვნებზე რეაქცია უნდა მოახდინონ და ლიცენზია აღუდგებათ. იქ არანაირი კითხვები არ არის და სტუდენტები არ ზარალდებიან. აქ რაღაც გაუგებარი თამაშია“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

რით დასრულდება აგრარული უნივერსიტეტის გარშემო განვითარებული მოვლენები და გაიზიარებს თუ არა აგრარულის ბედს რომელიმე სხვა სასწავლებელი, დრო გვაჩვენებს.

„ერისიონის“ ოფისთან აქცია — „ნუ უცეკვებ ოკუპანტს!“ გაიმართა

საზოგადოებრივი ორგანიზაცია „პატრიოტების“ ინიციატივით, რუსთაველის გამზირზე, ანსამბლ „ერისიონის“ ოფისთან აქცია გაიმართა.

ასამდე მოქალაქე და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელი რუსთაველის გამზირზე ანსამბლის კრემლში გამართულ კონცერტს აპროტესტებდა აქციით — „ნუ უცეკვებ ოკუპანტს!“ აქცია სოციალურ ქსელ „ფეისბუქზე“ წინასწარ დაანონსდა.

აქციის მონაწილეების მისვლისთანავე, „ერისიონის“ ოფისიდან ანსამბლის მხარდამჭერი რამდენიმე მოქალაქე გამოვიდა, რომლებმაც ჟესტიკულაციით გამოხატეს უკმაყოფილება აქციის მონაწილეების მიმართ. ამ ჟესტებმა აქციის მონაწილეების გაღიზიანება გამოიწვია და დაპირისპირების თავიდან აცილების მიზნით, „ერისიონის“ თაყვანისმცემლებსა და ანსამბლის მოსკოვური ტურნეს მოწინააღმდეგეებს შორის პოლიციელები ჩადგნენ. შემთხვევის ადგილზე რამდენიმე ათეული პოლიციელი იყო მობილიზებული. აქცია 19 საათისთვის დასრულდა.

„ვერსიანიუსი“

ვალერი შოშიაშვილი: „ხელისუფლების ზეწოლითა და მუქარით, ნაციონალურ მოძრაობას და ქდმ-ს ვაფინანსებდი“

ბიზნესმენ ვალერი შოშიაშვილის განცხადებით, 2008 წლიდან ხელისუფლების ზენოლით, ნაციონალური მოძრაობისა და ასევე ქდმ-ს დაფინანსებას ახორციელებდა. ამის შესახებ შოშიაშვილმა ადვოკატებთან — დიმიტრი გაბუნიასა და მამუკა მდინარაძესთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. მისი თქმით, ამგვარი გადარიცხვით მას, დაახლოებით, მილიონნახევარზე მეტი თანხა აქვს პარტიების დაფინანსებისთვის შეწირული, მათ შორის, 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდში იგი აიძულეს, ქდმ-სთვის 50 000 ლარად ღირებული საათერო დრო ეყიდა. ამის შემდეგ, როგორც ბიზნესმენი აცხადებს, 2011 წელს პროკურატურიდან დაუკავშირდნენ და ოჯახის წევრების დაჭერის მუქარით აიძულეს, ყვარლის რაიონის სოფელ გრემის კულტურის სახლი აუქციონზე შეეძინა.

„აუქციონზე კულტურის სახლი 700 000 ლარად უნდა შემეძინა, თუმცა მისი რეალური ფასი 8130 ლარს შეადგენდა. ამის შემდეგ, გაჭირვებით მოვიძიე ეს თანხა 30 000 ლარი და შევიძინე აუქციონზე მონაწილეობის ბილეთი. რამდენიმე თვის შემდეგ ჩემთან მოვიდა პირი, რომელიც ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილედ გამეცნო და აუქციონში გამარჯვების დოკუმენტი მომაწოდა“, — განაცხადა შოშიაშვილმა.

მისივე თქმით, ზეწოლას ახორციელებდნენ უშუალოდ პროკურატურის გამომძიებელი ბექა ბასილაია და პროკურორი ზაზა მალუძე, რომლებიც კვლავ პროკურატურაში მუშაობენ. ასევე, ბიზნესმენის თქმით, მასზე ზეწოლას აუდიტის წარმომადგენელი მამუკა ლაშხია და აუდიტის სამსახურის თანამშრომლები — ეთერ სახოკია და ნინო კახნიაშვილი ახორციელებდნენ. ისინი აუდიტის სამსახურში დღესაც მუშაობენ.

როგორც ბიზნესმენი აცხადებს, უშუალოდ შეწირული თანხებისა, მასთან მოჰქონდათ ნაღდი თანხა, რომელიც „ნაციონალებისთვის“ უნდა შეეწირა, რის გამოც დღეს შოშიაშვილის კომპანიას დავალიანება ერიცხება. როგორც ბიზნესმენი განმარტავს, ეს დავალიანება გამოწვეულია არა იმით, რომ იგი გადასახადებს პირნათლად არ იხდიდა, არამედ სწორედ იმ ნაღდი ფულით, რომელიც მასთან მოჰქონდათ, რათა პარტიის ანგარიშზე გადაერიცხა. ამ გზით შოშიაშვილის კომპანიას, დღეის მდგომარეობით, მილიონზე მეტი დავალიანება აქვს დაგროვილი.

„პირველი“

ვერსიანიუსი

შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების თანათავმჯდომარე-ელჩებს შეხვდა

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების თანათავმჯდომარე-ელჩებს: ფილიპ ლეფორს, ანთი თურუნენს და ანდრეი დიშიციას შინაგან საქმეთა სამინისტროში შეხვდა.

შეხვედრაზე ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების, ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ჯგუფის ფორმატების მიმდინარე საკითხები განიხილეს.

მინისტრმა შეხვედრაზე შეშფოთება გამოთქვა ოკუპირებული ცხინვალის რეგიონში რუსული საოკუპაციო ძალების მიერ ბოლო პერიოდში მავთულხლართების ინსტალაციის გააქტიურებულ პროცესთან დაკავშირებით და ელჩებს ამ საკითხით დაინტერესება სთხოვა.

ასევე განიხილეს ახალგორის რაიონში გაზის მიწოდებისა და წყლის სისტემის რეაბილიტაციის თემები. მინისტრმა შეხვედრაზე ხაზი გაუსვა ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების ფორმატის მნიშვნელობას. სტუმრებთან მან ასევე საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებიდან, ამნისტიის კანონის ფარგლებში, ეთნიკურად ოსი პატიმრების გათავისუფლების საკითხთან დაკავშირებითაც ისაუბრა.

„ვერსიანიუსი“

სოსო ჯაჭვლიანი: „ნაციონალი დამნაშავეების მკაცრ დასჯას მოვითხოვ, წინააღმდეგ შემთხვევაში „ქართულ ოცნებაში“ აღარ დავრჩები

რუსუდან შელია
557-100-768

საქართველოში დიმიტრი შაშკინის ჩამოსვლასა და ზურაბ ადეიშვილის უკვე დაანონსებულ დაბრუნებას „მიესალმება“, თუმცა ხელისუფლებისგან დამნაშავე ყოფილი მაღალჩინოსნების უპირობო დასჯას ითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი კოალიციის წევრებს გუნდის დატოვებით ემუქრება. რაში არ ეთანხმება „ქართულ ოცნებას“ და როგორ პასუხობს მმართველი გუნდი ნაციონალური მოძრაობის გამოწვევებს, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, გლდანის მაჟორიტარი დეპუტატი სოსო ჯაჭვლიანი საუბრობს.

— საქართველოში ზურაბ ადეიშვილის ჩამოსვლის შესახებ შუადღისას შევიტყვე, მაგრამ კარგი იქნებოდა, ეს ამბავი დილას გამეგო, ნაკლებს ვინერვიულებდი... იცით, ყოფილი მაღალჩინოსნების უცხოეთში გაქცევაზე რეაქცია რატომ არ გვქონდა? რეაგირების შემთხვევაში, პოლიტიკური დევნილის იარლიყს მიიკერებდნენ, რაც ნამდვილად არ გვაწყობს. შესაბამისად, ემოციებს რომ ავყვეთ და ელემენტარული შეცდომაც რომ დავუშვათ, სისხლისმსმელი „ნაციონალები“ გაგვეპარებიან და მერე, რამდენიც გინდა, უმტკიცე დემოკრატიული ღირებულებების მქონე ევროპას — არავის ვდევნით, დამნაშავეების დაკავებით მხოლოდ სამართლიანობის აღდგენას ვცდილობთო. პირადად მე, გაქცეული „ნაციონალების“ საქართველოში დაბრუნებას მივესალმები.

— რატომ, არ ფიქრობთ, რომ ქვეყნიდან გაქცეული ყოფილი მაღალჩინოსნების დაბრუნებით ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლების გამოწვევას ღიად ცდილობს?

— რა თქმა უნდა, „ნაციონალები“ ჩვენი გამოწვევით ხალხის გაგიჟებას ცდილობენ, ეს კარგად ვიცი. ზურაბ ადეიშვილი მარტო იმის გამო უნდა დაისაჯოს, რომ სახელმწიფო სტრუქტურა ვადამდე მიატოვა, საზღვარგარეთ გაიქცა და ევროპაში „გულაობს“, მაგრამ ნაციონალური მოძრაობის გადმოგდებულ ანკესსაც ვერ წამოვეგებით. არჩევნების შემდეგ სახალხო რეფერენდუმი რომ ჩაგვეტარებინა და მოსახლეობისთვის გვეკითხა — როგორ დავსაჯოთ „ნაციონალები“ — ასი გამოკითხულიდან, ასივე მათ ჩაქოლვას მოითხოვდა, თუმცა ჩვენ ძალადობის მომხრე ხელისუფლება არ ვართ.

— ამასობაში, პროკურატურა გახმაურებული საქმეების გამოძიებასაც აჭიანურებს, მათ შორის, ბუტა რობაქიძისა და ზურაბ ჟვანიას, ასევე 26 მაისის საქმეებს, რომლის მონაწილე თქვენც იყავით. თანაგუნდელების მიმართ კითხვა არ გიჩნდებათ, რატომ?

— კითხვასთან ერთად, პროტესტიც მიჩნდება, კარგად მესმის იმ ადამიანებისაც, რომლებიც გაჭიანურებული პროცესების გამო, უკმაყოფილებას გამოთქვამენ, თუმცა არავის დაავიწყდეს, რომ სასამართლო დღემდე „ნაციონალების“ ხელშია. სხვათა შორის, კობა დავითაშვილს ვეთანხმები და მეც ვფიქრობ, რომ სანამ სასამართლო სისტემა მთლიანად არ გათავისუფლდება, უპრიანი იქნება, გახმაურებული და ყოფილი მაღალჩინოსნების საქმის გამოძიება შევაჩეროთ. სვანეთში სისხლის აღება, იცით, როდის დაიწყო? როცა კანონი აღარ კანონობდა და ყველაფერს მხოლოდ ერთი პიროვნება წყვეტდა. არადა, როგორც წესი, ადამიანი ხშირად ცდება და შურისძიებით ანთებული, დაუნდობელიც კი ხდება. ასეთები იყვნენ „ნაციონალები“, რომლებმაც ქვეყანაში ყველა დამნაშავედ გამოაცხადეს, ჩვენ კი მათგან განვსხვავდებით.

1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ბიძინა ივანიშვილმა ხალხისთვის მიცემული ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დაპირება შეასრულა — სრულიად საქართველომ თავისუფლების გემო იგრძნო და წლების განმავლობაში, ტერორში მყოფმა მოსახლეობამ, შვებით ამოისუნთქა. რატომღაც დღეს ხალხს უნდა, ბავშვი ერთ თვეში გაჩნდეს, მაგრამ ბევრი არ ფიქრობს, რომ ნაადრევად გაჩენილი ნაყოფი არასრულფასოვანი იქნება. მოსახლეობის მოთხოვნის დაკმაყოფილებასა და „ნაციონალების“ ცემას მათ წინააღმდეგ დოკუმენტების წარმოდგენა არ სჯობს?

— სად არის ეს დოკუმენტები ან რა დრო დასჭირდება მათ გამოქვეყნებას, იცით?

— ყველამ კარგად იცის, რომ ზურაბ ჟვანია, რომელიც სახლიდან საღ-სალამათი გავიდა და რომელსაც უზარმაზარი დაცვა დაყვებოდა, ისე გარდაიცვალა, ვითომც არაფერი. ქვეყნის მეორე პირის მკვლელობაში დამნაშავე ადამიანების სახელი და გვარი ყველამ იცის, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ძველი ხელისუფლება, წლების განმავლობაში, ყველა მტკიცებულებას ანადგურებდა, ამიტომაც გართულდა გამოძიება და ახლა ისღა დაგვრჩენია, ნელა ვიჩქაროთ.

დიახ, ვიცი, რომ ხალხი გაღიზიანდება და გაბრაზდება, თუ გახმაურებულ საქმეებს არ გამოვიძიებთ, თანაც დაუსჯელობის სინდრომით შეიძლება, უარეს შედეგამდე მივიდეთ, მაგრამ ახლა სხვა გზა არ გვაქვს. იგივე პროტესტი მიჩნდება მეც, მაგრამ რა ვქნა, ჩუმად ვარ!

— რატომ და ვინ გაგაჩუმათ?

— იმიტომ, რომ ლუკა კურტანიძეს უბრალო რეპლიკა არ აპატიეს, „ნაციონალებს“ ცოცხლად გავატყავებდიო, როცა „ნაციონალები“ იგივეს აკეთებდნენ და ეს 26 მაისს თავად გადავიტანე. გეკითხებით, ადამიანების „დუბინკითა“ და ცოცხით გაუპატიურებას, ცოცხლად გატყავება არ სჯობს? მთელი საქართველო გააუპატიურეს და გააბახეს! სხვათა შორის, არავის ეგონოს, რომ თუ სასამართლომ ვინმე გირაოთი გაათავისუფლა, პროცესი ამით დასრულებულია — „ნაციონალებს“ ყველაფერი წინ აქვთ. ვაღიარებ, მეც მიჩნდება პროტესტი, რატომ არ ისჯებიან სისხლისმსმელები და ხელისუფლების სხვა ქმედებებიც გამაღიზიანებელია, რაზეც ახლა ვერ დავკონკრეტდები. არც „ნაციონალებთან“ ნაძალადევი კოჰაბიტაცია მომწონს, მაგრამ მოთმინების უნარს ჩემ თავში ვპოულობ და იგივეს მოვუწოდებ საზოგადოებასაც, რადგან ვიცი, შიგნით სხვა პროცესები მიმდინარეობს. ისეთი დეტალები იკვეთება, რომლის თქმასაც, ალბათ, თავისი დრო აქვს. ისეც ხდება ხოლმე, რომ სიმართლე თქვა, მაგრამ საქმე გააფუჭო, ამიტომ ხომ არ შეიძლება, ისეთი რაღაც დააბრალო ვიღაცას, რაც არ ჩაუდენია, მაგრამ ის ადამიანები, რომლებიც პურისა და ტელეფონის მოპარვისთვის ციხეში ბავშვებს აწამებდნენ, აუცილებლად უნდა დაისაჯონ.

დასასრული მე-7 გვერდზე

ლაშა თორდია პარტიათა დაჯარიმების საკითხის ლიბერალიზაციას ითხოვს

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უფროსი, ლაშა თორდია პოლიტიკურ პარტიათა დაჯარიმების საკითხის ლიბერალიზაციის წინადადებით გამოდის. როგორც თორდიამ ჟურნალისტებს განუცხადა, სწორედ აღნიშნულ საკითხს დააყენებს სასტუმრო „რედისონში“, პოლიტიკური პარტიების დაფინანსების საკითხზე მიმდინარე კონფერენციაზე:

„მე მაქვს წინადადება, ჯარიმების საკითხს გადავხედოთ. ის გარკვეული ოდენობით ან შევამციროთ, ან უკანონო შემოწირულობის განხორციელების პირველ ჯერზე მოხდეს პარტიების გაფრთხილება და მხოლოდ აღნიშნულის მეორედ გამეორების შემთხვევაში დაჯარიმდნენ პოლიტიკური სუბიექტები. ამ საკითხთან დაკავშირებით, ვაპირებ, კონფერენციაზე წინადადება დავაყენო“.

მისივე განმარტებით, კონფერენციაზე ასევე განხილული იქნება მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ კანონთან დაკავშირებული სხვა საკითხები:

„როგორც იცით, სახელმწიფო აუდიტის სამსახური პარტიების დაფინანსების მონიტორინგს ახორციელებს. დღეს იქნება დაყენებული პრობლემები, რომლებიც ჩვენს წინაშე დგას. პარლამენტარებთან ერთად გავივლით იმ საკითხებს, რომელიც საჭიროებს კანონმდებლობაში ცვლილებებს“.

საპარლამენტო უმცირესობის ერთ-ერთი ლიდერის, მიხეილ მაჭავარიანის განცხადებით კი, პოლიტიკური პარტიების დაფინანსების პროცესი ისე, როგორც ნებისმიერი სხვა პროცესი, დახვეწას საჭიროებს, რა კუთხითაც, იმედი აქვს, რომ ახალი ხელისუფლება წინა ხელისუფლებაზე გაცილებით ბევრს გააკეთებს.

„როგორც იცით, 2005 წლამდე პარტიები სახელმწიფო ბიუჯეტიდან არ ფინანსდებოდნენ და სწორედ ნაციონალურმა მოძრაობამ დაიწყო ეს პროცესი, რისი ერთ-ერთი ინიციატორი პირადად ვიყავი. იმედი მაქვს, ახალი მთავრობა უფრო მეტს გააკეთებს ამ კუთხით და არა უფრო ნაკლებს. მიმაჩნია, რომ პარტიები სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა ფინანსდებოდეს, რათა ნაკლებად იყვნენ დამოკიდებულნი სხვადასხვა ფინანსურ ჯგუფზე. წინა ხელისუფლებამ ამ მიმართულებით სწორი ნაბიჯები გადადგა და პარტიებს საკმაოდ სოლიდური დაფინანსება ჰქონდათ, მაგრამ როგორც ყველაფერი, ეს პროცესიც მოითხოვს შემდგომ სრულყოფას. კარგია, რომ ამ საკითხზე დისკუსია გაიხსნა. დაველოდებით, რას შემოგვთავაზებს ახალი მთავრობა“, — დასძინა მიხეილ მაჭავარიანმა.

„ინტერპრესნიუსი“

ვერსიანიუსი

რუსეთის პატრიარქი ალექსანდრე ანქვაბს შეხვდა

12 მარტს, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი კირილი მოსკოვში ვიზიტად მყოფ აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტს, ალექსანდრე ანქვაბს შეხვდა. ამის შესახებ რუსული მედია წერს.

მათივე ინფორმაციით, შეხვედრა რუსეთის პატრიარქის რეზიდენციაში შედგა. **„შეხვედრაზე განიხილეს აფხაზი და რუსი ხალხის სულიერი ურთიერთობები“,** — განუცხადა ჟურნალისტებს რუსეთის პატრიარქის პრესმდივანმა ალექსანდრე ვოლკოვმა.

12 მარტსვე ალექსანდრე ანქვაბი რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს შეხვდა.

„ინტერპრესნიუსი“

ციხეებიდან 42 ამნისტირებული პატიმარი გათავისუფლდა

11 მარტს „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 42 მსჯავრდებული გათავისუფლდა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროდან აცნობეს, 11 მარტის მონაცემებით, ამნისტიის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე არსებული პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დანესებულებები დატოვა 8 265-მა ბრალდებულმა/მსჯავრდებულმა, მათ შორის 175-მა პოლიტპატიმარმა, 352-მა მდედრობითი სქესის სრულწლოვანმა და 21-მა მამრობითი სქესის არასრულწლოვანმა მსჯავრდებულმა.

„ინტერპრესნიუსი“

შეიქმნება თუ არა ასლან აბაშიძის ქონების შემსწავლელი კომისია?

უფლებადამცველი თამაზ ბაკურიძე ხელისუფლებას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ყოფილი მეთაურის ასლან აბაშიძის ქონების შემსწავლელი კომისიის შექმნას სთხოვს.

როგორც თამაზ ბაკურიძემ ბათუმის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გამართულ ბრიფინგზე აღნიშნა, 2004 წლის რევოლუციის შემდეგ, ასლან აბაშიძის უძრავ-მოძრავი ქონების განკარგვაში მიხელ სააკაშვილის ხელისუფლების მაღალჩინოსნები მონაწილეობდნენ. ბაკურიძის თქმით, 10 მილიონ დოლარამდე ღირებულების ბრონირებული ჰამერები, მერსედესები, იარაღების კოლექცია და ხელოვნების ნიმუშები, სავარაუდოდ, ვანო მერაბიშვილმა, გიგი უგულავამ, ზურაბ ადეიშვილმა და ლევან ვარშალომიძემ გაინაწილეს.

„ახალ ხელისუფლებას ვთხოვ, შეიქმნას სპეციალური კომისია, რომელიც შეისწავლის, სად წავიდა ის ქონება, რომელიც ეკუთვნოდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ყოფილ მეთაურს, ასლან აბაშიძეს. 2004 წლის მაისში საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა აჭარის მოსახლეობას აბაშიძის უძრავ-მოძრავი ქონება ბათუმის სტადიონზე გამოუფინა. იქ იყო ძვირადღირებული ბრონირებული ჰამერები და მერსედესები. გარდა ამისა, აბაშიძის რეზიდენციაში იყო ხელოვნების უნიკალური ნამუშევრები. ასევე, აბაშიძის განკარგულებაში იყო იარაღის ძვირადღირებული კოლექცია. საერთო ჯამში, 10 მილიონ დოლარამდე ღირებულების ქონება. ვვარაუდობთ, რომ ეს ქონება გაინაწილეს სააკაშვილის ხელისუფლების მაღალჩინოსნებმა — ვანო მერაბიშვილმა, ზურაბ ადეიშვილმა, ლევან ვარშალომიძემ და გიგი უგულავამ. ვთვლი, რომ ისინი უნდა დაიკითხონ, რათა აღდგეს სამართლიანობა და ქონება დაუბრუნდეს სახელმწიფოს ან აჭარის მოსახლეობას“, — აღნიშნა თამაზ ბაკურიძემ.

მისივე თქმით, გიგი უგულავა იმ პერიოდში იყო უშიშროების მინისტრის მოადგილე და უშუალოდ კურირებდა რევოლუციის მერე აჭარაში არსებული ქონების გადანაწილებას.

ბაკურიძემ აღნიშნა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უნდა დაწესდეს საზოგადოებრივი კონტროლი, რადგან **„ვიცით, რა ქართული ხასიათის ბუნება და მენტალიტეტი, შეიძლება, ახალი ხელისუფლების წარმომადგენლებმა მემკვიდრეობით მიიღონ ეს ქონება ისე, რომ ვერც გავიგოთ, ამიტომ უნდა დაწესდეს საზოგადოებრივი კონტროლი“,** — აღნიშნა თამაზ ბაკურიძემ.

„ინტერპრესნიუსი“

გიორგი გაჩეჩილაძე: „შთაბეჭდილება მრჩება, რომ ნაციონალური მოძრაობისა და მისი მომხრეების კონიუნქტურაში ვართ დღემდე“

გიორგი გაჩეჩილაძის (უცნობი) განცხადებით, **„ვიღაც ადამიანი, პირობითად, უშიშროების საბჭოს მდივნის მეუღლე, „ფეისბუქის“ მეშვეობით რაღაც თემას წამოწევს, რომელიც მერე განხილვისა და დაპირისპირების საგანი ხდება“.**

ამის შესახებ გაჩეჩილაძემ „მაესტროს“ ეთერში გადაცემა „პოლიტმეტრში“ სტუმრობისას, ანსამბლ „ერისიონის“ რუსეთში გასტროლების შეფასებისას განაცხადა.

„მე ამ თემას ცოტა სხვა კუთხით მივუდგებოდი. აქ ვიყავი და ვუსმენდი ჯემალ ჭკუასელს და მე, პირადად, შემრცხვა იმისი, ბატონი ჯემალის თვალწინ ვარ გაზრდილი, დიდი ხანია, ამ ადამიანს ვიცნობ და ყველამ იცის, რომ ის ქართველებისთვის კოლორიტია თავისი შემოქმედებით, წარსულით, ისტორიით. შემრცხვა ამისი, რატომ უნდა უწევდეს ბატონ ჯემალს ვიღაცების ნათქვამზე თავის მართლების პოზიციაში ჩადგომა. და არა მარტო მას. ამ ბოლო დროს ხშირად ხდება. მე მგონია, რომ ვიღაც ადამიანი, დავარქვათ პირობითად უშიშროების საბჭოს მდივნის მეუღლე, რაღაც თემას „ფეისბუქის“ მეშვეობით წამოწევს, რომელსაც მერე ტელევიზიები წამოეკიდებიან, ეს თემა წავა განხილვისა და დაპირისპირების საგანი. საერთოდ, ვერ გავიგე ერთ რაღაც, აუცილებელია, ყველა თემა ასე იშიფრებოდეს? რამდენი თემა იწერება „ფეისბუქზე“, რამდენი ადამიანი საკუთარ აზრს წერს, შეიძლება, ეს ყველაფერი... იცით, რა შთაბეჭდილება მრჩება, რომ ნაციონალური მოძრაობის და მისი მომხრეების კონიუნქტურაში ვართ დღემდე თავის ტელევიზიებიან მედიასივრცეანად და იქიდან ვერ გამოვდივართ. რაღაცას წამოგვიგდებენ, წამოგვაგებენ ამაზე და მერე 4-5-8 დღე ამის განხილვა და დაპირისპირება მიდის“, — განაცხადა გაჩეჩილაძემ.

„პირველი“

ზურაბ ჭიაბერაშვილი: „მეც თუ მომთხოვთ დიპლომებს, აუცილებლად გამოგიგზავნით!“

ნინო კომახიძე
599-95-33-16



თბილისის ყოფილი მერი, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ყოფილი თავმჯდომარე, ჯანდაცვის ყოფილი მინისტრი, ამჟამად პრეზიდენტის მიერ დანიშნული გუბერნატორი კახეთში ზურაბ ჭიაბერაშვილი ბოლო დროს საკმაოდ გააქტიურდა, განსაკუთრებით მას მერე, რაც მთავარ პროკურატურაში, ვანო მერაბიშვილთან ერთად, დაკითხვაზე დაიბარეს. მართალია, ჭიაბერაშვილი სულ რაღაც 2 თვის ვადით მოგვევლინა „ნაციონალების“ ჯანდაცვის უწყებაში, მაგრამ, როგორც ჩანს, ძველ პოსტს ისე მოერგო, „ოცნების“ წინააღმდეგ ახლაც სამედიცინო თემით ილაშქრებს. „ვერსია“ გთავაზობთ ექსკლუზიურ ინტერვიუს ზურაბ ჭიაბერაშვილთან, რომელიც რამდენიმე პოლიტიკურ თემაზეც საუბრობს.

„პროკურატურაში თუ დამიბარებენ, დავბრუნდები!“

— სადაზღვევო ბაზარზე რამდენიმე კომპანია მოქმედებს და სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამებს ახორციელებს: „ალფა“, „აი სი ჯგუფი“, „არქიმედე“, „ალდაგი“, „ქართუ“ საჩხერეში, „ირაო“ და „ჯი პი აი“, თუმცა ამ 7-ის გარდა, კერძო სადაზღვევო ბაზარზე სხვა კომპანიებიცაა, მაგალითად, „პე ეს პე“, რომელიც აქამდე სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამაში არ მონაწილეობდა. კი ბატონო, ფარმაცევტულ სექტორში საქმე ცოტა უფრო რთულადაა, რადგან ბაზრის 80% მაინც ძირითად მოთამაშეებზე მოდის. მედიკამენტებზე ფასების კლება დაიწყო და თავად სერგეენკომაც აღიარა, რომ ეს პროცესი ახლაც მიმდინარეობს, თუმცა მოსახლეობას შეღავათი არ უგრძნია. ჩვენ არც ფარმაცევტულ ბაზარზე გვაქვს მონოპოლია — გვყავს „ავერსი“, „პე ეს პე“, „ჯი პი სი“, „ფარმადეპო“... ახლა გისახელებთ მსხვილ კომპანიებს, რომლებიც ბაზრის 80-85%-ს აკონტროლებენ. ასე რომ, მონოპოლიებზე ნუ ვისაუბრებთ.

— უკაცრავად, არის თუ არა პირდაპირი მონოპოლია კახა ოქრიაშვილის ფარმაცევტული კომპანია „პე ეს პე“, სახელმწიფო დაზღვევაში ჩართული სადაზღვევო კომპანია „პე ეს პე“ და საავადმყოფო „ნიუ ჰოსპიტალსი“?

— ეს ყბადაღებული თემაა: სადაზღვევომ ავადმყოფი თავის ჰოსპიტალში გაუშვა, იქ აყიდინა თავისივე ფარმაცევტული კომპანიის წამლები და ა.შ. ეს ძალიან მცირე ნაწილია დიდ ბაზარზე. შეიძლება, სისტემას, რომელიც დღეს მოქმედებს და ჯანდაცვის სამინისტრო ცვლის, რაღაც ნაკლოვანებები მართლაც ჰქონდეს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ პრინციპია არასწორი.

— აუხსენით მოქალაქეებს, რა პრინციპით ედება წამალს ფასი და თუ „ფარმადეპოს“ შეუძლია ფასის დაწევა, რატომ არ შეუძლია იგივე სხვასაც?

— თქვენ თვითონ ხომ თქვით ახლა, რომ ე.ი. შესაძლებელია ფასის დაწევა და ფასს სხვები არ წევენ? ახლა ელაპარაკებით ყოფილ მინისტრსა და ყოფილი მთავრობის წარმომადგენელს — კონკრეტული კომპანია იმის მიხედვით ადგენს ფასს, როგორც უღირს. აი, ფასები ყველგან „პე ეს პეს“ დონეზე რომ იყოს, მაშინ იქნებოდა თქვენი პრეტენზია სამართლიანი, მაგრამ სახელმწიფომ 2009 წელს პარალელური იმპორტის რეჟიმი დაუშვა, პატარა კომპანია „ფარმადეპოს“ კი ხელ-ფეხი გაეხსნა და ბევრი წამალი იაფად შემოიტანა. სულ იმაზე გვაკრიტიკებდნენ, ერთ კომპანიას უკეთებთ შეღავათს, მეორეს — არაო, სინამდვილეში, ზოგადად, კანონმდებლობა გვქონდა ისეთი, რომ წამალზე ფასის დაწევა ყველას შეეძლო. თუმცა ვამბობ, ეს საკმარისი არაა და რატომ აქვთ სხვებს მაღალი ფასები მედიკამენტებზე, მათ უნდა ჰკითხოთ.

— ეს საუბარიცა და კომპანიების ჩამონათვალიც მანიპულაციაა: სადაზღვევოებს არც ფასები აქვთ განსხვავებული, არც პაკეტები, არც მიდგომა — დაზღვეული პაციენტი ყოველთვის იმაზე უკან დგას, ვინც ნაღდ ფულს იხდის!

— ეს ყოვლად დაუშვებელია და მთავრობასა და ჯანდაცვის სამინისტროს უნდა მოვთხოვოთ, ამ თემას ყურადღება მიაქციოს!

— ბოდიში, თქვენ რამდენი წელი გქონდათ მოსათხოვად?

— ერთი რამ გაითვალისწინეთ: სახელმწიფომ შექმნა მედიაციის სამსახური და სულ უფრო მზარდი ხდება დავათა ის შემთხვევები, რომელიც ამ სამსახურმა პაციენტის სასარგებლოდ გადაწყვიტა. ნუ ვიდავებთ შეხედულებებზე, ფაქტებით ვისაუბროთ: არის თუ არა საკმარისი ის, რასაც ჩვენ მივაღწიეთ — არა!

— ფაქტებით ვისაუბროთ — რატომ ჩამოგიყვანეს მაინცდამაინც თქვენ შვეიცარიიდან და მოგცეს ჯანდაცვის მინისტრის პორტფელი?

— მერე, თქვენ რა პრეტენზია გაქვთ? ჯანდაცვის მინისტრის თანამდებობა პოლიტიკურია ისევე, როგორც იუსტიციის მინისტრის, მაგრამ ჯანდაცვის მინისტრზე კანონში არ წერია, რომ სამედიცინო ინსტიტუტის კურსდამთავრებულობა და დიპლომი მოეთხოვება სამედიცინო სფეროში. ჯანდაცვა, როგორც სხვა ყველა სფერო, პოლიტიკა და მენეჯმენტია, ჰოდა, ამ სფეროებში მეც თუ მომთხოვთ დიპლომებს, აუცილებლად გამოგიგზავნით! როცა ჯანდაცვაზე ვსაუბრობთ, მე ხომ არა დაავადებებზე, არამედ ჯანდაცვის ეკონომიკასა და იმაზე გესაუბრებით, როგორ მართოს სახელმწიფომ ყაირათიანად ფინანსები.

— დავიჯერო, ნაციონალურმა მოძრაობამ თქვენზე კარგი მენეჯერი ვერ იპოვა? იყო ვერსია, რომ არჩევნებამდე ორი თვით ადრე, გოგორიშვილ-მაჭავარიანთან ერთად, საარჩევნო ტექნოლოგიებისთვის ჩამოგიყვანათ.

— მაშინ ძალიან მარტივად გიპასუხებთ — ამაზე კომენტარს არ ვაკეთებ! საერთაშორისო საზოგადოებამ დაადასტურა, რომ არჩევნები თავისუფალ და სამართლიან რეჟიმში ჩატარდა. მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში არ არსებობს პრეცედენტი, სადაც გაყალბებულ არჩევნებში ოპოზიცია იმარჯვებს. უშეცდომო არავინაა და ჩვენც დავუშვით გარკვეული შეცდომები, ხალხმაც სწორედ ამის მიხედვით გააკეთა არჩევანი. თუნდაც, ჯანდაცვის სფერო ავიღოთ — 2004 წლიდან ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ რესურსები არ გვეყო.

— მარტო „100 საავადმყოფოს“ პროექტი გეყოფათ წამოსაძახებლად...

— შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ დღეს საქართველოში 150-მდე ან ახლადაშენებული, ან განახლებული სამედიცინო დაწესებულებაა, მაგრამ დიახ, ესეც არაა საკმარისი.

— ისე, როგორც ექსმინისტრი, პროკურატურამ სხვა თემაზე კი დაგიბარათ დასაკითხად და მას მერე იქ აღარ მიბრუნებულხართ?

— პროკურატურაში, თუ დამიბარებენ, დავბრუნდები! საკმაოდ დიდი შრომა გავწიეთ დასაქმების ბაზის შესაქმნელად. მოსახლეობის თითქმის ნახევარი აღვწერეთ და უმუშევრებისა და გადამზადების მსურველების აღწერას მთელი ქვეყნის მასშტაბით ვაპირებდით, მაგრამ ახალმა მთავრობამ უარი თქვა ბაზის დასრულებაზე და ეს საქმე გვერდზე გადადო. სწორედ ამიტომ დამიბარეს — აინტერესებდათ, რამდენად სწორად მიდიოდა ეს აღწერის პროგრამა, თუმცა ჩვენ არ გვაქვს არანაირი პრეტენზია, გავცეთ პასუხი ყველა კითხვას. უბრალოდ, როცა ქვეყანაში ნომერპირველი პრობლემა უმუშევრობაა, ამ ბაზის დასრულების ნაცვლად, ახალი მთავრობის მთელი ძალისხმევა იქითაა მიმართული, მარტო ამ საქმეზე 100-ობით ადამიანი დაიბარონ და დაკითხონ. მთავრობამ ჩვენს აქეთ-იქეთ ტარებას თავი უნდა დაანებოს და საქმეს მიხედოს! დღეს ყველა იმაზე საუბრობს, ვინ, რატომ და რამდენჯერ დაიბარეს პროკურატურაში და ამაში მთელი მედიაც ჩართულია, არადა, ხალხს სხვა რამე აწუხებს. მე, როგორც კახეთის გუბერნატორი, ხალხს ვხვდები, აშკარაა, რომ ადამიანებს გაცილებით მეტად სესხებზე პროცენტის დაწევა, დასაქმების, ხვნა-თესვისა და სხვა მსგავსი საკითხები აღელვებთ, თუმცა მთავრობას არც ამაზე აქვს განმარტებები და არც იმაზე, ხვალ ექნება, თუ არა!

— თქვენი წინამორბედი გიორგი ღვინიაშვილი ცოტა უდროოდ, ოქტომბერში ითხოვდა უფასო ხვნა-თესვას. თქვენც დაახლოებით ასე გამოგდით რამდენიმე საკითხზე, რისი გაკეთებაც ამ 9 წლის განმავლობაში ვერ მოასწარით და ახლა პასუხს „ოცნებას“ სთხოვთ.

— ჯერ ერთი, ეს მარტივი თემა არ არის: ის, ვინც ხორბალს თესავს, ნოემბერ-დეკემბერში მოხნულიც უნდა ჰქონოდა და დათესილიც, თუ კარგი მოსავლის მიღება გვინდა. ყველა იმ ადამიანს, ვისაც ვხვდები, ნებისმიერი, ჩვენი თუ ახლანდელი მთავრობისგან, გაკეთებული საქმეები აინტერესებს!

— პლუს, სამართლიანობის აღდგენა!

— რა თქმა უნდა, ყველაფერი კანონის ფარგლებში იყოს. მე კი ხალხი იმაზე მელაპარაკება, რაც აღელვებს!

— ახლა როგორც ცესკო-ს ყოფილ თავმჯდომარეს, ისე გკითხავთ — „ოცნება“ საარჩევნო კოდექსის შეცვლას აპირებს და თუკი ძველ შეცდომებზე ვსაუბრობთ, იყო თუ არა შეცდომა ივანიშვილისთვის კანონების მიძღვნა?

— თუ ვთანხმდებით, რომ 1 ოქტომბერს დემოკრატიული სამართლიანი და თავისუფალი არჩევნები ჩატარდა, ეს ამ კოდექსისა და იმ ცესკო-ს პირობებში მოხდა, რომელსაც ზურაბ ხარატიშვილი ხელმძღვანელობს! ამდენად, ოპონენტებს ამ სპეკულაციებში ვერ ავყვები. დეტალებში რომ არ წავიდეთ, შესაძლებელია, საარჩევნო კოდექსი კიდევ უფრო დაიხვეწოს ან ცესკო-ს ადმინისტრირება გახდეს კიდევ უფრო უკეთესი. თუმცა კოდექსში კონკრეტულად რაა შესაცვლელი, ამის თაობაზე ახლა ლაპარაკი არ შემიძლია, რადგან დღეს ეს ჩემი საქმიანობის სფერო არ არის.

— არც ჯანდაცვის მინისტრი ხართ, მაგრამ სულ ამაზე საუბრობთ ისევე, როგორც ესარჩლებით უგულავას, როგორც ყოფილი მერი...

— თუ ჩვენ იმაზე ვსაუბრობთ, რა გაკეთდა ამ ქალაქში, მაშინ ამას თქვენც კარგად უნდა ხედავდეთ: ჩვენ იქიდან დავიწყეთ, როცა ქალაქში ერთი შუქნიშანიც არ ინთებოდა. პოლიტიკური ოპონენტისთვის ჩირქის მოცხება მართებულად არ მიმაჩნია და დიახ, პროცესები, რაც უგულავას გარშემო მიმდინარეობს, პოლიტიკური დევნაა!

ვერსიანიუსი

ვაზიანის პოლიგონზე ქართულ-ამერიკული ერთობლივი სწავლება დაიწყო

ვაზიანის სამხედრო პოლიგონზე საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და აშშ-ს თავდაცვის დეპარტამენტის ერთობლივი სწავლება – Agile Spirit 2013 დაიწყო. როგორც „ინტერპრესნიუსს“ თავდაცვის სამინისტროდან აცნობეს, ერთობლივ წვრთნებში აშშ საზღვაო ქვეითთა კორპუსის 350 სამხედრო მოსამსახურე და საქართველოს შეიარაღებული ძალების მეორე ქვეითი ბრიგადის 23-ე ბატალიონი მონაწილეობს. თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, 23-ე ბატალიონი ის ქართული ქვედანაყოფია, რომელიც ავღანეთის უსაფრთხოების მხარდაჭერის საერთაშორისო მისიიდან უდანაკარგოდ დაბრუნდა საქართველოში.

„სამხედრო სწავლება Agile Spirit 2013 მესამე წელია პერმანენტულად ტარდება. ერთობლივი წვრთნა მიზნად ისახავს, სამხედრო დანაყოფებს შორის ურთიერთქმედების გაღრმავებას, რათა მათ დაეხმაროს ერთმანეთისთვის საკუთარი შესაძლებლობების და უნარების გაზიარებაში. ასევე, ამბოხებულთა საწინააღმდეგო და სამშვიდობო ოპერაციებში ურთიერთგაძლიერება და აშშ-სა და საქართველოს სამხედრო შეიარაღებულ ძალების ურთიერთთანამშრომლობის შენარჩუნებაა“, — აცხადებენ თავდაცვის სამინისტროში.

ერთთვიანი სწავლება სამ ეტაპად დაიგეგმა. სწავლების აქტიური ფაზა 18 მარტს დაიწყება და 29 მარტს დასრულდება. საცეცხლე მომზადების დროს, ქართველი და ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეები სხვადასხვა ტიპისა და კალიბრის ცეცხლსასროლი იარაღებიდან პრაქტიკული სროლის უნარ-ჩვევებს დახვეწენ. შემდეგ ეტაპზე ტაქტიკური წვრთნებია დაგეგმილი. ტაქტიკური მომზადების დროს, სამხედროები შეისწავლიან ყველა იმ ამოცანას, რომელსაც ISAF-ის მისიის დროს ჯარისკაცები ავღანეთში ასრულებენ. სწავლების რეალობასთან მაქსიმალურად მიახლოებისთვის, პირობით სცენარში მონაწილეობას მიიღებს მსახიობთა ჯგუფიც, რომელიც თეატრალური უნივერსიტეტის სტუდენტთა შორის შეირჩევა.

„სწავლება მაქსიმალურად გახსნილი იქნება მედიასაშუალებებისთვის. საზოგადოებას დეტალური ინფორმაცია მიეწოდება ქართულ-ამერიკული წვრთნის შესახებ. პირველად საქართველოს ისტორიაში, ამ სწავლებაში მონაწილეობას მიიღებენ ქართული მედიასაშუალებების წარმომადგენლები, რომლებიც სპეციალურ მომზადებას გაივლიან ავღანეთში ISAF-ის მისიის გასაშუქებლად. კორესპონდენტები უსაფრთხოების მექანიზმებს შეისწავლიან და დეტალურად გაეცნობიან, რას წარმოადგენს თითოეული ის ტაქტიკური ამოცანა, რასაც ISAF-ის მისიაში მონაწილე პერსონალი ავღანეთში ასრულებს“, — აღნიშნავენ თავდაცვის სამინისტროში.

„ინტერპრესნიუსი“

„ქეციანების საზოგადოებად რომ არ ვიქცეთ, ივანიშვილს პასუხი დღესვე უნდა მოვთხოვოთ!“

ნინო კომახიძე
599-95-33-16



როგორ აპირებს „ლეიბორისტი“ გიორგი გუგავა „შუშის კოლბის რაინდისა“ და „მეშოკში მოფართხალე კატის“ დამარცხებას და რა ფაქტს იხსენებს ივანიშვილ-კუბლაშვილის ფინანსური ურთიერთობის შესახებ

შალვა ნათელაშვილი საერთაშორისო დემოკრატიულ საზოგადოებას მიმართავს, გაერო-ს საქართველოში ახალი რეჟიმის ჩახშობას სთხოვს, რომელსაც „დოლარ-დიქტატორულს“ უწოდებს და მთავარ საფრთხედ საპრეზიდენტო არჩევნებზე ხალხისთვის ხმის უფლების წართმევა მიაჩნია. „ორ ფულიან მონსტრს“ შორის მოქცეული „ლეიბორისტები“ კიდევ უფრო მეტ აქტიურობას აანონსებენ. როგორც „ვერსიას“ გიორგი გუგავა არწმუნებს, ყოფილი თანაგუნდელების გადინება პარტიისთვის ჩავლილი მატარებელია და სულ მალე, შუალედურ არჩევნებშიც მიიღებენ მონაწილეობას. „ლეიბორისტი“ გიორგი გუგავა ამხელს ივანიშვილისა და სააკაშვილის „პოლიტიკურ ქორწილს“, პრემიერს „შუშის კოლბის რაინდს უწოდებს,“ პრეზიდენტს „მეშოკში მოფართხალე კატას“, ამ ორ ხელისუფალს კი ჰპირდება, რომ მათგან კარგი დღე არ დაადგება.

— 1 ოქტომბრის შემდეგ არც ერთი დაპირება არ შესრულებულა. „ოცნებამ“ „ნაციონალების“ ტრადიცია გააგრძელა და ამ მცირე დროში, კოლოსალური თანხა გაფლანგა სამინისტროების მივლინებებსა და პრემიებში, პარლამენტის წევრებისთვის პრემიების დარიგებაში, ახალ „ჯიპომანიებში“. საუბარი 100 მილიონ ლარზეა, ეს თანხა კი საკმარისი იქნებოდა, ნაცვლად 5-ლარიანი სადაზღვევო ბლეფისა, ყველა რეგიონში ერთი უფასო საავადმყოფო გახსნილიყო. ეს თემა კარგად მაქვს შესწავლილი და ვიცი, ეს დაზღვევა გათვლილია მხოლოდ წნევის გაზომვაზე, შესაძლოა, ფონეიდოსკოპის გამოყენებაზეც. მასში არ შედის მედიკამენტები, გადაუდებელი ოპერაციები, მკურნალობა. მოკლედ, ეს ქაღალდი, ჯანდაცვის გარდა, ყველაფრისთვის შეიძლება გამოიყენო. ჰოდა, რა განსხვავებაა ძველ და ახალ ხელისუფლებას შორის — „მეოცნებეები“ „იგულავებენ“ ხალხის ხარჯზე თუ „ნაცები“, შედეგობრივად, ხალხისთვის ერთი და იგივეა! თუ ეს მადა და ვნებანი დროულად არ დაიოკეს და ტენდენციად ექცათ, ნამდვილად ცუდი დღე დაგვადგება!

— თქვენი ტონი და რიტორიკა „ნაციონალებისას“ ემთხვევა — ეს ბრალდება არახალია და არ შიშობთ, ისევ რომ გითხრან, ივანიშვილს ძირს დაკვეთით უთხრითო?

— ავყიები ყველაფერს იტყვიან და პარტია ამას შეჩვეულიცაა! როცა „ნაციონალებს“ ვაკრიტიკებდით, შევარდნაძესთან ალიანსი გვბრალდებოდა, მერე რუსეთის აგენტობა დაგვბრალდა და სისხლის სამართლის საქმეც აღგვიძრეს. თურმე, სულ ვიღაცის დაკვეთას ვასრულებდით, მაგრამ საბოლოოდ, სულ სიმართლეს ვამბობდით, არა?! რეალობა რაც არის, ამასაც დაკვეთა სჭირდება? სიმართლე არ ვთქვათ იმის შიშით, ვიღაცამ ვიღაცის დაკვეთების შესრულება არ დაგვაბრალოს? თუ ვინმე გულს იმით იფხანს, მომავალში ბედნიერ და ნაოცნებარ ქვეყანაში იცხოვრებს, გავაფრთხილებ დიდი ილიას სიტყვებით, რომ ფხანა ქეცმა იცის.

ჰოდა, ქეციანების საზოგადოებად რომ არ ვიქცეთ, ივანიშვილს პასუხი დღესვე უნდა მოვთხოვოთ, თორემ ხვალ გვიან იქნება და „ოცნებაც“ ისეთივე მონსტრად იქცევა, როგორიც ნაციონალური მოძრაობაა. „ოცნება“ „ნაცების“ კრიტიკის ხარჯზე არ მოვიდა ხელისუფლებაში?! და რას აკეთებს სხვანაირად — ჯერ ერთი, დაკავებულია ძალაუფლების განმტკიცებით, გაფართოებით და სრული დიქტატის დამყარება სურს ყველა იმ ინსტიტუტზე, რომელიც, სხვათა შორის, სახელისუფლებო გავლენას არც უნდა ექვემდებარებოდეს. თუ სააკაშვილის დროს გვქონდა ტოტალიტარული მმართველობა, ახლა ერთპიროვნული ოლიგარქიული დიქტატურა მყარდება!

ავიღოთ ის საკონსტიტუციო ცვლილებები, რომლითაც ივანიშვილს სურს, სააკაშვილის ძალაუფლება საკუთარ თავზე გადმოიწეროს. ამ კაცს შეუძლია, მთლიანად იყიდოს პოლიტიკური სუბიექტები, პარლამენტის წევრების ჩათვლით — ისინიც თხებივით იყიდებიან და ახალ პატრონს ბარდებიან, ივანიშვილი კი ადგება და პარლამენტის წევრებს პრეზიდენტს დაანიშნინებს!

— მაგრამ ივანიშვილმა თავად განაცხადა, რომ პრეზიდენტის არაპირდაპირი წესით არჩევას არ ემხრობა.

— რას ამბობთ, მართლა? ივანიშვილი ყოველკვირა ცვლის თავის გადაწყვეტილებას, გაიხსენეთ, წინა კვირას ამის საპირისპირო განცხადება მოვისმინეთ, ერთი კვირის შემდეგ სხვა განცხადებას მოვისმენთ და ეს გასაკვირი არ უნდა იყოს, ამას ნელ-ნელა შევეჩვევით.

— თქვენ უკვე შეეჩვიეთ?

— მშვენივრად ვიცოდით და ეს ჩვენთვის შოკისმომგვრელი აღარაა. 2004 წელს, როცა საკონსტიტუციო ცვლილებები შედიოდა ძალაში, რომელსაც „მეოცნებეების“ დიდი ნაწილიც ეთანხმებოდა, მაშინ ამბობდნენ, გვჭირდება ძლიერი პრეზიდენტის ინსტიტუტი, ტერიტორიებია აღსადგენი, რეფორმებია გასატარებელი, ამ კაცმა უნდა აგვაშენოს და დაგვამშვენოსო, ჰოდა, ხომ დამშვენდნენ? ახლაც, ფული უნდა ამ საქმეს, თორემ გამოჩნდებიან ძალები, რომლებიც სიხარულით იტყვიან, ბიძინა ივანიშვილი გამოვაცხადოთ სუვერანად, ჩვენი ოცნებების ასასრულებლად მისი პერსონის კორონაციაა საჭირო და ასე მივიღებთ შუშის კოლბის რაინდს, ეს გვინდა?!

— ამას ხალხის იმ უმრავლესობას ეკითხებით, ვინც „ოცნებას“ მისცა ხმა?

— ხალხმა ხმა მისცა „ნაციონალების წასვლას“, სამართლიანობის აღდგენას, სოციალური მდგომარეობის გამოსწორებას. ამ დროს, არც არაფერი შესრულებულა და არც „ნაციონალები“ წასულან — მეტიც, ივანიშვილი ურცხვად შეხვდა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს და ჩაეხუტა! ნუ დაგვავიწყდება მათი ძველი ურთიერთობა

გახსოვთ, არსებობდა სპეციალური ფონდი, რომელიც პარლამენტისა და მთავრობის წევრებს ხელფასს უხდიდა. ამ ფონდს ივანიშვილი და სოროსი ერთად აფინანსებდნენ და იცით, ვინ იყო ამ ფონდის ხელმძღვანელი — კოტე კუბლაშვილი, ამიტომ მას და ივანიშვილს ძველი ფინანსური ურთიერთობები აქვთ! ე.ი. ივანიშვილი, ერთი მხრივ, გვეუბნება, რომ ქვეყანაში რეჟიმი იყო გამეფებული, მეორე მხრივ, თურმე, სასამართლოში გატარებულმა რეფორმებმა მისი დამოუკიდებლობა უზრუნველყო. ბოდიში, სასამართლო დამოუკიდებელი თუ იყო, ის 200 პოლიტპატიმარი ციხეში მე ჩავსვი? ან ერთში ტყუის, ან მეორეში, ან ლოგიკური დასკვნები ვერ გამოგაქვს!

მაჩვენეთ, ერთი რიგითი „ობივატელი“ მაინც, რომელსაც „ნაციონალებმა“ ქონება წაართვეს და ივანიშვილმა უკან დაუბრუნა? ან სამსახურიდან გაგდებული აღადგინა ვინმე? ნეპოტიზმი ნეპოტიზმია — მოვიდა ივანიშვილი და საკუთარი ხალხით გადააკომპლექტა ბიზნესიც, ადმინისტრაციებიც.

კეზერაშვილი იქნება თუ ხუხაშვილი ნავთობზე ფასის დამწესებელი, ჩემთვის რა მნიშვნელობა აქვს, როცა საწვავს ვასხამ?! პიქსელის შენობაში კეზერაშვილი იჯდება თუ ხუხაშვილი და ის გადაანაწილებს ბიზნესმიმართულებას, ჩემთვის შედეგობრივად რა იცვლება? ამას რომ ვამბობ და ეს რომ სიმართლეა, აუცილებლად ვიღაცის დაკვეთას უნდა ვასრულებდე?

სამართლიანობის აღდგენა რაში გამოიხატება, კაცო, შენ რომ დაიბრუნებ ქონებას, ბიზნესს, სხვას წაართმევ და ახლა შენ გახდები ახალი მონსტრი? სად არის დაპირებული ჯანდაცვა?

— ივნისიდან ამოქმედდება უკეთესი პაკეტიო, აცხადებს მინისტრი სერგეენკო.

— ჯერ ხომ თებერვალში შემისრულეს, რასაც დამპირდნენ და ახლა ივნისს ველოდო? ასე კვებავდა ხალხს იმედით კომუნისტური პარტია — მაცადეთ, ერთი ხუთწლედის ჩატარება და მერე აღმოვჩნდებით სანეტარო ქვეყანაშიო. დაახლოებით იგივეა, ყვარყვარე რომ ამბობს, ოქროს სარაიას აგიშენებ, ჩემსას რომ მოვრჩები მერეო! ვრცელდება ინფორმაცია, რომ მარტო ქუთაისში ვერ ატარებენ დროს ჩვენი რჩეული პარლამენტარები, ქობულეთში დადიან, ჭყონიას ხუთვარსკვლავიან სასტუმროში და იქ ნებივრობენ, სხდომებს შორის შუალედებში! ნუ, ბუსუსებიანი პრეზერვატივის საკითხის სიღრმისეულად განხილვის მერე, ასეთი შრომატევადი სამუშაოს გამწევებს დასვენება სჭირდებათ და ამისთვის მიაშურებენ ხოლმე ჭყონიას სასტუმროს. ან ამას მას მერე აკეთებენ, რაც პარლამენტის სხდომაზე სიღრმისეულად განიხილავენ, რა ფორმით იარონ — კინტოს ფორმით, ჩიხტიკოპით, ყაბალახით თუ ჩოხით. ახლა, ამდენი ჯაფისა და ოფლისღვრის მერე, რასაკვირველია, რელაქსაცია სჭირდებათ. ქობულეთშიც საქმიანად ხვდებიან ერთმანეთს, აბა, უსაქმურად ხომ არ იქნებიან? მათი აზროვნების მასშტაბებს პარლამენტის ფოიე და დარბაზები ხომ ვერ იტევს?! თავში ქვა იხალონ, უნდათ, „იკოჰაბიტაციონ“, უნდათ, დაქორწინდნენ, ოღონდ ხალხის სასეიროდ ჩხუბს თავი დაანებონ! სად არის დაპირებული ტრაქტორები, აქაოდა, გემებია დატვირთული და საქართველოსკენ ტრაქტორები მთელი მსოფლიოდან მოეშურებაო? სად არის შეღავათიანი კრედიტი?!

— ამდენი რამ გქონიათ გასაპროტესტებელი და თქვენი დაპირებული აქტიურობა სადღაა?

— ეს ჩემი პროტესტი კი არა, ხალხის ხმაა! აქ ერთი პრობლემაცაა — ეს ორი ძალა ამ ე.წ. დაპირისპირებით სატელევიზიო სივრცეს იკავებს და ხალხს ართობს. საქმე დაახლოებით ისეა, როგორც მეცხვარე ართობდა ცხვარს ცუდ ამინდებში, როცა კატას ჩამოუკიდებდა „მეშოკით“ და მშიერ ცხვარს ყურადღება კატის ფართხალზე გადაჰქონდა. ესენი ხალხს უყურებენ, როგორც ცხვარს. „ოცნებასა“ და „ნაციონალებს“ კი „მეშოკში მოფართხალე კატის“ ფუნქცია აქვთ, რათა საზოგადოების ინტერესი სხვა თემაზე გადაიტანონ.

— და თქვენი როლი რა არის ამ სიტუაციაში?

— ასე მარტივად ხომ არაა საქმე, ამ დაკეტილ სივრცეს გარღვევა სჭირდება. ორი მხრიდან ფულიანი მონსტრია, სახელმწიფო ვერტიკალითა და ადმინისტრაციული რესურსით!

— თქვენ კი ადამიანური რესურსითაც გაკოტრებული პარტია ხართ — როგორც ნათელაშვილმა თქვა, თქვენმა ყოფილა წევრებმა ზნეობის ზღვარი გადალახეს!

— როგორ გეკადრებათ, პარტია ისევ მოფუსფუსეა! ის, რაზეც საუბრობთ, პარტიისთვის უკვე ჩავლილი მატარებელია, გვყავს ახალი ძალები, გვაქვს ახალი პერსპექტივები. დიდ ფილოსოფოსს უთქვამს — ხმა ამოიღე, რომ დაგინახოო. ასე არიან ჩვენი ყოფილი წევრებიც და როცა ხმას ამოიღებენ, ამის მიხედვით იოლად მივხვდებით, სად წავიდნენ და ვისთან. წესით, არც იმის თქმა უნდა გაუჭირდეთ, რას აპირებენ მომავალში!

— თქვენ რას აპირებთ შუალედურ არჩევნებზე?

— შუალედურ არჩევნებში მონაწილეობას აუცილებლად მივიღებთ! პარტია უკვე დარეგისტრირებულია — ჯერ კანდიდატებზე არ ვართ ჩამოყალიბებულნი, შესაძლოა, კენჭი მეც ვიყარო და შალვა ნათელაშვილმაც. ჩვენ გამოვიყენებთ ამ ტრიბუნას ამ ერთი ცნობიერების მქონე ორი ძალის წინააღმდეგ, რომელიც ხალხის ფულს ძველებურად ამღერებს და აფანდურებს! ჩვენი მოქმედებები პოლიტიკური ამინდის თანმდევი იქნება, ყოველდღიურად გავძლიერდებით, სულ მალე ჩვენი პოზიციებიც უფრო მკვეთრი, მძაფრი და ფართომასშტაბიანი გახდება. ასე რომ, კარგი დღე ჩვენგან არც „ნაციონალებს“ ელის, არც ხელისუფლებას და ამის შესახებ, შეუძლიათ, თქვენს გაზეთში წაიკითხონ!

ვერსიანიუსი

თამარ ბერუჩაშვილი საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილედ ინიშნება

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე თამარ ბერუჩაშვილი საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილედ ინიშნება.

„პირველის“ ინფორმაციით, საგარეო საქმეთა სამინისტროში თამარ ბერუჩაშვილს კაბინეტი უკვე გამოუყვეს, თუმცა მისი დანიშვნის ბრძანება ჯერ ხელმოწერილი არ არის.

აღსანიშნავია, რომ საგარეო პოლიტიკურ უწყებაში მოადგილეს, მინისტრის წარდგინებით, საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებით, თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. ცნობისთვის, თამარ ბერუჩაშვილი სახელმწიფო მართვის მაგისტრია საერთაშორისო ურთიერთობების დარგში, ქიმიურ მეცნიერებათა მაგისტრი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი. მან დაამთავრა მოსკოვის საერთაშორისო უნივერსიტეტი ფრანგული ენის სპეციალობით, ქიმიის ფაკულტეტი ბაკალავრისა და მაგისტრის წოდებით, ამერიკის ინდიანას უნივერსიტეტი, ასევე, მაგისტრის წოდებით საერთაშორისო ურთიერთობების დარგში. თამარ ბერუჩაშვილი სხვადასხვა დროს იყო საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ევროინტეგრაციის საკითხებში, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა მინისტრი, ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების მინისტრის მოადგილე. წინა მთავრობაში ბერუჩაშვილი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის, გიორგი ბარამიძის მრჩეველი იყო, ამ დრომდე კი ალექსი პეტრიაშვილის მოადგილეა.

„პირველი“

„იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობა აუცილებლად შეიცვლება!“

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობა აუცილებლად შეიცვლება და ძალიან მოკლე დროში გვეყოლება საბჭოს აბსოლუტურად ახალი შემადგენლობა, — განაცხადა საქართველოს იუსტიციის მინისტრმა, თეა წულუკიანმა და დასძინა: **„ვენეციის კომისიამ ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი რამ თქვა, აღნიშნა, რომ რეფორმას, რომლის ავტორია იუსტიციის სამინისტრო, მოსდევს პროგრესი და ის ჩვენს მართლმსაჯულებას აახლოებს ევროპულ სტანდარტებთან, ამიტომ ბუნებრივია, მთავრობა კმაყოფილია. რაც შეეხება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობას, მისი ცვლილება აუცილებლად მოხდება, ამას ეთანხმება ვენეციის კომისია და რომც არ ეთანხმებოდეს, იუსტიციის უმაღლესი საბჭო საჭიროებს ცვლილებას. ვენეციის კომისია ეთანხმება იმას, რომ პრეზიდენტს აღარ ჰყავდეს იქ წევრები, რომ დეპუტატები აღარ იყვნენ იუსტიციის საბჭოში და ეთანხმება იმასაც, რომ არ შეიძლება, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მოსამართლეთა კორპუსს წარმოადგენდეს მხოლოდ და მხოლოდ თავმჯდომარეები, გამომდინარე იქიდან, რომ რვა მოსამართლე წევრიდან ექვსი წევრი თავმჯდომარეა, ეს თავმჯდომარეები უნდა შეიცვალონ“.**

მისივე განმარტებით, მათი სურვილია, საბჭოს ახალი წევრები კონფერენციამ დემოკრატიული წესით აირჩიოს.

„ჩვენ გვინდა, რომ კონფერენციამ აირჩიოს ახალი წევრები დემოკრატიული წესით და ამაში ვგულისხმობ ორ რამეს, პირველი, რომ ახლანდელისგან განსხვავებით, კენჭისყრა იქნება ფარული და მეორე, კოტე კუბლაშვილს იმიტომ, რომ ის არის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, არ ექნება ექსკლუზიური უფლება კანდიდატების დასახელებისა. ორივე ეს ცვლილება პოზიტიურად იქნა შეფასებული ვენეციის კომისიის მიერ, ამიტომ ისღა დაგვრჩენია, მომავალი კვირიდან პარლამენტში შევუდგეთ კანონპროექტის მეორე მოსმენით განხილვას“, — აღნიშნა წულუკიანმა. მისივე განმარტებით, იუსტიციის დღეს მოქმედი უმაღლესი საბჭოს შემადგენლობას ახალი კანონის ამოქმედებიდან ორი კვირის ვადა მიეცემა, რათა კონფერენციამ არჩევნები თავიდან ჩაატაროს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილი კი აცხადებს, რომ ყველა საკამათო საკითხი, რომელიც სასამართლო, საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებებს შორის არსებობდა, ვენეციის კომისიამ სასამართლოს პოზიციის შესაბამისად ასახა დასკვნაში. კოტე კუბლაშვილის განცხადებით, „უზენაესი სასამართლო მიესალმება სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე პროცესში ვენეციის კომისიის ჩართულობას. მისასალმებელია ის გარემოება, რომ ვენეციის კომისიამ გაითვალისწინა სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენელთა შენიშვნები და თავის დასკვნაში მიუთითა, რომ **„სასამართლო ხელისუფლების მომავალი ფუნქციონირებისა და ორგანიზაციული საკითხების შემუშავების დროს საკანონმდებლო უფლებამოსილების გამოყენებისას პარლამენტმა თავი უნდა შეიკავოს ისეთი ზომების მიღებისგან, რომელიც საფრთხეს შეუქმნის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის უწყვეტობას“.**

ვენეციის კომისია მიიჩნევს, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტების ახალი წესის ამოქმედება ავტომატურად არ უნდა იწვევდეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ძველი შემადგენლობის უფლებამოსილების შეწყვეტას. ვენეციის კომისიის დასკვნის მიხედვით, ამ ცვლილების ამოქმედება ახალი მთავრობის ან საპარლამენტო უმრავლესობის მიერ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მისთვის არასასურველი შემადგენლობის საკონონმდებლო ცვლილებების გზით შეცვლის გაუმართლებელ და სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის ხელმყოფ პრეცედენტს შექმნიდა.

ვენეციის კომისიის რეკომენდაციით: სასამართლოების თავმჯდომარეებს, თავმჯდომარის პირველ მოადგილეებს, მოადგილეებს, პალატებისა და კოლეგიების თავმჯდომარეებს და ყველა იმ პირებს, რომლებსაც აღნიშნული პოზიციები ეკავათ საბჭოს არჩევნებამდე ბოლო 1 წლის განმავლობაში, უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, იყვნენ საბჭოს წევრობის კანდიდატები: შესაძლებელია, კანონმა დააწესოს შეზღუდვები საბჭოს შემადგენლობაში მყოფი თავმჯდომარეების რაოდენობასთან მიმართებაში; ასევე, შესაძლებელია, კანონმა დააწესოს მოთხოვნა, რომ სასამართლოს თავმჯდომარის საბჭოში არჩევის შემთხვევაში, მას მოუხდეს თავმჯდომარის თანამდებობის დატოვება.

ამოღებულ იქნას მუხლი, რომელიც ითვალისწინებს, რომ ახალი კანონის ამოქმედებისთანავე, **„იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ძველ შემადგენლობას, გარდა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა, შეუწყდება უფლებამოსილება“.**

ვენეციის კომისიის რეკომენდაციით, მომავალში შესაძლებელია განხილული იქნეს სხვა გარდამავალი დებულების მიღება, რომელიც არსებულ საბჭოს შემადგენლობას დააახლოებს მისი მომავალში დაკომპლექტების მეთოდთან. მაგალითად, იმის მითითებით, რომ სასამართლოს მოქმედი თავმჯდომარეები უნდა გადადგნენ თავმჯდომარეობიდან იმისთვის, რომ შეინარჩუნონ საბჭოს წევრობა. შესაძლოა, ასევე გადაიხედოს ადმინისტრაციული კომიტეტის მიერ მოსამართლეთა კონფერენციის ნაცვლად, მოსამართლეთა დანიშვნის პროცედურა“.

„ვერსიანიუსი“

კანონდარღვევათა მოზაიკა სასამართლო დარბაზებში

ლევან ცალუღელაშვილი

რა ხდება სასამართლოს შენობასა და სხდომის დარბაზებში ისეთი, რასაც უცხო თვალი უცებ ამჩნევს? რას „სცოდავენ“ მოსამართლეები და რომელ კანონს არღვევენ ყველაზე ხშირად? რა აკნინებს მოსამართლის მიმართ ნდობას? – ეს ის კითხვებია, რომლებზე ფიქრს შესაბამისი სამსახურები ჯეროვან ყურადღებას უნდა უთმობდნენ. საქართველოში მოსამართლედ შეიძლება დაინიშნოს 28 წლის ასაკის, ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელსაც იურისტად მუშაობის ხუთი წლის სტაჟი აქვს და სათანადოდ ფლობს სახელმწიფო ენას. იგი დანიშვნისას ფიცს დებს, რომ იქნება კანონისა და მორალური ღირებულებების ერთგული, მანტიის მორგებისთანავე კი იუსტიციის უმაღლესი საბჭო იწყებს რეაგირებას მოსამართლის დისციპლინურ დარღვევებზე. წესით, კარგად შერჩეული მოსამართლე დისციპლინურ გადაცდომამდე არ უნდა მიდიოდეს, მაგრამ ფაქტია, ცდებიან. საერთო სასამართლოების შესახებ კანონის 43-ე მუხლით, მოსამართლე თანამდებობიდან შეიძლება დაითხოვონ დისციპლინური გადაცდომის შემთხვევაში, აგრეთვე „სასამართლოს მიერ ქმედუნარიანად ან შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარების შემთხვევაში“, 65 წლის ასაკს მიღწევის შემთხვევაში და ა.შ. დისციპლინური გადაცდომა მეტ-ნაკლებად გასაგებია, მაგრამ რადგან კანონში წერია, გამოდის, რომ 65 წლამდე მოსამართლეს შესაძლებელია ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები შეექმნას და შეზღუდულ ქმედუნარიანიც კი გახდეს, ოღონდ ეს არ კმარა მისი გათავისუფლებისთვის. ეს ისევ და ისევ სასამართლომ უნდა დაადგინოს, თუმცა მანამდე რა ხდება „შეზღუდული“ მოსამართლის სამართალწარმოებაში, იოლი წარმოსადგენია, ამიტომაც კარგი იქნებოდა, კანონი „მკვდარი პუნქტებისგან“ გათავისუფლდეს და დაიხვეწოს...

რა არის დისციპლინური გადაცდომა? ერთ-ერთი გახლავთ: „მოსამართლისთვის შეუფერებელი ქმედება, რომელიც ბღალავს სასამართლოს ავტორიტეტს და ზიანს აყენებს სასამართლოსადმი ნდობას“, ასევე — „სამოსამართლო ეთიკის ნორმების დარღვევა“. კანონმა კი თქვა, მაგრამ რა იგულისხმა — რა არის მოსამართლისთვის შეუფერებელი ქმედება?

სასამართლო პროცესზე არაერთხელ დაფიქსირდა მოსამართლეთა მიერ ჩამწერის უდროო დროს გამორთვის შემთხვევა. მოგეხსენებათ, რეფორმის ფარგლებში, სასამართლო პროცესის აუდიოჩაწერა მიმდინარეობს, ხოლო ჩანაწერს აქვს მტკიცებულების ძალა. მოსამართლე, იმისთვის, რომ მხარეს შედავების საფუძველი მოუსპოს, როგორც სურს, ისე იყენებს ჩამწერ პულტს. საკუთარი თვალით ვნახე, როგორ ახდენდა ფსიქოლოგიურ ზეწოლას მოსამართლე ადვოკატზე და აიძულებდა სარჩელის უკან გატანას. 15 წუთი ითხოვდა ადვოკატი, მოსამართლეს ან სხდომა გაეგრძელებინა ან მისი დამოძღვრისგან თავი შეეკავებინა, თუმცა მოსამართლე მხოლოდ მას შემდეგ შეეშვა, რაც ამ უკანასკნელმა, პროტესტის ნიშნად, პროცესის დატოვება გადაწყვიტა. პროცესს თვითნებურად დატოვებ? – არ უნდა დაგავიწყდეს, მოსამართლეს ხელშეუხებელი „შინაგანი რწმენა“ აქვს და შეიძლება, სულ მცირე, 500-ლარიანი ჯარიმაც „მოგაკრას“. პროტესტს არ გამოხატავ და გამორთული აქვს მიკროფონი, თანაც გლანძღავს კლიენტის თანდასწრებით. რა ქნას ამ დროს ადვოკატმა – არის თუ არა ეს „მოსამართლისათვის შეუფერებელი ქმედება, რომელიც ბღალავს სასამართლოს ავტორიტეტს და ზიანს აყენებს სასამართლოსადმი ნდობას?“

შემთხვევა მეორე: საპროცესო კანონი მოდავე მხარეს უფლებას აძლევს, სასამართლოს სხდომის ოქმში შესწორება შეიტანოს. გამოხატა მხარემ შესწორების შეტანის სურვილი, მოსამართლე კი უარს ეუბნება და განჩინებაში უწერს „აუდიოჩანაწერში შესწორების შეტანა ტექნიკურად შეუძლებელია და დაუშვებელი“. გამოდის, კანონი და მოსამართლის „დიქტოფონი“ ვერ ეწყობა ერთმანეთს. როგორც წესი, დისციპლინური გადაცდომის შემჩნევისას ადვოკატს სურვილი უჩნდება, ან აიცილოს მოსამართლე, ან წარადგინოს საჩივარი იუსტიციის უმაღლეს საბჭოში და მოსამართლის პასუხისმგებლობის საკითხი დააყენოს. ორივე გზა ძალიან სარისკოა, რადგან თუ კლიენტი არ დაგემოწმა, მოსამართლეს ვერ დაუმტკიცებ, რომ 15 წუთის მანძილზე, ჩამწერის გარეშე ზეწოლას ახდენდა, შესაბამისად, აცილების მოთხოვნაც უსაფუძვლოდ გეთვლება. აცილების საკითხს იგივე მოსამართლე იხილავს და მერე ნახე შენი, როგორც ადვოკატის „ტყავის ბრალი“, თუ ვერც აიცილე და თანაც გააწიწმატე... ამ კრიტიკულ მომენტში ადვოკატისთვის კლიენტის ინტერესი უპირატესია და ფრთხილობს მოსამართლესთან დამოკიდებულებაში, მაგრამ მოსამართლეს ყოველთვის აქვს ბერკეტი, ადვოკატს სტრესული სიტუაცია შეუქმნას. დისციპლინურზე უჩივლებ და კიდევ უარესი... საქმე ახლა იხილება და ვიდრე საბჭო მის დისციპლინის ავკარგიანობაზე იმსჯელებს, ვაიმოსამართლე ამასობაში გადაწყვეტილებასაც გამოგიგზავნის დაზღვეული ფოსტით.

კანონით, მოსამართლესთან კონტაქტი აკრძალულია და მხარეს შეუძლია მხოლოდ მოსამართლის თანაშემწეს დაუკავშირდეს. თანაშემწეს შეუძლია, „გასული იყოს“, რაც იმას ნიშნავს, რომ ადვოკატი საათობით უნდა ელოდოს მის დაბრუნებას სასამართლოს ფოიეში. იმავე ფოიეში, ბოლო პერიოდში მოხსნეს მოსამართლის თანაშემწეთა მობილური ტელეფონები. ესეც იმიტომ, რომ მხარეს თანაშემწესთან კომუნიკაცია „გაუადვილონ“. თუ თანაშემწემ საუბრისთვის მოიცალა, ხასიათი უნდა „აუწყო“, თორემ შეიძლება ცალყბად მოგიშოროს. ტონს თუ აუწიე – მოსამართლესთან ამბის მიტანა გარანტირებული გაქვს და შენს მიმართ „ამინდიც“ შექმნილია. სასამართლოს ფოიეში არის ასევე საინფორმაციო, სადაც აღარ მიკვირს, როცა კითხვაზე: „რომელ დარბაზში ტარდება პროცესი“, გპასუხობენ, „რა ვიცი, ხომ არ მომელანდება!“ აღარც ის მიკვირს, თუ ამ დროს იგივე თანამშრომელი „ოდნოებში“ ერთობა. ეს არის მცირე ფრაგმენტი იმ მოზაიკიდან, რასაც სასამართლოს ყოველდღიურობა ჰქვია. კარგი იქნება, თუ შესაბამისი სამსახურები სასამართლოში დისციპლინასა და მომსახურების ხარისხზე მეტად იზრუნებენ.

ნაციონალური მოძრაობა: „დასუფთავების ტარიფის დაანგარიშების ახალი წესი თბილისელების ნახევარს გადასახადს გაუძვირებს“

დასუფთავების სულადობრივი გადასახადის დაწესება თბილისელების 50%-ს გადასახადს გაუძვირებს. განცხადებას ამის შესახებ რადიო „კომერსანტთან“ თბილისის საკრებულოში ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელი თამაზ შოშიაშვილი აკეთებს. პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო უმრავლესობის წევრის, თინა ხიდაშელის პროექტი, რომლის მიხედვით, დაგვა-დასუფთავებაზე ზღვრული მოსაკრებელი წესდება: მისი ოდენობა ერთ სულ მოსახლეზე თვეში სამ ლარს, ხოლო იურიდიული პირების შემთხვევაში, ერთ კუბურ მეტრ ნარჩენებზე 25 ლარს არ უნდა აღემატებოდეს.

ამასთან, კანონში იწერება, რომ ოჯახის წევრთა რაოდენობის მიუხედავად, სულადობის მაქსიმალური ზღვარი ოთხი სულით განისაზღვრება.

როგორც შოშიაშვილი განმარტავს, თუ სულადობრივი გადასახადი დაწესდა, ასეთი სიტუაციის მართვა რთულია, რადგან ბაზებში დიდი ცდომილებაა. შოშიაშვილის განცხადებით, კანონის მიღება სოციალურად სამართლიანი გადახდის შემთხვევაში, ტარიფი მოსახლეობის იმ 50%-ს გაუძვირდება, რომელშიც სოციალურად დაუცველი მოქალაქეები შედიან.

„კომერსანტი“

ნელი თორდია
593-61-07-72

სერგეევკოვ ჩიხრაძეს უფლებამოსილება შეუჩერა

სასწრაფო დახმარების მოშიმშილე ექიმების აქციას, 10 მარტს, სოლიდარობის ნიშნად, რეფერალური ჰოსპიტლისა და კარდიოლოგიური კლინიკა „გულის“ მედპერსონალი შეუერთდა. კარვებითა და ტრანსპარანტებით „დამშვენებულ“ ტერიტორიაზე კლინიკების ექიმების გამოჩენის ერთ-ერთი მიზეზი სასწრაფო დახმარების ცენტრის მიერ წარმოებული არასწორი ჰოსპიტალიზაცია გახდა, რომელმაც ზოგი კლინიკა ფინანსური პრობლემების წინაშე დააყენა, ზოგს კი დახურვის საფრთხე შეუქმნა.

„არ მინდა ეს დირექტორის პოსტი, რა... ეს არის ზედმეტი ეკალი!“

საპროტესტო აქციის მიმდინარეობისას, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის დირექტორი ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით გამართულ თათბირზე გახლდათ. კახა ჩიხრაძის დაბრუნებამდე ამბოხებულ ექიმებს ვესაუბრეთ.

მეთერთმეტე რაიონული სამსახურის ყოფილი მენეჯერის მოადგილის, მოშიმშილე **ზურაბ ლატარიას** განმარტებით, პრობლემები სასწრაფო დახმარების ცენტრში ჩიხრაძის გამოჩენისთანავე დაიწყო და მის წასვლამდე არ დასრულდება:

„კახა ჩიხრაძემ სამსახურიდან თავისუფალი სიტყვისთვის გაგვათავისუფლა, რადგან ვერ აიტანა, რომ ჰოსპიტალიზაციასთან დაკავშირებულ პრობლემებზე მივუთითეთ. როგორც ხედავთ, ჩვენთან სოლიდარობის ნიშნად, მოვიდნენ რეფერალური ჰოსპიტლისა და კარდიოლოგიური ცენტრის ექიმები, რომლებსაც ჩიხრაძემ პაციენტების გაგზავნა შეუწყვიტა. ცენტრის დირექტორის გადაწყვეტილებით, სასწრაფო დახმარების ბრიგადებს პაციენტები ემერჯენსებში მიჰყავთ, რითაც კლინიკებსაც პრობლემებს უქმნიან და პაციენტსაც. მსოფლიოში არსად ხდება, რომ ინფარქტიანი ავადმყოფი, კარდიოლოგიური კლინიკის ნაცვლად, ავადმყოფებით გადატენილ ემერჯენსში გადაჰყავდეთ. ვფიქრობთ, ეს ყველაფერი უმიზეზოდ არ ხდება. ბატონ ჩიხრაძეს აქვს თავისი კერძო ბიზნესი — რეფერალური სასწრაფო დახმარების ცენტრი და, ვეჭვობთ, აქ რაღაც კორუფციულ გარიგებებს აქვს ადგილი“.

რეფერალური ჰოსპიტლის გენერალური დირექტორი ჯუმბერ ბოლღაშვილი სასაუბროდ მაშინ მოვიხელთეთ, როცა უცხოელი ინვესტორებისა და სასწრაფო დახმარების ცენტრის მიერ მისი კლინიკის ხელოვნურად გაკოტრებასთან დაკავშირებით, „ვერსიაში“ გამოქვეყნებულ მასალას კითხულობდა.

„ვერსიაში“ ჩვენი ჰოსპიტლის შესახებ დაწერილ სტატიაში ბატონი კახა აღნიშნავს, რომ ჩვენთან პაციენტებისთვის არაკომფორტული გარემოა მაშინ, როცა პაციენტთა მიმღები და ამბულატორია საუკეთესოდაა გარემონტებული. ნორმალურ მდგომარეობაში გვაქვს სხვა განყოფილებებიც. არის მუდმივი დენი, წყალი, ცენტრალიზებული გათბობა და მეტის გაკეთება დასანგრევად განწირულ დაწესებულებაში შეუძლებელია. „თითიდან გამოწოვილი“ მიზეზები გვაფიქრებინებს, რომ არსებობს ჩვენი ჰოსპიტლის ბოლომდე გაკოტრების მიზანმიმართული იდეა“, — განაცხადა **ჯუმბერ ბოლღაშვილმა**.

სასწრაფო დახმარების ცენტრის მიერ მისი კლინიკის მიზანმიმართულად გაკოტრებაზე საუბრობს კარდიოლოგიური კლინიკა „გულის“ დირექტორიც. **ანზორ მელია** თქმით, სასწრაფოს მასთან თებერვალში არც ერთი პაციენტი არ მიუყვანია.

„ევროპისა და ამერიკის გაიდლაინებით, მწვავეინფარქტიანი და ინსულტიანი ავადმყოფები ემერჯენსის გვერდის ავლით ხვდებიან სპეციალიზირებულ კარდიოლოგიურ კლინიკაში, რომელსაც ანგიოგრაფიული აპარატი გააჩნია. თუ ავადმყოფი ჩვენთან ტკივილის დაწყებიდან პირველ 90 წუთში მოვიდა, ინფარქტის უკან დაბრუნებას ვახერხებთ და ამ დროს სასწრაფო დახმარებას მწვავე ინფარქტიანი პაციენტები მიჰყავს ემერჯენსში და 15-20 წუთი რიგში აყენებს იმიტომ, რომ ყველა პაციენტი იქ მიჰყავთ. მწვავე ინფარქტიანი ავადმყოფების კარდიოლოგიური კლინიკების გვერდის ავლით ემერჯენსში გადაყვანა ანტისახელმწიფოებრივი ქმედებაა, რადგან გულის კუნთის გადასარჩენად აუცილებელია სწრაფად მოქმედება. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა პაციენტი დაიღუპოს ან ინვალიდად დარჩეს და დარჩენილი ცხოვრება სახელმწიფო პენსიაზე იყოს დამოკიდებული“, — აცხადებს მელია.

მოშიმშილე ექიმების მსგავსად, კარდიოლოგიური კლინიკის ხელმძღვანელიც იზიარებს მოსაზრებას, რომ ემერჯენსების მიმართ ჩიხრაძის გაძლიერებული ლტოლვის უკან კორუფციული გარიგება დგას: **„ჩიხრაძეს თავისი ინტერესები აქვს იმიტომ, რომ იმ ემერჯენსიდან, რომელსაც კარდიოლოგიური განყოფილება არა აქვს, ჩიხრაძის რეფერალური სასწრაფო დახმარების მანქანებს პაციენტები სხვა კლინიკაში გადაჰყავთ. ავადმყოფს შველა სჭირდება და არა ჩიხრაძის სასწრაფო დახმარების ამუშავება. მოვითხოვ ბრძანებას, რის საფუძველზეც, ლიცენზირებულ ექიმს ინფარქტიანი ავადმყოფის მკურნალობის საშუალება წამართვეს“.**

ექიმების საპროტესტო აქციების მიმდინარეობის დროს, სასწრაფო დახმარების ცენტრის დირექტორი ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში მინისტრთან შეხვედრაზე იმყოფებოდა, ამიტომ მოგვიანებით ტელეფონით დავუკავშირდით. ჩიხრაძემ ყველა ბრალდება უარყო და კლინიკის ხელმძღვანელებს მატყუარები უწოდა:

„9 საათზე უნდა შევიკრიბოთ, კომისია იმსჯელებს და მოშიმშილე ექიმებთან დაკავშირებით, გადაწყვეტილებას გამოიტანს. რაც შეეხება კლინიკებს და მათ პრეტენზიებს, ანზორ მელია იტყუება როცა ამბობს, რომ მათთან პაციენტი არ გადაგვიყვანია. ჩვენ გვაქვს სტატისტიკა, ყოველდღიურად, რამდენი პაციენტი გადაგვყავს ამ საავადმყოფოებში. რეფერალურში 10-20 პაციენტი და მელიასთან 4-5 ყოველდღიურად“.

როგორც ჩანს, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში ჩიხრაძის არგუმენტები არადამაჯერებლად მიიჩნიეს. როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, მოშიმშილე ექიმებთან დაკავშირებული სამართლებრივი დავის დასრულებამდე, სასწრაფო სამედიცინო ცენტრის მართვა ჯანდაცვის სამინისტროსა და მერიის წარმომადგენლებისგან დაკომპლექტებული საბჭოს ხელში გადავიდა. დავით სერგეევკოს თქმით, ცენტრის ამჟამინდელმა დირექტორმა სიტუაციის ოპტიმალურად მართვა ვერ მოახერხა და მის შესახებ გადაწყვეტილებას მოშიმშილე ექიმებთან დაკავშირებული სამართლებრივი დავის დასრულების შემდეგ მიიღებს.

ცნობისთვის, სასწრაფო-სამედიცინო ცენტრიდან გათავისუფლებული ექიმები შიმშილობის შეწყვეტას არ აპირებენ. სამინისტროს გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ, „ვერსია“ სასწრაფო-სამედიცინო ცენტრის ხელმძღვანელს კიდევ ერთხელ დაუკავშირდა. კახა ჩიხრაძის თქმით, შექმნილ ვითარებაში სრულიად იზიარებს სამინისტროს პოზიციას და თუ ვითარების დარეგულირებისთვის მისი წასვლაა საჭირო, ამისთვისაც მზადაა.

— მივესალმები თუ ცენტრის მართვას საბჭო გადაიბარებს.

— რას ფიქრობთ მინისტრის პოზიციაზე, რომ სიტუაციის ოპტიმალურად მართვა ვერ მოახერხეთ.

— ამასაც მივესალმები.

— ექიმები რომ შიმშილობის შეწყვეტას არ აპირებენ, ამასაც მიესალმებით?

— ამასაც მივესალმები. თუ არ აპირებენ, რა ვქნა ახლა.

— ანუ მზად ხართ, ცენტრის დირექტორის პოსტი დათმოთ?

— როგორც სამინისტრო იტყვის, ისე იქნება. იცით რა... არ მინდა, ეს დირექტორის პოსტი, რა... ეს არის ზედმეტი ეკალი.

iPhone+ ტელეკომპანია „მაესტროსა“ და საზოგადოებრივ მაუწყებელს უჩივის

iPhone+ საზოგადოებრივ მაუწყებელსა და „მაესტროს“ საქმიანი რეპუტაციის შელახვაში ადანაშაულებს და აცხადებს:

„2013 წლის 9 მარტს, ტელეკომპანია „მაესტროსა“ და საზოგადოებრივი მაუწყებლის საშუალებით გავიდა iPhone+-ის წინააღმდეგ სიუჟეტები, რასაც ტელევიზიების მხრიდან მიეცა სრულიად სხვაგვარი ინტერპრეტაცია, რაც ხელოვნურად იყო მიზანმიმართული. ტელეკომპანიებმა გააშუქეს ცალკეული რამდენიმე პიროვნების განცხადება და ამ პიროვნებების გამოკითხვით ჩამოაყალიბეს ისეთი ინტერპრეტაცია, თითქოსდა ისინი არიან დაზარალებულები iPhone+-ის მხრიდან, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს. ასევე, ტელეკომპანიებმა წარმოაჩინეს საკითხი იმდაგვარად, თითქოსდა ნებისმიერი კლიენტი, ვინც iPhone+-ში შეიძენდა პროდუქციას, აუცილებლად დაზარალდებოდა. ასევე მათ ისაუბრეს iPhone+-ის პროდუქციაზე და წარმოაჩინეს ისე, თითქოსდა კომპანიაში იყიდება უხარისხო პროდუქცია და ეს ყველაფერი სრულიად უსაფუძვლოდ და გადაუმოწმებლად.

აღნიშნულმა ტელეკომპანიებმა შეგნებულად არ გამოიკვლიეს ობიექტურად აღნიშნული საკითხები და დასკვნები თავად გამოიტანეს ორი თუ სამი უკმაყოფილო კლიენტის განცხადებებიდან და მათთვის საკმარისი აღმოჩნდა 3 კლიენტის განცხადება კომპანიაზე, რომელსაც 850 000 მომხმარებელი ჰყავს“.

მათი მტკიცებით, ტელეკომპანიების აღნიშნული ქმედება მიზნად ისახავს iPhone+-ის დისკრედიტაციას და უხეშად არღვევს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის რამოდენიმე პუნქტს, რის გამოც iPhone+ ითხოვს რეპუტაციის აღდგენას და აღნიშნული ქმედებით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურებას, ასევე iPhone+ შეიტანს დამატებით სარჩელს მორალური ზიანის ანაზღაურებისათვისაც ანუ ერთდროულად, ორ სარჩელს ორივე ტელეკომპანიის წინააღმდეგ. მათი თქმით, სასამართლოში წარადგენენ ყოველთვიურ დეკლარაციებსაც, რაც სასამართლოს დაეხმარება რეპუტაციის ხელოვნურად შელახვის შედეგად მიყენებული მატერიალური ზიანის სწორად გამოთვლაში, ასევე მოითხოვს საჯაროდ ბოდიშის მოხდას და არაობიექტურობის აღიარებას აღნიშნული ტელევიზიების მხრიდან.

„კომერსანტი“

სოსო ჯაჭვლიანი: „ნაციონალი“ დამნაშავეების მკაცრ დასჯას მოვითხოვ, წინააღმდეგ შემთხვევაში „ქართულ ოცნებაში“ აღარ დავრჩები

მე-3 გვერდიდან

ვცდილობ, ყველაფერი გავიგო, მაგრამ ჩემი თანაგუნდელებისგან „ნაციონალების“ რიგებიდან დამნაშავეების მკაცრ დასჯას მოვითხოვ, წინააღმდეგ შემთხვევაში, „ქართული ოცნების“ გუნდში აღარ დავრჩები. თუ დიმიტრი შაშკინსა და ზურაბ ადეიშვილს დანაშაულის ფაქტებს ვერ დავუდებთ, მაშინ საერთოდ რა გვინდა, არ მესმის!

— ცოტა ხნის წინ ამტკიცებდით, კულისებსმიღმა მნიშვნელოვანი პროცესები მიდის და ჯერ გამხელა არ შეიძლებაო, ახლა „ოცნების“ დატოვებით იმუქრებით. რა განსაზღვრულ ვადას აძლევთ თანაგუნდელებს?

— დიახ, ეს იმიტომ, რომ არ შეიძლება, გამოძიება უსასრულოდ გაიწელოს, პირიქით, ყველაფერს თავისი დრო და საზღვარი აქვს. ვიმეორებ, თუ დამნაშავეები არ დაისჯებიან, „ოცნებაში“ ვერ მიხილავთ, ვადებზე კი პროცესების განვითარების მიხედვით დავფიქრდები. საზოგადოებას ყველაფერზე სწორი რეაქცია აქვს. ამასობაში, „ნაციონალები“ დაგეგმილი აქციითაც გვიწვევენ...

ისე, მაინტერესებს, ვინ მივა 19 აპრილს რუსთაველზე ცოცხებისა და „დუბინკების“ მხარდასაჭერად. ვინც ამ აქციაზე მივა, ავტომატურად უჭერს მხარს გაუპატიურებას, ცოლების გაბახებას, შვილების დახოცვას, ტერიტორიების წართმევას და ა.შ. დასავლეთიც თუ მეტყვის, ბიჭების „დუბინკებით“ გაუპატიურება და ასი ვაჟკაცის ჩაცხრილვა კარგი იყოო, მე აქედან ვუპასუხებ, ყველამ თავის ქვეყანას მიხედოს, გაიგეთ?

— ამ განცხადებას იმ ფონზე აკეთებთ, როცა რამდენიმე დღის წინ პარლამენტმა რეზოლუცია მიიღო, ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მთავარ პრიორიტეტად ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციასთან დაკავშირებით?

— დიახ, მე მხოლოდ ის მაინტერესებს, ჩემი ქვეყნის შიგნით რა ხდება, რადგან ჩვენი პრიორიტეტია, საკუთარ ხალხთან ვიყოთ მართლები. თუ ჩემი თანაგუნდელებიც ასე არ ფიქრობენ, განბილებული დავრჩები. როგორ არ უნდა ჰქონდეს დასავლეთს რეაქცია იმაზე, რომ მიხეილ სააკაშვილს, აბსოლუტურად, მონათმფლობელის უფლებები აქვს? ძალიან განბილებული ვარ. ეტყობა, დასავლეთი სპეციალურად ცდილობს, იმ სივრცეში დაგვაბრუნოს, სადაც აქამდე ვიყავით, რადგან რუსების ძალიან ეშინიათ.

— საგარეო კურსთან დაკავშირებულ რეზოლუციას ხმა ხომ თქვენც მიეცით?!

— კი, ბატონო, ევროპისკენ მივდივარ და ნატო-ში მინდა და კატოშიც, მეტი რა ვქნა?! ახლა ხომ ოფიციალური დოკუმენტი მივიღეთ, სადაც წერია, რომ ევროატლანტიკური სივრცეა ჩვენი პრიორიტეტი, მეტი რა ვქნათ, ვიკივლოთ? თუმცა ხაზგასმით ვაცხადებ, რომ ამასობაში, რუსეთთან ურთიერთობებიც სასწრაფოდ უნდა დალაგდეს. „ნაციონალები“ გვეუბნებიან, დასავლეთიც ჩვენი დასჯის წინააღმდეგია, ამიტომ ხელს ნუ გვახლებთო, მაგრამ იმედი მაქვს, ასე მხოლოდ მათი ლობისტები, გამყიდველები და ნაყიდი ევროპარლამენტარები ფიქრობენ, რომელთა რიცხვიც, საბედნიეროდ, არც ისე ბევრია.

ისიც უნდა ითქვას, რომ „ნაციონალები“ დასავლეთს არასწორ ინფორმაციას აწვდიან, მაგრამ მერწმუნეთ, დროთა განმავლობაში ყველა და ყველაფერი გაიწმინდება. თუ ჩვენ დამნაშავეების წინააღმდეგ კონკრეტულ ფაქტებს დავდებთ, ცივილიზებული მსოფლიო მკვლელებს არ დაიცავს. შესაბამისად, ახლა ყველაფერი ჩვენ ხელშია.

სწორედ ახალაიამ გასცა ბიჭების ჩახოცვის ბრძანება!

მანანა ნოზაძე

ლოპოტას ხეობაში ჩატარებული სპეცოპერაციის დროს გარდაცვლილთა ოჯახის წევრები დაზარალებულად ცნობას ითხოვენ, რაზეც პროკურატურისგან უარი მიიღეს. გარდაცვლილთა ოჯახის წევრებს აინტერესებთ, მათი შვილები დამნაშავეები არიან თუ უდანაშაულოები და საერთოდ, გაიტაცეს თუ არა მძევლები. ისინი მიიჩნევენ, რომ დაღუპულებს ქართველ სამართალდამცავებთან კავშირი ჰქონდათ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ სახელზე იარაღს არავინ გააფორმებდა. ამდენად, მათი შვილები მოტყუებულები აღმოჩნდნენ.

For.ge-სთან საუბარში ჩეჩნური დიასპორის წარმომადგენელი და რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მრჩეველი მექა ხანგოშვილი აცხადებს — არ უნდა მოხდეს ისე, რომ ლაფანყურის სპეცოპერაციაში დაზარალებული ადამიანები დამნაშავეებად წარმოაჩინონ, რადგან ისინი არიან მოტყუებულები და არა დამნაშავეები. ამდენად, მექა ხანგოშვილს იმედი აქვს, რომ პროკურატურა ობიექტურ ვერდიქტს დადებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, დაღუპულთა ოჯახის წევრები მიიჩნევენ, რომ დაზარალებულის სტატუსის გარეშე მათი შვილები დამნაშავეები გამოდიან. ამ შემთხვევაში კი, ძალიან უკმაყოფილო დარჩება მთლიანად ხეობა. მით უფრო, რომ არა მხოლოდ დაზარალებულთა ოჯახები, არამედ მთლიანად ხეობაა დაზარალებული. სანამ დასკვნა არ დადებულა, უდანაშაულობის პრეზუმპციიდან გამომდინარე, მექა ხანგოშვილი რაიმეს თქმისგან თავს იკავებს, თუმცა მიაჩნია, რომ რატომღაც გაჭიანურდა გამოძიება. იმასაც ადასტურებს, რომ, სავარაუდოდ, აღნიშნული საქმე ძალიან ბევრ მასალას, ოცეულობით ტომსა და მილიონობით ფურცელს მოიცავს, ალბათ, ამიტომაც გახანგრძლივდა საქმის ძიება. გარდა ამისა, ე.წ. სპეცოპერაციის შემდეგ ცოცხლად გადარჩენილებიც არიან, ისინი ევროპაში იმყოფებიან და თუ გამოძიების ინტერესი იქნება, ჩაერევიან საქმის გამოძიების პროცესში.

მექა ხანგოშვილის თქმით, სპეცოპერაციაში მონაწილე ქართველმა სამართალდამცავებმა ყველაფერი იციან და მათი დაკითხვაც სასურველია. აბსოლუტურად ყველა პირი, ვინც გარეულია ამ საქმეში, უნდა დაიკითხოს. რაც შეეხება ცოცხლად გადარჩენილებს, მექა ხანგოშვილი არ გამორიცხავს, შესაძლოა, ამ ადამიანებს ბოლომდე მაინც არ აქვთ იმედი, რომ გამოძიება ობიექტურად ჩატარდება, ამიტომაც თავს იკავებენ მომხდარზე საუბრისგან. მეტიც, ისინი ელოდებიან, როგორ ვერდიქტს გამოიტანს გამოძიება და შემდეგ ჩაერთვებიან ამ საქმეში. ჯერჯერობით, მექა ხანგოშვილი სხვადასხვა ვერსიის სააშკარაოზე გამოტანისგან თავს იკავებს, თუმცა მიაჩნია, რომ ბაჩო ახალაიას ბრალეულობა ლაფანყურის ოპერაციის გამო ერთმნიშვნელოვნად უნდა დადგეს. სწორედ ახალაიამ გასცა ბიჭების ჩახოცვის ბრძანება. ამდენად, ჩეჩნური დიასპორის წარმომადგენელი შემსრულებლებს ისე არ ადანაშაულებს და სამართალდამცავები ისეთ დამნაშავეებად არ მიაჩნია, რადგან ისინი ბრძანებას ასრულებდნენ. მისთვის ცხადია, რომ ჩეჩენი იარაღს არ ყრის და ეს ცოტა რთული საქმეა, მაგრამ შეიძლებოდა, პანკისის ხეობიდან ღრმად პატივცემული უხუცესების ჩაყვანა, აბსოლუტურად ყველა ადამიანი ჩაერთვებოდა ამ საქმეში, პირადად იგიც ფეხით ავიდოდა ლაფანყურში, ოღონდ ამ ბიჭების სიცოცხლე გადაერჩინა. ამასთან, მექა ხანგოშვილს აქვს ინფორმაცია, რომ დაბალი დონის ჩინოვნიკები, გარკვეულ შემთხვევაში, პირიქით, ეხვეწებოდნენ, ბაჩო ახალაიას, ცეცხლი არ გაეხსნა და უდანაშაულო ბიჭები არ დაეხოცა. ისინი ახსენებდნენ ახალაიას, რომ ორ ხალხს შორის, ამ ხნის ისტორიის მანძილზე, არ მომხდარა ასეთი რამ, რომ ჩვენი ძმობა და მეგობრობა დიდი კითხვის ქვეშ დამდგარიყო, ამიტომ არ უნდა გაცემულიყო დახოცვის ბრძანება.

„ზუსტად ეს უთხრეს ბაჩო ახალაიას, ნუ დააყენებთ ეჭვქვეშ ამდენი ხნის ურთიერთობას, გენეტიკურად ყველაზე ახლო ორი მონათესავე ერის მეზობლობას. ჯერ ისედაც აფხაზეთის ტკივილი საკმარისია, რაც დღემდე მოგვდევს და კიდევ ერთხელ ასეთ რამეს ნუ დავუშვებთო“, — აცხადებს მექა ხანგოშვილი. რაც შეეხება მძევლების აყვანის ფაქტს, სახელმწიფო მინისტრის მრჩეველი ფიქრობს, რომ ე.წ. ბოევიკები სრულიად შემთხვევით წაადგნენ ამ ბიჭებს, სხვა გზა არ ჰქონდათ და იმის შიშით, რომ ბიჭების მხრიდან არ მომხდარიყო ინფორმაციის გაჟონვა, გარკვეული დროის განმავლობაში, სანამ საზღვართან არ მივიდოდნენ და არ გადავიდოდნენ, ეს ადამიანები გაიყოლეს.

მექა ხანგოშვილი ადასტურებს, რომ სპეცოპერაციას ცხრა ადამიანი დაუსხლტა. ამდენად, სამარცხვინოდ მიაჩნია, როდესაც პრეზიდენტი აცხადებს, თითქოს, წარმატებული სპეცოპერაცია ჩაატარა. სინამდვილეში, დაახლოებით, ორი ათასი სპეცნაზელი ჩასვა ლაფანყურის ტყეში და მაინც ცხრა ადამიანი გაექცათ. ამასთან, არ გამორიცხა ვერსია, რომ ექიმი სპეციალურად მოკლეს, რადგან თუ არა ამ საქმის უზუსტესად მცოდნეს, სხვას გაუჭირდებოდა ზუსტად იქ დაემიზნებინა ტყვია, სადაც მას ჯავშანჟილეტი არ ეცვა.

„ჩემთვის, როგორც ჩეჩენი და ქისტი ბიჭების დაღუპვა, ისეთივე დიდი ტრაგედია გახლდათ ქართველი ბიჭების სიკვდილი. მათთან ოჯახშიც ვარ ნამყოფი, ერთ-ერთი დაღუპული სპეცნაზელის — არჩილ ჩოხელის მამა დამიკავშირდა და ისეთი სიყვარულით შეგვხვდნენ, რომ ეს იყო სასწაული. დღემდე ამ შთაბეჭდილებებიდან ვერ გამოვდივარ. ამის იმედი მაქვს, რომ ჩვენი ურთიერთობები გადარჩება. ჩემით იქ ჩასვლას ცოტა მოვერიდებოდი, მაინც, ასე თუ ისე, ქისტების გამო დაიღუპა ეს ბიჭი ამ სპეცოპერაციის გამო, მაგრამ ძალიან კარგად შეგვხვდნენ“, — გვითხრა მექა ხანგოშვილმა და ისიც დაამატა, რომ ისტორია მეორდება, 8 მარტი ისეთივე მძიმე დღეა ჩეჩნებისთვის, როგორც 23 თებერვალი, როცა ჩეჩნების გასახლება მოხდა და ამ დღეს რუსეთი ყოველთვის ზარზეიმით აღნიშნავს. 8 მარტს კი ტრაგიკულად, მუხანათურად დაიღუპა მათი სახელოვანი პრეზიდენტი ასლან მასხადოვი. გარდა ამისა, სწორედ 8 მარტს მოხდა ყაბარდო-ბალყარეთიდან ჩეჩნების მასობრივი გასახლება.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურისტი, დაზარალებულების ადვოკატი ნათია კაციტაძე For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ დაზარალებულად ცნობის თაობაზე, დაღუპულთა ახლობლებს უარი იმ მოტივით ეთქვათ, რომ კანონის თანახმად, დაზარალებულის სტატუსი ენიჭება პირს, რომელსაც დანაშაულებრივი ქმედებით მიადგა მორალური და მატერიალური ზიანი. გამოძიების პოზიცია კი ასეთია, ვინაიდან ჯერჯერობით, დადგენილი არ არის, დანაშაულის შედეგად მოხდა თუ არა ამ პირთა გარდაცვალება, შესაბამისად, დაზარალებულის სტატუსის მინიჭება სწორი არ არის და თუ გამოძიება სხვა რამეს დაადგენს, მოხდება ამ საქმის შემდგომში გადასინჯვა.

— ლაფანყურის საქმეზე რა მოტივით დაიწყო გამოძიება?

— ამ მომენტში გამოძიება დაწყებულია მხოლოდ ერთი მუხლით — მძევლად ხელში ჩაგდება ანუ ამ შეიარაღებული დაჯგუფების მიერ ლაფანყურის მცხოვრებლების მძევლად ხელში ჩაგდების კუთხით, თუმცა, ჩვენ ვამბობთ, რომ არა მარტო ეს უნდა გამოიძიონ, არამედ თვითონ ამ პირების სიცოცხლის მოსპობის ფაქტებიც, რადგან არსებობს 11 ადამიანი, ვინც ამ სპეცოპერაციისას დაიღუპა, ასევე, არიან დაღუპული სამართლდამცავები, ამიტომ საჭიროა გაირკვეს, რამდენად მართლზომიერად და პროპორციულად გამოიყენეს ძალა სამართალდამცავებმა და რამდენად აუცილებელი იყო ძალის გამოყენება, რომელიც დასრულდებოდა ლეტალურად. ვითხოვდით დაზარალებულის სტატუსის მინიჭებას. მართალია, ამბობენ, რომ ამ ნაწილსაც გამოიძიებენ, მაგრამ გამოძიება მაინც ოფიციალურად დაწყებულია ამ ერთი მუხლით.

— ამ ეტაპზე რატომ არ ხდება იმ ძალოვნების დაკითხვა, რომლებიც სპეცოპერაციაში მონაწილეობდნენ. მათ ხომ ყველაფერი იციან, რაც მოხდა. მით უფრო, დაზარალებულების ოჯახის წევრებიც სწორედ ძალოვანთა დაკითხვას ითხოვენ.

— პროკურატურა ამბობს, რომ დაკითხეს ცალკეული პირები, რომლებიც ჩართულნი იყვნენ ამ სპეცოპერაციაში, თუმცა ჩვენ ვითხოვდით უშუალოდ მინისტრის, მისი მოადგილისა და ანტიტერორისტული ცენტრის კახეთის სამმართველოს უფროსის დაკითხვას. ესენი ის პირები არიან, რომლებმაც გადაწყვეტილება მიიღეს იმ პროცესში. როგორც ჩანს, ჯერჯერობით, ეს პირები დაკითხულნი ამ კუთხით არ არიან. არ არის გამორიცხული, რომ მათაც დაკითხავენ.

— დაზარალებულები აცხადებენ, რომ საქმის გამოძიება ცალმხრივად მიმდინარეობს. მათ აინტერესებთ, რეალურად, მოხდა თუ არა ლაფანყურელების მძევლად აყვანა.

— მათთან გასაუბრებით და ასევე, ახმედ ჩატაევთან გასაუბრებით ორი მნიშვნელოვანი მომენტი გამოიკვეთა — როდესაც სროლა მოხდა. კერძოდ, ესეც გასარკვევია, იმ მომენტში საერთოდ იყო თუ არა აუცილებელი ცეცხლის გახსნა სამართალდამცავების მხრიდან, რადგან იმ წუთას ის ადამიანები მათ წინააღმდეგობას არ უწევდნენ და მძევლად ხელში ჩაგდება არ მომხდარა მათი მხრიდან, ეს შემთხვევითი იყო და განზრახ არ ყოფილა მოქმედებები ამ პირთა მძევლად აყვანისთვის. ასევე, მეორე მომენტია ის, რომ ამ დაჯგუფების წევრებთან უშუალო მოლაპარაკებები სრულყოფილად არ იყო განხორციელებული სამართალდამცავების მხრიდან. ანუ ყველა რესურსი პრობლემის მშვიდობიანად მოსაგვარებლად არ იყო ამოწურული და ისე მოხდა ცეცხლის გახსნა. ზუსტად ამ დეტალებზე უნდა გაამახვილოს ყურადღება გამოძიებამ. უბრალოდ, ჩვენ პრობლემას ვხედავთ, რომ მხოლოდ მძევლების აყვანის მუხლითაა დაწყებული გამოძიება.

— თუმცა საქმის ძიება იმ კუთხით არ დაწყებულა, რომ ეს ადამიანები დაიხოცნენ, თანაც საეჭვო ვითარებაში, როგორც ამას კავკასიოლოგები აცხადებენ.

— აქ საუბარი იყო იმაზე, მოხდა თუ არა უშუალოდ დანაშაული, მშვიდობიანი მცხოვრებლების მძევლად აყვანა შეიარაღებული დაჯგუფების მიერ. რამდენად მართალია მათი მძევლად აყვანა, ეს ცალკე საკითხია.

— მაგრამ ეს მშვიდობიანი მცხოვრებლები იმ დროსაც ამბობდნენ, ბოევიკებმა პატივი გვცეს, ჩაგვაცვეს და ფულიც მოგვცესო. ე.ი. მთლად კლასიკური მძევლები არ ყოფილან.

— სხვათა შორის, ამ პირებთან არ გვქონია საუბარი, ამიტომ მათი ვერსია არ ვიცით. არც ის ვიცით, რა ჩვენება მისცეს მათ გამოძიებას, რადგან ამ ეტაპზე, ინფორმაცია ჩვენთვის გამოძიებას არ მოუწოდებია. რამდენად სრულყოფილად მიმდინარეობს გამოძიება, ახლანდელი მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს დაზარალებულთა ჩართულობას გამოძიების პროცესში. ჩვენი დაცვის ქვეშ მყოფი პირები დაზარალებულად რომც იყვნენ ცნობილნი, ხელი არ მიგვიწვდება საქმის მასალებზე.

— კარგა ხანია საუბრობენ, რომ შესაძლოა, ამ სპეცოპერაციის გამო ბაჩო ახალაიას, როგორც მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს, რომ მას სწორედ ლაფანყურის სპეცოპერაციის გამო, შურისძიების ეშინოდა და ამიტომაც თავისუფლებას ციხე არჩია.

— თუ ცეცხლის გახსნა არ იყო აუცილებელი, ეს არ უნდა მომხდარიყო. კანონმდებლობა ძალიან დეტალურად ამბობს, როდის უნდა გამოიყენოს სამართალდამცავმა იარაღი, როცა ეს გარდაუვალი და აუცილებელია. ამასთან, სამართალდამცავმა შეიძლება, იარაღი გამოიყენოს, მაგრამ არა ისე, ვიღაცის სიცოცხლე მოსპოს. ამდენად, უნდა შეფასდეს, ვინ გასცა იარაღის გამოყენების ბრძანება, რამდენად სავალდებულო იყო. თუ ეს დეტალები გამოირკვევა და დადგინდება, რომ, როცა სამართალდამცავებმა ცეცხლი გახსნეს, მეორე მხრიდან არ ყოფილა საპასუხო ცეცხლი და შეიარაღებულმა დაჯგუფებამ კი არ დაიწყო პირველად სროლა, არამედ სამართალდამცავებმა, მაშინ შეიძლება დადგეს ბრძანების გამცემთა პასუხისმგებლობის საკითხი. ეს ის ვერსიაა, რასაც ამბობს ახმედ ჩატაევი, ანუ ის პირი, ვინც უშუალოდ იმყოფებოდა იმ ადგილზე. ამ შემთხვევაში, მხოლოდ ჩატაევის სიტყვები გვაქვს და მეტი არაფერი. ის ამბობს, რომ დაჯგუფების წევრები თანახმა იყვნენ მოლაპარაკებასა და კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებაზე, მაგრამ ეს არ დასცალდათ და სამართალდამცავთა მხრიდან ამაზე თანხმობა არ იყო. მათ პირდაპირ ცეცხლი გაუხსნეს.

— ამ ეტაპზე, ერთადერთი მოწმე ახმედ ჩატაევი საზღვარგარეთ გაემგზავრა. ამით საქმის გამოძიება ხომ არ დაზარალდება?

— გამოძიების გარკვეულ ეტაპზე მან ჩვენება უკვე მისცა, მაგრამ ახლანდელი პროცესის მიხედვით, სასამართლოზე მიცემულ ჩვენებას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. ჩვენთვის ჩატაევის მონაყოლი მნიშვნელოვანია.

— იმ ფონზე, სანამ დაზარალებულებად მათი აღიარება არ მოხერხდება, ითვლებიან თუ არა ისინი ისევ დამნაშავეებად, როგორც სააკაშვილის ხელისუფლების დროს ვისმენდით, რომ ისინი დამნაშავეები იყვნენ?

— სანამ გამოძიება გარკვეულ ეტაპამდე არ მივა, ძნელია იმის თქმა, სინამდვილეში, რა მოხდა. რეალურად, თვითმხილველი ადამიანი არის მხოლოდ ჩატაევი, დანარჩენმა, ყველამ გადმოცემით იცის ეს ამბავი. რა თქმა უნდა, არიან სამართალდამცავები, რომლებიც იქ იყვნენ. ძალიან მნიშვნელოვანია, ისინი რა ჩვენებებს აძლევენ.

— და არიან, ასევე, გადარჩენილებიც.

— დიახ, თუმცა მათთან ჩვენი კონტაქტი ვერ შედგა. სხვადასხვა საშუალებით ვეცადეთ, ამ პირებს დავკავშირებოდით, მაგრამ მათი უმრავლესობა საქართველოში არ არის. მნიშვნელოვანია, გამოძიებამ მოიძიოს, ვინ არიან ის პირები და ისინიც დაკითხოს.

ვერსიანიუსი

კობა დავითაშვილი: „ბიძინა ივანიშვილმა შეცდომა დაუშვა“

საპარლამენტო უმრავლესობის წევრის, კობა დავითაშვილის აზრით, პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა შეცდომა დაუშვა: **„მე, მაგალითად, მივმართავდი პროკურატურას, რომ საერთოდ შეაჩეროს საქმეების გამოძიება ამ ეტაპზე და სანამ სასამართლო რეფორმა არ განხორციელდება, არ წარმართოს საქმეები სასამართლოში“.** მისი თქმით, თავდაცვის ყოფილი მინისტრის, დიმიტრი შაშკინის საქართველოში დაბრუნება სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ ყოფილი მთავრობის წარმომადგენლებს ურჩევნიათ, მათი საქმეები დღეს მოქმედმა სასამართლომ განიხილოს.

დავითაშვილი პრემიერ-მინისტრის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესთან შეხვედრასაც გამოეხმაურა.

„შეცდა ბატონი ბიძინა, მე არ მერიდება, რომ კოლეგები გავაკრიტიკო და თუნდაც კოალიციის ლიდერი, როდესაც ის შეცდომას უშვებს. ბატონმა ბიძინამ სამართლიანად თქვა და მოუწოდა სააკაშვილსა და მის გუნდს, ნუ ელაპარაკებიან დასავლეთს და ელაპარაკონ საკუთარ ხალხს. მეჩვენება, რომ კუბლაშვილთან შეხვედრა სწორედ ისეთ ფორმატში, რომ ეს იყო სასამართლოს დამოუკიდებლობისადმი პატივისცემა, იყო შეცდომა და ვინც ეს ურჩია ბატონ ბიძინას და დაარწმუნა, რომ ეს იქნებოდა კარგი ნაბიჯი და ამით ვიღაცის გულს მოვიგებდით, მგონი, არასწორი რჩევა მისცა“, — განაცხადა დავითაშვილმა.

„პირველი“

გადადგა თუ გადააყენეს აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი გიორგი თავართქილაძე

მაია მიშელაძე
593-51-90-12

აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი გიორგი თავართქილაძე, საკუთარი ინიციატივით, 4 მარტს თანამდებობიდან გადადგა. აჭარის მთავრობამ, თავართქილაძის განცხადება გადადგომაზე, ჯერ დააკმაყოფილა, შემდეგ თავართქილაძემ საჯაროდ უარყო მისი გათავისუფლების შესახებ ინფორმაცია, მოგვიანებით კი, აჭარის მთავრობამ, ერთი თვის წინანდელი რიცხვით დათარიღებული, გიორგი თავართქილაძის განცხადება ააფრიალა. შეგახსენებთ, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრად გიორგი თავართქილაძე 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ დანიშნეს. მანამდე კი „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ ბათუმის ფილიალის მმართველი იყო. ამჟამად აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის მოვალეობას, გიორგი თავართქილაძის პირველი მოადგილე, დავით ბალაძე ასრულებს.

საინფორმაციო სააგენტოების ინფორმაციით, გიორგი თავართქილაძის ასეთი გადაწყვეტილების მიზეზად მისივე განცხადება იქცა, სადაც აჭარაში, 40-მილიარდიანი ინვესტიციის შემოსვლაზეა საუბარი, თუმცა ამ განცხადებაში ისეთი არაფერია, რის გამოც, მინისტრს თანამდებობა უნდა დაეტოვებინა. სააგენტოებმა გაავრცელეს ტექსტი, სადაც გიორგი თავართქილაძე საუბრობს, რომ აჭარაში, დაახლოებით, 40 მილიარდი აშშ დოლარის ინვესტიცია, წლის მეორე ნახევრიდან უნდა შემოვიდეს.

ცხადია, ეს უწყინარი განცხადება არაფერ შუაშია, მაგრამ 2013 წლის 28 თებერვალს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა საინტერესო ფაქტი გაავრცელა: სახელმწიფო ქონების გაფლანგვისა და სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ბრალდებით, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები — აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის მოადგილე თამაზ მღებრიშვილი და ამავე სამინისტროს საწარმოთა მართვის დეპარტამენტის უფროსი, აბესალომ გურგენიძე დააკავეს. ბრალდებულის სახით კი პასუხისგებაში მიცემულია ორი პირი, შპს „ლემისე კომპანის“ მფლობელები — ლუხუმ კაპანაძე და სერგი კაკალაშვილი, რომლებიც ამჟამად, მიმალვაში იმყოფებიან.

აქედან გამომდინარე, ჩნდება ლოგიკური კითხვა — ხომ არ უკავშირდება გიორგი თავართქილაძის გადაწყვეტილება, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას? მეტიც, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, ძიების შედეგად დაადგინა, რომ ს/ს „ბათუმის ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნის“ დაუფლების მიზნით, რომლის 76%-ს ფლობდა სახელმწიფო, ბრალდებულები — კაპანაძე და კაკალაშვილი, დანაშაულებრივად გაურიგდნენ მღებრიშვილსა და გურგენიძეს. ფინანსთა სამინისტროს ოფიციალური ინფორმაციით, აღნიშნულმა პირებმა შეიმუშავეს გეგმა, რომლითაც ეს კომპანია გაკოტრებულად გამოცხადდა. ამის შედეგად, ქარხნის საწესდებო კაპიტალში არსებული 4 344 856 ლარის ღირებულების უძრავ-მოძრავი ქონება, შპს „ლემისე კომპანიას“ 1 111 000 ლარად გადაეცა. აღნიშნული ქმედებით, სახელმწიფომ 3 233 856 ლარით იზარალა.

გამოძიების მსვლელობისას, სერგი კაკალაშვილისა და ლუხუმ კაპანაძის მიერ ჩადენილი სხვა დანაშაულებრივი ქმედებაც გამოიკვეთა. ქონების გადამალვისა და კრედიტორის წინაშე ქონებრივი ვალდებულებებისგან თავის არიდების მიზნით, საკუთარი კომპანია „ბათოილის“ დირექტორთან, პაატა დათიშვილთან ერთად, რამდენიმე საწარმოს მოჩვენებითი გარიგება გაუფორმეს და „ბათოილის“ ქონება მათზე გადააფორმეს. საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, პაატა დათიშვილიც დააკავეს.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით, 182-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით, ასევე 205-ე პრიმა მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით, რაც თავისუფლების აღკვეთას 6-დან 11 წლამდე ვადით ითვალისწინებს.

დღემდე უცნობია, რატომ დატოვა თანამდებობა გიორგი თავართქილაძემ, ან რა მოხდა სინამდვილეში? მოვლენების ქრონოლოგიას თუ გავყვებით, 4 მარტს, გავრცელდა ინფორმაცია, რომ აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა თანამდებობა დატოვა. მეორე დღეს, გიორგი თავართქილაძე საინფორმაციო სააგენტოების წარმომადგენლებს უცხადებს, რომ ის ჯერ კიდევ მინისტრია, მაგრამ იმავე დღეს, აჭარის მთავრობის კანცელარიის წარმომადგენლები, საინფორმაციო სააგენტოების საშუალებით ავრცელებენ გიორგი თავართქილაძის განცხადებას თანამდებობის დატოვების შესახებ. ეს განცხადება კი 2013 წლის 13 თებერვლით თარიღდება!

დავით ბაციკაძე: „არ ვიცი, რატომ მიიღო ასეთი გადაწყვეტილება გიორგი თავართქილაძემ, ან რატომ ჩააბარა განცხადება მთავრობის კანცელარიაში, მაგრამ ფაქტია, აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ კანონიერად გაათავისუფლა ადამიანი, რომელსაც ამ თანამდებობაზე მუშაობა არ უნდოდა“

სიტუაციაში უკეთ გარკვევის მიზნით, „ვერსია“ აჭარის უზენაესი საბჭოს დეპუტატს, დავით ბაციკაძეს დაუკავშირდა:

— ნამდვილად არ ვფლობ იმაზე მეტ ინფორმაციას, რაც თქვენ, ყველამ ნახეთ. გავარკვიე, რომ გიორგი თავართქილაძეს მართლაც ჰქონდა დაწერილი განცხადება, რომელიც აჭარის მთავრობის კანცელარიას, 10 თებერვალს ჩააბარა, რომელიც რეგისტრაციაში 13 თებერვალს გაატარეს. ამ ფაქტს გიორგი თავართქილაძეც არ უარყოფს, ამიტომ მთავრობის თავმჯდომარეს სრული უფლება ჰქონდა, ამ განცხადებაზე ხელი მოეწერა და მისი სურვილი დაეკმაყოფილებინა. არც ის არის კანონის დარღვევა, რომ 13 თებერვლით დათარიღებულ განცხადებას 4 მარტს მოაწერეს ხელი. როგორც ჩანს, იმსჯელეს ამ ფაქტთან დაკავშირებით და გადაწყვეტილებაც ამის შემდეგ მიიღეს. პრობლემა იმ შემთხვევაში იქნებოდა, თუკი ჯერ გაათავისუფლებდნენ გიორგი თავართქილაძეს და თანამდებობის დატოვების შესახებ განცხადებას, მისი გათავისუფლების შემდეგ, მომდევნო დღის რიცხვით დაათარიღებდნენ. ნამდვილად არ ვიცი, რატომ მიიღო ასეთი გადაწყვეტილება გიორგი თავართქილაძემ, ან რატომ ჩააბარა განცხადება მთავრობის კანცელარიაში, მაგრამ ფაქტია, აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ კანონიერად გაათავისუფლა ადამიანი, რომელსაც ამ თანამდებობაზე მუშაობა არ უნდოდა.

— ბატონო დავით, ხომ არ უკავშირდება გიორგი თავართქილაძის გათავისუფლება, თუნდაც მისი განცხადების საფუძველზე, იმ ფაქტს, რომ 28 თებერვალს, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა ამ სამინისტროს ორი თანამშრომელი — თამაზ მღებრიშვილი და აბესალომ გურგენიძე დააკავა?

— არა მგონია, რომ გიორგი თავართქილაძემ ამ პირების დაკავების გამო მიიღო ასეთი გადაწყვეტილება, რადგან არც ერთი მათგანი მისი თანამშრომელი არ არის. თქვენს მიერ დასახელებული პირები — თამაზ მღებრიშვილი და აბესალომ გურგენიძე ნამდვილად იყვნენ აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს თანამშრომლები, ოღონდ 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებამდე. ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ მოკვლეული ფაქტებიც სწორედ გიორგი თავართქილაძის წინამორბედს უკავშირდება და არა თვითონ მას, ამიტომ ეს გამოძიება მიზეზი ვერ გახდებოდა.

— თქვენ, როგორც აჭარის უზენაესი საბჭოს დეპუტატი, არ ფლობთ ინფორმაციას, რატომ უნდა გადამდგარიყო სულ რაღაც ორიოდე თვის წინ არჩეული მინისტრი?

— არა, როგორც გითხარით, არანაირ ინფორმაციას არ ვფლობ და სიმართლე გითხრათ, ეს ფაქტი მეც მაკვირვებს.

11 მარტს, გავრცელდა ინფორმაცია, რომ საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში, აჭარის მთავრობის მეთაურს, არჩილ ხაბაძეს საპარლამენტო უმცირესობა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები იბარებენ. აჭარის მთავრობის მეთაურის დაბარების მიზეზი, ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის, გიორგი თავართქილაძის უცნაური გათავისუფლებაა, რაც აჭარაში მართლაც სასაცილო თემად იქცა. აჭარლებს აინტერესებთ, თავართქილაძემ განცხადება დაწერა, თუ არა? თვითონ გადადგა თანამდებობიდან, თუ გაუშვეს? არჩილ ხაბაძეს პარლამენტში, სავარაუდოდ, კვირის ბოლოს ელოდებიან.

წერილი რედაქციას!

„გევედრებით, ჩემი ქვეყნის, ჩემი სამშობლოს სიყვარულს საიქიოს ჯავრად ნუ გამაყოლებთ!“

ვინც „დომენტოლსა“ და „გაგენოლს“ იყენებს, H1N1-ით არც ერთი არ გარდაცვლილა. განა ეს არ უნდა გაითვალისწინონ და არ უნდა იფიქრონ, რომ ეს წამალი გამოიკვლიონ და დაადგინონ, რა ხდება? ვფიქრობ, თუკი თავიანთი ქვეყნის ინტერესებს იცავენ და ქვეყნის სიკეთე უნდათ, ხელისუფლებას ამის შეხსენება არ უნდა სჭირდებოდეს. მე გეუბნებით თქვენ: საქართველო ჩვენი სამშობლოა. მასზე ძვირფასი არაფერი გაგვაჩნია და ყველანი მოვალენი ვართ, მოვუაროთ, როგორც საკუთარ შვილებს. საქართველოს არ უნდა ვცვლიდეთ თანამდებობებსა და სკამებზე. ჩემი ქვეყნის მტერი, პირადად მე, მიმაჩნია მოსისხლედ, საკუთარ მტრად. 2 წელიც და 80-ის შევსრულდები, დიდი დრო აღარ დამრჩენია. გევედრებით, ჩემი ქვეყნის, ჩემი სამშობლოს სიყვარულს საიქიოს ჯავრად ნუ გამაყოლებთ. თუკი მართლაც გიყვართ სამშობლო, დამეხმარეთ. არადა, ჩემი წამლის წართმევა უნდათ: ერთ დღეს, ჩემმა ყოფილმა მეუღლემ ნინელიმ მითხრა, დატოვე ოჯახი და წადიო, ვუთხარი, თუ წავალ, აღარასოდეს დავბრუნდები, ნუ დაბრუნდებიო. წავედი, მე ჩემი სიტყვა შევასრულე და აღარ დავუბრუნდი ოჯახს. ახლა რას მედავებიან, წამალი უნდათ ჩაიგდონ ხელში?

თუკი თქვენი სურვილით მე წავედი სახლიდან
ახლა რას მედავებით ცოტა გვიან, ახლიდან?
მე ხომ თქვენი სურვილით წავედი მიგატოვეთ.
ახლა რას მედავებით, რად წაველ და დაგტოვეთ?
თუკი თვითონ არ იცით სიტყვის სიგრძე განია
მაშ დღეს რად მედავებით, ეს რა ჩემი ბრალია?
ნუთუ თქვენი გაგებით ყველა კაცი ერთია?
მე რომ თქვენთან არ ვტყუი, მოწმე დიდი ღმერთია.
ახლა კარგად იყავით, გინდ გამიგეთ, გინდ — არა,
რა ვქნა, თქვენ თვითონ გიყვართ კაცი ენატარტალა.
ვფიქრობ, არ გეწყინებათ ამ წერილით ნათქვამი,
რადგან თქვენ თვითონ იცით, მე ვარ თქვენთან მართალი.
სად იპოვეთ, არ ვიცი მოსამართლე მოყვარე,
შენი მშობელ დედისა ახლობელი, მოგვარე,
თუმცა ბოლოს შესცვალეთ მოსამართლის გვარია,
მაგრამ თქვენ ვერ დაგაწერთ, ადვოკატის ბრალია.
კოცონი რომ დამინთეთ, მინდა, ყველამ იცოდეს,
იმ დანთებულ კოცონზე დანმთებელი იწვოდეს.
მე არაფერს არ დავთმობ, კვლავაც დაგიბრუნდებით
და თქვენ თვითონ მოგხვდებათ ცივი თოვლის გუნდები,
თუკი თქვენ მართლები ხართ, გისურვებთ, არ შიშობდეთ,
ყველა მართალს ვუსურვებ, არასდროს არ ვიშობდეს.
ახლა კარგად იყავით, კეთილ გზაზე იარეთ,
ოღონდ გთხოვთ და მართალისა ხვედრიც გაიზიარეთ.

დომენტი გაგნიძე, სახალხო მკურნალი

ვანო მერაბიშვილი: „აღეიშვილს ხშირად ვესაუბრები და ხელისუფლებამ ეს მშვენივრად იცის“

„არავითარი საიდუმლოდ, ღიად ვაწარმოებთ საუბარს და ხშირად ვსაუბრობთ ტელეფონით. საიდუმლო აქ არაფერია. ერთი ადამიანით ნაკლები იქნება ამ აქციაზე, თქვენ შეგიძლიათ, ასე დაარქვათ. ის, ალბათ, არ ჩამოვა საქართველოში უახლოეს თვეებში, როგორც მინიმუმ“, — განაცხადა მერაბიშვილმა.

მისივე თქმით, არავითარი საიდუმლო მოლაპარაკებები მეგობრებთან არ სჭირდება, ეს ღიაა და მშვენივრად იცის ხელისუფლებამაც, ვინაიდან მერაბიშვილი დარწმუნებულია, რომ ყველა სატელეფონო საუბარი ჩაწერილი აქვთ. მერაბიშვილის თქმით, იუსტიციის ყოფილი მინისტრი მის მეგობრად რჩება და მწუხარება გამოთქვა, რომ ძალიან ბევრი მისი მეგობარი და რჩეული ადამიანი იძულებულია, დატოვოს საქართველო.

„ძალიან ხშირად, საქართველოს პოლიტიკურ ელიტას უწევდა ქვეყნის დატოვება და ეს არის დადასტურება, რომ საქართველოში არიან ძალები, რომელთაც არ ესმით ქვეყნის მომავალი, დემოკრატიზაციის, ევროპეიზაციის და ისეთ რეპრესიებს ახორციელებენ ყოველდღიურად, რომ ჩვენს მოქალაქეებს უწევთ ქვეყნის გარეთ ყოფნა. ეს კიდევ ერთხელ მეტყველებს ჩვენი ხელისუფლების გაუაზრებელ ნაბიჯებზე. რეპრესიები არ არის საქართველოს მომავალი“, — განაცხადა მერაბიშვილმა.

„პირველი“

სამი პოზიცია ვენეციის კომისიის დასკვნაზე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეფორმირებასთან დაკავშირებით იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებულ საკანონმდებლო ცვლილებებზე ვენეციის კომისიამ რამდენიმეთვიანი მუშაობის შედეგად საკუთარი დასკვნა გამოაქვეყნა. დასკვნას ეთანხმება ხელისუფლებაც, ოპოზიციაც და არასამთავრობო სექტორიც.

ახალი შესწორებები ხელს უწყობს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებლობისკენ პროგრესს, რადგან ისინი მიმართულია მოქმედი კანონმდებლობის ნაკლოვანებების გამოსწორებისკენ," *- ამის შესახებ ვენეციის კომისიის დასკვნაშია ნათქვამი. ვენეციის კომისია წერს, რომ მიესალმება ცვლილებების განხორციელებას.*

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეფორმირებასთან დაკავშირებით ცვლილებათა პაკეტი იუსტიციის სამინისტრომ ცოტა ხნის წინ მოამზადა, ცვლილებების დიდ ნაწილს სასამართლო ხელისუფლებაც დაეთანხმა, თუმცა კანონპროექტში იყო რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენელთა აზრით ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციასა და ქვეყნის ამ უმთავრესი კანონით გარანტირებულ მოსამართლეთა დამოუკიდებლობის პრინციპს. სწორედ ამ უთანხმოების გამო, სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენელებმა ვენეციის კომისიას მიმართეს.

"მივესალმები ვენეციის კომისიის ჩართულობას ნებისმიერ ისეთ საკითხში, რომელიც ეხება სასამართლო სისტემას, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობას. საერთო ჯამში, დადებითად ვაფასებ ამ პროცესს, რომელიც რამდენიმე თვის განმავლობაში მიმდინარეობდა "სასამართლო ხელისუფლების შესახებ" კანონპროექტის განხილვის პროცესში. მინდა დადებითად შევაფასო ის დასკვნა, რომელიც წარმოდგენილი იყო ვენეციის კომისიის სხდომაზე და ის განმარტებები, რომელიც ვენეციის კომისიამ გააკეთა", - განაცხადა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილმა, რომელიც პირადად იმყოფებოდა ვენეციის კომისიაში, ვენეციის კომისიის რეკომენდაციით კმაყოფილია და იმედს გამოთქვამს, რომ ვენეციის კომისიის დასკვნაში მოცემული რეკომენდაციები ზუსტად აისახება კანონში. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის განცხადებით, სასამართლო მზადაა ყველა მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებთან, მომავალშიც ითანამშრომლოს, როგორც საკანონმდებლო, ასევე აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილი აცხადებს, რომ ყველა საკამათო საკითხი, რომელიც სასამართლო, საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებებს შორის არსებობდა, ვენეციის კომისიამ სასამართლოს პოზიციის შესაბამისად ასახა დასკვნაში. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე იმედოვნებს, რომ რეკომენდაციები, რომელიც კომისიამ შეიმუშავა, კანონმდებლობაში აისახება.

"უზენაესი სასამართლო მიესალმება სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე პროცესში ვენეციის კომისიის ჩართულობას. მისასალმებელია ის გარემოება, რომ ვენეციის კომისიამ გაითვალისწინა სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენელთა შენიშვნები და თავის დასკვნაში მიუთითა, რომ "სასამართლო ხელისუფლების მომავალი ფუნქციონირებისა და ორგანიზაციული საკითხების შემუშავების დროს საკანონმდებლო უფლებამოსილების გამოყენებისას პარლამენტმა თავი უნდა შეიკავოს ისეთი ზომების მიღებისგან, რომელიც საფრთხეს შეუქმნის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის უწყვეტობას," - აცხადებს კოტე კუბლაშვილი, რომლის თქმითაც, ვენეციის კომისია მიიჩნევს, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტების ახალი წესის ამოქმედება ავტომატურად არ უნდა იწვევდეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ძველი შემადგენლობის უფლებამოსილების შეწყვეტას. როგორც კოტე კუბლაშვილი აცხადებს, ვენეციის კომისიის დასკვნის მიხედვით, ამ ცვლილების ამოქმედება ახალი მთავრობის ან საპარლამენტო უმრავლესობის მიერ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მისთვის არასასურველი შემადგენლობის საკონონმდმებლო ცვლილებების გზით შეცვლის გაუმართლებელ და სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის ხელმყოფ პრეცედენტს შექმნიდა.

კოტე კუბლაშვილის ინფორმაციით, ვენეციის კომისიის რეკომენდაციით, სასამართლოების თავმჯდომარეებს, თავმჯდომარის პირველ მოადგილეებს, მოადგილეებს, პალატებისა და კოლეგიების თავმჯდომარეებს და ყველა იმ პირებს, რომლებსაც აღნიშნული პოზიციები ეკავათ საბჭოს არჩევნებამდე ბოლო 1 წლის განმავლობაში უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, იყვნენ საბჭოს წევრობის კანდიდატები: შესაძლებელია, კანონმა დააწესოს შეზღუდვები საბჭოს შემადგენლობაში მყოფი თავმჯდომარეების რაოდენობასთან მიმართებაში; ასევე, შესაძლებელია, კანონმა დააწესოს მოთხოვნა, რომ სასამართლოს თავმჯდომარის საბჭოში არჩევის შემთხვევაში, მას მოუხდეს თავმჯომარის თანამდებობის დატოვება.

ვენეციის კომისია იძლევა რეკომენდაციას, ამოღებულ იქნას მუხლი, რომელიც ითვალისწინებს, რომ ახალი კანონის ამოქმედებისთანავე, "იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ძველ შემადგენლობას, გარდა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა, შეუწყდება უფლებამოსილება."

ვენეციის კომისიის რეკომენდაციით, მომავალში შესაძლებელია განხილული იქნეს სხვა გარდამავალი დებულების მიღება, რომელიც არსებულ საბჭოს შემადგენლობას დააახლოებს მისი მომავალში დაკომპლექტების მეთოდთან. მაგალითად, იმის მითითებით, რომ სასამართლოს მოქმედი თავჯდომარეები უნდა გადადგნენ თავმჯდომარეობიდან იმისთვის რომ შეინარჩუნონ საბჭოს წევრობა. შესაძლოა, ასევე გადაიხედოს ადმინისტრაციული კომიტეტის მიერ მოსამართლეთა კონფერენციის ნაცვლად მოსამართლეთა დანიშვნის პროცედურა", - აცხადებს კოტე კუბლაშვილი.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობა აუცილებლად შეიცვლება და ძალიან მოკლე დროში გვეყოლება საბჭოს აბსოლუტურად ახალი შემადგენლობა," - ამის შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა განაცხადა, რომლის თქმითაც, ამას ეთანხმება ვენეციის კომისიაც, თუმცა წინააღმდეგ შემთხვევაშიც, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობის ფორმირება მაინც მოხდებოდა.

"ვენეციის კომისიამ ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი რამ თქვა, აღნიშნა, რომ რეფორმას, რომლის ავტორია იუსტიციის სამინისტრო, მოსდევს პროგრესი და ის ჩვენს მართლმსაჯულებას აახლოებს ევროპულ სტანდარტებთან, ამიტომ ბუნებრივია მთავრობა კმაყოფილია. რაც შეეხება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგელობას, მისი ცვლილება აუცილებლად მოხდება, ამას ეთანხმება ვენეციის კომისია და რომც არ ეთანხმებოდეს იუსტიციის უმაღლესი საბჭო საჭიროებს ცვლილებას. ვენეციის კომისია ეთანხმება იმას, რომ პრეზიდენტს აღარ ჰყავდეს იქ წევრები, რომ დეპუტატები აღარ იყვნენ იუსტიციის საბჭოში და ეთანხმება იმასაც, რომ არ შეიძლება იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მოსამართლეთა კორპუსს წარმოადგენდეს მხოლოდ და მხოლოდ თავმჯდომარეები, გამომდინარე იქიდან რომ რვა მოსამართლე წევრიდან ექვსი წევრი თავმჯდომარეა, ეს თავმჯდომარეები უნდა შეიცვალონ," - ასეთია იუსტიციის მინისტრის პოზიცია.

თეა წულუკიანის განცხადებით, მათი სურვილია, საბჭოს ახალი წევრები კონფერენციამ დემოკრატიული წესით აირჩიოს.

"ჩვენ გვინდა, რომ კონფერენციამ ახალი წევრები აირჩიოს დემოკრატიული წესით და ამაში ვგულისხმობ ორ რამეს: პირველი - არსებული მოდელისგან განსხვავებით კენჭისყრა იქნება ფარული და მეორე - კოტე კუბლაშვილს იმიტომ, რომ ის არის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე არ ექნება ექსკლუზიური უფლება კანდიდატების დასახელების. ორივე ეს ცვლილება პოზიტიურად იქნა შეფასებული ვენეციის კომისიის მიერ, ამიტომ ისღა დაგვრჩენია მომავალი კვირიდან პარლამენტში შევუდგეთ კანონპროექტის მეორე მოსმენით განხილვას," - აცხადებს კანონპროექტის ავტორი უწყების ხელმძღვანელი.

იუსტიციის მინისტრის განმარტებით, იუსტიციის საბჭო სულ 15 წევრისგან შედგება, აქედან ორი წევრი პრეზიდენტის კვოტით დანიშნული აღარ იქნება, ასევე აღარ იქნებიან საბჭოში დეპუტატები და რვა წევრი მოსამართლე ვეღარ იქნება საბჭოს წევრი, თუ ის ადმინისტარციული კომიტეტის მიერ არჩეულია ან სასამართლოს თავმჯდომარეა. მინისტრის თქმით, დღეს მოქმედ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობას ახალი კანონის ამოქმედებიდან ორი კვირის ვადა მიეცემა, რათა კონფერენციამ არჩევნები თავიდან ჩაატაროს.

"ძალიან მოკლე დროში ჩვენ გვეყოლება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აბსოლუტურად ახალი შემადგენლობა", - ასეთია იუსტიციის მინისტრის პოზიცია.

ვენეციის კომისიის რეკომენდაციოთ საქართველოსთვის შეთავაზებული იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოდელი არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის მისაღებია. არასამთავრობო ორგანიზაციები "საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო", "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" და "საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისთვის" მიესალმებიან ვენეციის კომისიის მოსაზრებებს იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებულ კანონპროექტთან დაკავშირებით.

ქართული არასამთავრობო სექტორის პოზიციაა, რომ უმჯობესი იქნება, თუ უფლებამოსილება ვადაზე ადრე არ შეუწყდებათ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს იმ წევრებს, რომლებიც მოსამართლეთა კონფერენციის მიერ არიან არჩეული და არ ახორციელებენ ადმინისტრაციულ ფუნქციებს. სხვა შემთხვევებში კი, ქართული არასამთავრობოები იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტას არ ეწინააღმდეგებიან," - აცხადებს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" თავმჯდომარე კახა კოჟორიძე, რომლის განმარტებითაც, ვენეციის კომისიის დასკვნის პროექტის ძირითადი პრინციპები და არსი მათ მიერ მოწონებულია.

"სასამართლო სისტემის რეფორმირების მიზნით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ შემუშავებული კანონპროექტის დიდი ნაწილი ასახავს იმ რეკომენდაციებს, რომლებიც არასამთავრობო ორგანიზაციებს ბოლო წლების განმავლობაში დაგვიგროვდა. კანონში ამ რეკომენდაციების გათვალისწინების შედეგად იზრდება ინდივიდუალური მოსამართლის როლი. ჟურნალისტებს ექნებათ მათთვის საინტერესო სასამართლო პროცესების ტრანსლირების შესაძლებლობა. მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგმება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დეპოლიტიზების მიმართულებით, რადგან არც პრეზიდენტს ექნება წევრების დანიშვნის უფლება და არც დეპუტატებს ექნებათ შესაძლებლობა, გახდნენ საბჭოს წევრები; გაიზრდება მოსამართლეთა თვითმმართველობის როლი და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს აღარ ექნება ექსკლუზიური უფლებამოსილება, დაასახელოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატები. ეს უფლება ექნება თითოეულ მოსამართლეს და მოსამართლეთა კონფერენცია ფარული კენჭისყრით აირჩევს მისთვის სასურველ კანდიდატებს", - ასეთია "საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" აღმასრულებელი დირექტორის ეკა გიგაურის პოზიცია.

არასამთავრობოების განმარტებით, ყველა ამ სიახლეს ვენეციის კომისია დადებითად აფასებს. არასამთავრობო სექტორი მიიჩნევს, რომ უნდა გამოინახოს რესურსი, რათა აღნიშნული კანონპროექტი სასამართლო ხელისუფლების, მთავრობის საპარლამენტო უმრავლესობისა და უმცირესობის პოზიციების მაქსიმალურად დაახლოებისა და შეთანხმების გზით იყოს მიღებული და არა მწვავე დაპირისპირების რეჟიმში.

"მისასალმებელია, რომ ამ მხრივ, გარკვეული დადებითი ტენდენციები არსებობს, გამოვთქვამთ მზაობას, რომ ამ პროცესს შეძლებისდაგვარად ხელი შევუწყოთ," - აცხადებენ არასამთავრობოები.

უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა, რითაც მკაფიოდ განსაზღვრა დანაშაულის შეუტყობინებლობის სუბიექტთა წრე.

პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების მიერ დადგენილი ფაქტების

შესაბამისად, პ. ს-ე, თავის ორ მეგობართან - ზუ. და ზა. კ-ძეებთან ერთად,

მიკროავტობუსით მგზავრობდა თბილისის მიმართულებით. მათ შელაპარაკება მოუხდათ თ. და რ. კ-ოვებთან, რაც გადაიზარდა ჩხუბში. პ. ს-ე, ზა. და ზუ. კ-ძეები მათ უცენზურო სიტყვებით აყენებდნენ სიტყვიერ და ასევე ფიზიკურ შეურაცხყოფას.

წარმოქმნილი ხმაურის გამო, მძღოლი იძულებული გახდა გაეჩერებინა ავტომანქანა, რის შემდეგაც ისინი ჩამოვიდნენ მიკროავტობუსიდან და ჩხუბი გაგრძელდა ქუჩაში.

მიკროავტობუსიდან ჩამოვიდნენ მოქალაქეებიც, რომლებიც ცდილობდნენ კონფლიქტის განეიტრალებას. მიუხედავად ამისა, ჩხუბი გაგრძელდა 5-10 წუთის განმავლობაში.

საქმის მასალებით, ჩხუბის დროს პ. ს-ძემ განიზრახა რ. და თ. კ-ოვების განზრახ მოკვლა და დანით ჯერ რ. კ-ოვს მიაყენა სასიკვდილო ჭრილობები გულ-მკერდის არეში, რომელიც გარდაიცვალა, ხოლო შემდეგ თ. კ-ოვს მიაყენა მრავლობითი ჭრილობები გულ-მკერდისა და მუცლის არეში, რომელიც გადარჩა სიკვდილს. მიუხედავად იმისა, რომ ზა. და ზუ. კ-ძეებმა დაინახეს, თუ როგორ მიაყენა დანით სასიკვდილო ჭრილობები პ. ს-ძემ რ. კოვს, იმ მოტივით, რომ შეეცოდათ პ. ს-ძე და შეეშინდათ, არ შექმნოდათ პრობლემები პოლიციასთან, დამალეს მძიმე დანაშაულის ჩადენის ფაქტი.

საკასაციო პალატამ, ერთის მხრივ, გაიზიარა ქვემდგომი სასამართლოების

გადაწყვეტილება ზა. და ზუ. კ-ძეების საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის

239-ე მუხლით (ხულიგნობა) მსჯავრდების ნაწილში, მეორეს მხრივ, არასწორად

მიიჩნია სასამართლოს მიერ მათი ქმედების სამართლებრივი შეფასება დანაშაულის

შეუტყობინებლობისთვის მსჯავრდების ნაწილში.

პალატამ განმარტა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 376-ე მუხლი

ითვალისწინებს პასუხისმგებლობას დანაშაულის შეუტყობინებლობისათვის. მოცემულ შემთხვევაში მსჯავრდებულებმა - ზა. და ზუ. კ-ძეებმა შესაბამის ორგანოებს არ შეატყობინეს ფაქტობრივად მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის თაობაზეც, რის გამოც, მათი ქმედების ამ მუხლით დაკვალიფიცირება არასწორია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ მსჯავრდებულების - ზა. და ზუ. კ-

ძეების მიმართ შეწყვიტა სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსკ-ის 376-ე

მუხლით ბრალდების ნაწილში.

Project was prepared by „Public Initiatives Group“
Tel: 5 99 36 36 60;
Email: samartalis3@gmail.com

სიახლეები კანონმდებლობაში

დაცვის მხარეს ისეთი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების უფლება ეძლევა, როგორიცაა ჩხრეკა და ამოღება. საგამოძიებო მოქმედების ჩატარების წესებში საკანონმდებლო ინიციატივით მთავრობა პარლამენტში უკვე შევიდა. ცვლილებების მიღების შემთხვევაში "სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს" სიახლე დაემატება.

დღეს მოქმედ კოდექსში წერია, რომ დაცვის მხარე არ არის უფლებამოსილი, ჩხრეკის ან ამოღების ჩატარების თაობაზე შუამდგომლობით სასამართლოს მიმართოს. საკანონმდებლო პაკეტით მას ეს უფლება ეძლევა და ამავე პროექტის გათვალისწინებით, ექნება შესაძლებლობა, მოითხოვოს და დაუბრკოლებლად მიიღოს დოკუმენტი თუ სხვა ნივთიერი მტკიცებულება სახელმწიფო ორგანოებიდან და კერძო დაწესებულებებიდან.

"სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში" დაგეგმილი ცვლილებებით, სიახლე იქნება ისიც, რომ დაცვის მხარის შუამდგომლობით საგამოძიებო მოქმედება არ შეიძლება იმ გამომძიებელმა ჩაატაროს, რომელიც მოცემულ საქმეზე გამოძიებას აწარმოებს. ამასთან, დაუშვებელი ხდება საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას პროკურორის დასწრებაც.

"სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში" კიდევ ერთი ცვლილება შედის, რომლის მიხედვით, მხარეებს შეუძლიათ გადაწყვეტილება საქმის ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე განხილვის თაობაზე, შეთანხმების შედეგად მიიღონ. კანონპროექტის ავტორი და ინიციატორი საქართველოს მთავრობაა.

ქვეყნის კონსტიტუციის მიხედვით, საერთო სასამართლოებში საქმეები ნაფიცი მსაჯულების მიერ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით განიხილება. საქმის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ განხილვასთან დაკავშირებულ საკითხებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არეგულირებს, რომლის მიხედვით, ბრალდებულს შეუძლია იშუამდგომლოს და შესაბამისი სისხლის სამართლის საქმის ნაფიცების გარეშე განხილვა მოითხოვოს. თუმცა, მეორეს მხრივ, ამავე კოდექსის 226-ე მუხლიდან გამომდინარე, შესაძლოა, სასამართლომ ბრალდებულს უარი უთხრას, როდესაც მას სურს მისი საქმე ნაფიცმა მსაჯულებმა განიხილონ.

"ამდენად, კანონპროექტის მიღების მიზეზია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული პროცედურების, კერძოდ, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხების დაზუსტების აუცილებლობა," - ნათქვამია კანონპროექტის განმარტებით ბარათში.

კიდევ ერთი სიახლე იქნება ის, რომ ერთსა და იმავე სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებული პირების ერთ საკანში მოთავსება აიკრძალება. აქედან გამომდინარე, ცვლილებები შედის "პატიმრობის კოდექსში" და "საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში", რომლის განხილვაც იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე მოეწყო. საკითხი განსახილველად იუსტიციის მინისტრის მოადგილე ალექსანდრე ბარამიძემ წარადგინა, რომლის განცხადებითაც, წარმოდგენილი ცვლილებებით, 2006 წლამდე არსებული სტატუსკვო აღდგება. მისი ინფორმაციით, წარმოდგენილი აკრძალვა 2006 წლამდე არსებობდა და არსებობს ეჭვი, რომ მისი გაუქმება სანდრო გვირგვლიანის საქმეზე ბრალდებული პირების გამო განხორციელდა.

კომიტეტის სხდომაზე პარლამენტის წევრის, კობა დავითაშვილის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით მომზადებული "ნოტარიატის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე" კანონპროექტიც განიხილეს. მომხსენებლის განცხადებით, კანონპროექტით განისაზღვრება იმ პირთა ჩამონათვალი, რომლებიც ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო ან მისი პროფესიული ნაწილის ჩაბარების ვალდებულებისგან თავისუფლდებიან.

საკითხის განხილვას სხდომაზე აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა. იუსტიციის მინისტრის მოადგილემ ამ ეტაპისთვის საკითხის გადატანა და მასზე მუშაობის გაგრძელება ითხოვა. მსჯელობის შედეგად კომიტეტმა კენჭი უყარა და მიიღო კომიტეტის თავმჯდომარის ვახტანგ ხმალაძის წინადადება, კერძოდ კი, კომიტეტში შეიქმნება მრჩეველთა საბჭო, რომელიც პარლამენტის წევრებით, იუსტიციის სამინისტროს, ადვოკატთა და ნოტარიუსთა პალატის წარმომადგენლებით დაკომპლექტდება და საკითხის მომზადება კომპლექსურად მოხდება.

საკასაციო პალატის გადაწყვეტილება

უზენაესმა სასამართლომ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა, რომლითაც ერთმანეთისგან განასხვავა ნარკოტიკული ნივთიერების შეძენა, შენახვა, გასაღების დანაშაულის დამამძიმებელი გარემოებები.



პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების მიერ დადგენილი ფაქტების

შესაბამისად, დ. თ-ა რუსთავის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 7 დეკემბრის

განაჩენით ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე

ნაწილის ა", ბ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში.

გამოსაცდელი ვადის პერიოდში, მან თურქეთის რესპუბლიკაში უკანონოდ შეიძინა 0,1216 გრამი ნარკოტიკული საშუალება - კანაფის ფისის" შემცველი მომწვანო-მოყავისფრო 1,15 გრამი მყარი ნივთიერება, რის შემდეგაც თურქეთის

რესპუბლიკიდან გამოემგზავრა საქართველოში და ნამოიღო მის მიერ უკანონოდ

შეძენილი და შენახული დასახელებული ნარკოტიკული საშუალება. საქართველო-თურქეთის სახელმწიფო საზღვრის სასაზღვრო-საკონტროლო პუნქტ სარფის" გავლით მან გადმოკვეთა საქართველო-თურქეთის სახელმწიფო

საზღვარი, რა დროსაც იგი დააკავეს, ხოლო ჩატარებული პირადი ჩხრეკის შედეგად

ქურთუკის ზედა, მარცხენა ჯიბიდან ამოიღეს ხსენებული ნარკოტიკული

საშუალება.

საკასაციო პალატამ გაიზიარა რა ქვემდგომი სასამართლოების შეფასება ნარკოტიკული საშუალების შემოტანის ნაწილში, მიიჩნია, რომ მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვის ნაწილში არასწორად იყო დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის "ე" ქვეპუნქტით (ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა, შენახვა და გადაზიდვა იმის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს საქართველოს სსკ-ის XXXIII თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული).

პალატამ განმარტა, რომ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლით გათვალისწინებული

დანაშაულის ჩადენის დროს, თუ პირს ადრე ჩადენილი აქვს არა ამ მუხლით, არამედ

ნარკოტიკული დანაშაულის თავით გათვალისწინებული რომელიმე სხვა დანაშაული, მისი ქმედება დაკვალიფიცირდება საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ე" ქვეპუნქტით, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ პირს ადრე ჩადენილი აქვს იმავე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, მისი ქმედება დაკვალიფიცირდება 260-ე მუხლის მეორე ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, როგორც არაერთგზის ჩადენილი დანაშაული, ვინაიდან განსახილველი დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლის შინაარსიდან გამომდინარე (საქართველოს კანონის 2007 წლის 4 ივლისის ცვლილება), არაერთგზისობა გულისხმობს წინათ ნასამართლევი პირის მიერ ამ კოდექსის იმავე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ მსჯავრდებულ დ. თ-ავას მიერ

ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება, დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის "ე" ქვეპუნქტით, გადააკვალიფიცირა ამავე მუხლის მეორე ნაწილის "დ" ქვეპუნქტზე (ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა, შენახვა და გადაზიდვა, ჩადენილი არაერთგზის).

მსჯელობა მართლმსაჯულებაზე

გარდამავალ პერიოდში მართლმსაჯულების სფეროში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის, იუსტიციის სამინისტროს ორგანიზებით და ღია საზოგადოების ფონდის" ფინანსური მხარდაჭერით მრგვალი მაგიდა მოეწყო.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ ხმალაძემ შეხვედრის მოსალოდნელ შედეგებზე და იმ პრობლემებზე ისაუბრა, რომელიც საქართველოში მართლმსაჯულების კუთხით არსებობს. მისი განცხადებით, ამ სფეროში უამრავი პრობლემაა დაგროვილი, რომელიც ცვლილებებს და რეფორმას საჭიროებს.

ახალმა ხელისუფლებამ გარკვეული ღონისძიებების გატარება უკვე დაიწყო, როგორიცაა, მედია საშუალებების მიერ სასამართლო სხდომების გაშუქება და იუსტიციის საბჭოს საკითხი. მნიშვნელოვანია, რომ სასამართლო სისტემის სრული დეპოლიტიზირება ბოლომდე იქნეს მიყვანილი და ამ პრობლემის მოგვარებისთვის ჩვენ რამდენიმე მიდგომა გვაქვს შემუშავებული", - განაცხადა ვახტანგ ხმალაძემ. მისივე განცხადებით, რეფორმების ინიციატორებისთვის მნიშვნელოვანია ექსპერტების მოსაზრებების და საერთაშორისო გამოცდილების გაცნობა, რის საშუალებასაც მსგავსი შეხვედრები იძლევა.

გაგაცნობთ ჩვენს გეგმებს, თუ რას და როგორ ვაპირებთ, ასევე, მოვისმენთ თქვენს წინადადება - რეკომენდაციებს, რომლის შემდეგაც ჩვენი მიდგომების კორექტირებას მოვახდენთ", - დასძინა კომიტეტის თავმჯდომარემ.

მრგვალი მაგიდის მუშაობაში მონაწილეობა პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილმაც მიიღო.

აუცილებელია სისტემის რეფორმირება, თუმცა ღონისძიებების ჩატარებამ გარდამავალ პერიოდში მართლმსაჯულებას ხელი არ უნდა შეუშალოს. მრგვალი მაგიდის ამოცანაა მოვისმინოთ ერთმანეთის მოსაზრებები და ერთად ვიმსჯელოთ თუ რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას, რათა დღეს არსებული ვითარება შეიცვალოს. სამართალდამცავ ორგანოებში უამრავი საჩივარია შემოსული და მათი უმეტესობა საჯარო მოხელეების მიმართ არის გამოთქმული. იმისათვის, რომ ყველა განცხადებას და საჩივარს სათანადო რეაგირება მოჰყვეს, აუცილებელია ახალი მექანიზმების და კონკრეტული მოდელების შემუშავება", - განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

პარლამენტის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა იმ წარმომადგენლობით დელეგაციას, რომლებიც დაინტერესდნენ აღნიშნული საკითხით და მონაწილეობა მიიღეს ღონისძიების მუშაობაში. მათ შორის, ევროკავშირის სპეციალურ მრჩეველს იურიდიულ, საკონსტიტუციო რეფორმებისა და ადამიანის უფლებების საკითხებში, თომას ჰამერბერგს, ღია საზოგადოების ფონდების საპატიო პრეზიდენტს და Human Rights Watch-ის დამფუძნებელს, არიე ნეიერს და ოჰაიოს უნივერსიტეტის პროფესორს ჰოვარდ ფენტონს.

გარდამავალ პერიოდში მართლმსაჯულების საკითხებთან დაკავშირებული მრგვალი მაგიდის მუშაობაში მონაწილეობა პარლამენტის წევრებმა, იუსტიციის მინისტრმა, თეა წულუკიანმა, მთავარმა პროკურორმა არჩილ კბილაშვილმა, სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა, მართლმსაჯულების ექსპერტ-სპეციალისტებმა და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა მიიღეს.

პროექტს ახორციელებს
"საზოგადოებრივ ინიციატივათა ჯგუფი"
ელ-ფოსტა: samartalis3@gmail.com

ბავშვების გასართობად მაშას და დათვის ერთი საათით გამოძახება ქართველ მშობლებს 500 ლარი დაუჯდებათ!

რატომ აუკრძალა ბავშვთა გასართობი ცენტრის „მულტი-პულტის“ მფლობელმა სხვა ცეტრების მეპატრონეებს „მაშა და დათვის“ ესკიზის გამოყენება

ნინო ხარშილაძე
599-55-63-56

ორიოდე კვირის წინ, საბავშვო გასართობი ცენტრები, ცნობილი რუსული მულტფილმის „მაშა და დათვის“ გმირების გამოძახებაზე, მომხმარებელს უარს ეუბნებოდნენ. გაწბილებულ მშობლებს კი ამის მიზეზად, შპს „მულტი-პულტის“ მიერ, ამ პროდუქციის გამოყენების აკრძალვას უსახელებდნენ.

„ვერსია“ ინფორმაციის გადასამოწმებლად ერთ-ერთი საბავშვო გასართობი ცენტრის მფლობელს, ნანა გირკელიძეს დაუკავშირდა, რომელმაც დაგვიდასტურა, რომ გასართობ ცენტრებს რუსული ზღაპრის „მაშა და დათვის“ ესკიზის გამოყენება ნამდვილად აუკრძალეს.

„მულტფილმ „მაშა და დათვის“ ფორმები საკმაოდ ძვირი ღირს და დაახლოებით, 2 200 დოლარამდე ჯდება. ერთ ფორმას რამდენიმე ცენტრი ვატრიალებდით. ერთ-ერთ ცენტრს დაურეკეს და გააფრთხილეს, რომ ეს ესკიზი აღარ გამოეყენებინათ. „მულტი-პულტი“ ოფიციალურად ფლობს ლიცენზიას, მათ გარდა, სხვას არ აქვს უფლება, „მაშა და დათვის“ ესკიზები გამოიყენოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, დანარჩენ ცენტრებს დაგვაჯარიმებდნენ. მესმის, რომ ლიცენზია მათ აქვთ და ესკიზებს საერთოდ არ გამოვიყენებთ, მაგრამ ხელმისაწვდომი ფასი მაინც დაადონ. დაბადების დღეზე რომ ეს გმირები გამოიძახო, ერთი საათი 500 ლარი დაჯდება. ჩვენთან კი 90 ლარი ღირს“, — განუცხადა „ვერსიას“ **ნანა გირკელიძემ**.

„ვერსია“ შეეცადა გაერკვია, ვის ეკუთვნის შპს „მულტი-პულტი“, ან რის საფუძველზე მიიღო ესკიზების ექსკლუზიურად გამოყენების უფლება. კომპანიის მფლობელი ვინაობას კატეგორიულად არ ამხელს. კომენტარს კი მისი საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, ლაშა ჩხარტიშვილი აკეთებს:

— ლიცენზია 2012 წლის 21 დეკემბერს, რუსეთში ავიღეთ. ოფიციალური უფლებამოსილება გვაქვს, „მაშა და დათვთან“ დაკავშირებული, ნებისმიერი პროდუქცია შევთავაზოთ ქართველ მაყურებელსა და მომხმარებელს. უახლოეს მომავალში, ფუნქციონირებას დაიწყებს საბავშვო ცენტრი — „მაშა და დათვი“.

ვისაც ამ მულტფილმზე კანონმდებლობით ეკუთვნის საავტორო უფლება, ყველაფერს მასთან ვათანხმებთ, მაგალითად, როგორ უნდა გამოიყურებოდნენ მთავარი გმირები — მაშა და დათვი. ეს პერსონაჟები ზუსტად ისეთები უნდა იყვნენ, როგორებიც მულტფილმში არიან.

— სხვა ცენტრებში ამ გმირების გამოძახება 90 ლარი ღირდა, თქვენთან 500 ლარია, რატომ?

> **— რაკი „მულტი-პულტი“ ოფიციალური წარმომადგენლობაა და ლიცენზიის მფლობელია საქართველოში, ყველა გამოძახებასა და სპექტაკლის თამაშზე, ვალდებულები ვართ, გარკვეული თანხა გადავურიცხოთ იმ კომპანიას, რომელიც საავტორო უფლებებს ფლობს. ამა თუ იმ ქვეყანაში, ლიცენზია მხოლოდ ერთ კომპანიაზე გაიცემა. რუსეთშიც მხოლოდ ერთ ფირმას აქვს უფლება, „მაშა და დათვის“ ესკიზები გამოიყენოს. რაკი ჩვენ ლიცენზირებული კომპანია ვართ, ჩვენი „მაშა და დათვი“ ხარისხიანი და ზუსტად ისეთივეა, როგორც მულტფილმშია, ამიტომ შესაძლოა, ფასი ცოტა ძვირია. სავარაუდოდ, ამ გმირებზე გამოძახება აღარ გვექნება, მხოლოდ სპექტაკლებს დავდგამთ.**

— მიკი-მაუსზე, ფიფქიასა და 7 ჯუჯაზე, იხვ დონალდზე, თოვლის ბაბუასა და სხვა გმირებზე, ლიცენზიები აღებული გაქვთ?

— თოვლის ბაბუაზე ლიცენზიას ვერ აიღებ, ის სახალხო გმირია და არავის აქვს უფლება, ამ პერსონაჟის გამოყენება აგვიკრძალოს. რაც შეეხება „მიკი-მაუსს“, მოლაპარაკებები გვქონდა უოლტ დისნეის სტუდიასთან, მაგრამ ფიზიკურად არ არსებობს ლიცენზია, რომლის გაცემაც, თავად შეუძლიათ. დისნეის სტუდიის წარმომადგენლებს კარგად ვიცნობ და ვმეგობრობ მათთან. ისინი საქართველოში რომ ჩამოვიდნენ და ნახონ მიკი-მაუსი ან დისნეის პერსონაჟები, მათ გამოყენებას ყველას აუკრძალავენ. ისინი თავის პროდუქციას მხოლოდ ისეთ ქვეყნებში ყიდიან, სადაც ბევრი მდიდარი და პოპულარული ადამიანი ცხოვრობს. უოლტ დისნეის სტუდია საქართველოს თავის პროდუქციას არ მიჰყიდის, მაგრამ მისი წარმომადგენლები ჩვენს ქვეყანაში, სავარაუდოდ, ივნისში ჩამოვლენ.

— მაშას და დათვის ესკიზის გამოყენებაზე ლიცენზია სად აიღეთ?

— რუსეთში, რადგან „მაშა და დათვი“ რუსული კომპანიაა და ეს ლიცენზიაც იქ გაიცა. მეტიც, ამ პროდუქციის გამოყენებაზე ლიცენზიას კავკასიის მასშტაბით — სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში ვფლობთ. ახლა სომხურად და აზერბაიჯანულად ვამზადებთ სპექტაკლებს, რომლებსაც მეზობელ ქვეყნებში დავდგამთ.

— მაშა და დათვი ხომ რუსული ხალხური ზღაპრის გმირები არიან, ამ ნაწარმოებს რომ ერთი, კონკრეტული ავტორი ჰყავდეს ან მისი მემკვიდრე და ის ითხოვდეს საავტორო უფლებისთვის ჰონორარს, ყველასთვის გასაგები იქნებოდა, მაგრამ გაუგებარია, რატომ ითხოვს თანხას რუსული კომპანია?

— ამ მულტფილმის ავტორი შპს „მაშა და დათვია“, რომელმაც ამ პერსონაჟების გასაპიარებლად, ყველა ქვეყანაში რეკლამირებისთვის დიდი ფული ჩადო. ახლა კი ფულის ამ გზით ამოღება სურს. იმის გამო, რომ მსოფლიო მასშტაბით, ამ მულტფილმმა პოპულარობა მოიპოვა, არავის აქვს უფლება, ეს ესკიზები ლიცენზიის გარეშე გამოყენოს. მათ შორის, არც ერთ თეატრს არ აქვს უფლება, სპექტაკლი „მაშა და დათვი“, ლიცენზიის გარეშე დადგას.

— რა რაოდენობის თანხას უხდით ყოველთვიურად, რუსულ კომპანიას?

— ეს არის პროცენტის შესაბამისი თანხა, ხელშეკრულების პირობები კი გასაიდუმლოებულია.

„ვერსია“ შეეცადა, გაერკვია, რამდენად კანონიერია აკრძალვა, რომ ბავშვთა გასართობმა ცენტრებმა მულტფილმ „მაშა და დათვის“ ესკიზები არ გამოიყენონ. ამის გასარკვევად, საავტორო უფლებების დაცვის ასოციაციის თავმჯდომარეს, გიგა კობალაძეს დავუკავშირდით:

— ეს ნაწარმოები ექსკლუზიურადაა შეძენილი. „მულტი-პულტის“ დირექტორმა, ია კუჭუაშვილმა წერილობით მოგვმართა, ვინაიდან ეს უკვე მათი ექსკლუზივია, რათა გაგვეფრთხილებინა ყველა, რომ „მაშა და დათვის“ ესკიზები ამ კომპანიის ნებართვის გარეშე არ გამოეყენებინათ. როგორც საავტორო უფლების მფლობელს, ამის უფლება აქვს. ნებისმიერ ავტორს შეუძლია, მოგვმართოს და გვთხოვოს, რომ მისი ნაწარმოები სხვამ არ გამოიყენოს. ჩვენ უკვე დაწყებული გვაქვს პროცედურა, რათა ყველას შევატყობინოთ, რომ „მაშა და დათვის“ ესკიზები „მულტი-პულტის“ ექსკლუზივია და მათი ნებართვის გარეშე, არ გამოიყენონ.

— ჯარიმა რამდენია?

— ჩვენ არც ჯარიმის ოდენობას ვადგენთ და ვერც ლიცენზიის დარღვევის პროცესს ვარეგულირებთ. ამ შემთხვევაში, ანუ ლიცენზიის დარღვევის დროს, პასუხს ექსკლუზივის მფლობელი კომპანია მოითხოვს.

— გამოდის, „მაშა და დათვის“ ესკიზების გამოყენება კანონიერად აიკრძალა?

— დიახ, რა თქმა უნდა!

— რომელი ცენტრიც არ შეწყვეტს ამ გმირების გამოყენებას, თქვენი ორგანიზაცია დააჯარიმებს მას?

— ამ შემთხვევაში, ერთმანეთში ურთიერთობას გასართობი ცენტრები გაარკვევენ, რადგან როგორც უკვე გითხარით, ეს ჩვენი რეგულირების სფერო არ არის!

ბაქოში არასანქცირებულ აქციაზე 100-მდე ადამიანი დააკავეს

ბაქოში გამართულ, არასანქცირებულ აქციაზე 100-მდე ადამიანი დააკავეს. აზერბაიჯანული მედიის ინფორმაციით, აქცია ბაქოში, ფანტანების მოედანზე გაიმართა, რომლის ორგანიზატორებიც იყვნენ ოპოზიციური პარტიის ახალგაზრდული ფრთის წევრები. პროტესტის მიზეზი აზერბაიჯანულ არმიაში წვევამდელების გახშირებული გარდაცვალების ფაქტები გახდა.

აქციის დაშლის დროს, სამართალდამცავებმა წყლის ჭავლი და რეზინის ტყვიები გამოიყენეს, ხოლო 100-მდე მანიფესტანტი დააკავეს. დაკავებულთაგან უმეტესობა ამ დროისთვის გათავისუფლებულია, მხოლოდ ოთხი დაკავებულის დაპატიმრების საკითხი უნდა გადაწყდეს.

როგორც ადგილობრივი მედია წერს, აქციაზე, დაახლოებით, 1000 ადამიანი იყო შეკრებილი. აქციის მონაწილეები აცხადებდნენ, მხოლოდ 2013 წელს აზერბაიჯანის ჯარში 15 ახალგაზრდა დაიღუპა.

„ინტერპრესნიუსი“

რუსეთში ქართული კვების ობიექტებში რეიდები დაიწყეს

რუსეთში ქართული კვების დაწესებულებების შემოწმების დაწყების შედეგად, საქართველოს ერთ მოქალაქეს სამშობლოში დააბრუნებენ.

„პეტერბურგის ქართულ კაფეებში, ქართული სტუმართმოყვარეობის მიუხედავად, სიხარულით არ მიუღიათ მისული სტუმრები — ამ დაწესებულებებში შემოწმებისთვის ფედერალური საიმიგრაციო სამსახურის წარმომადგენლები შევიდნენ. შედეგად, ერთ-ერთ იქ დასაქმებულს ისტორიულ სამშობლოში დაბრუნება მოუწევს“, — ნათქვამია რუსული მედიის მიერ მომზადებულ სიუჟეტში, რომელიც სანკტ-პეტერბურგის ქართული კაფეების შემოწმებას ასახავს.

რუსული მედიის ინფორმაციით, ზოგადად, გამოვლენილი დარღვევები მხოლოდ საპასპორტო რეჟიმის დარღვევას როდი ეხება.

საიმიგრაციო კონტროლის რეჟიმი რამდენიმე დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. ინსპექტორები მხოლოდ ქართული სამზარეულოს დაწესებულებებს ამოწმებდნენ.

„საქართველოს ერთი მოქალაქე ქალის მიმართ გამოტანილია გადაწყვეტილება რუსეთის ფედერაციის ფარგლებს გარეთ ადმინისტრაციული გაძევებისა და 2 ათასი რუსული რუბლის ჯარიმის დაკისრების შესახებ“, — აცხადებს ფედერალური საიმიგრაციო სამსახურის სანკტ-პეტერბურგის სამმართველოს პრესსამსახურის უფროსი დარია ნოვიკოვა. ამას გარდა, რუსული მედიის მიერ მომზადებულ სიუჟეტში ნათქვამია, რომ ქართული სამზარეულოს დაწესებულებებით, შესაძლოა, მალე სხვა უწყების წარმომადგენლები დაინტერესდნენ, ვინაიდან აქ გაურკვეველი წარმომავლობის ალკოჰოლით ვაჭრობენ.

„ჯი-ეიჩ-ენი“

იუვალ ფუქსი: „გაერო-ში პალესტინის მხარდამჭერი რეზოლუციებისთვის ხმის მიცემა კონსტრუქციული არ არის“

ექსკლუზიური ინტერვიუ საქართველოში ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან

გიორგი სხილაძე
საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“

როგორ აფასებს ისრაელი ქართული მხარის პოზიციას, პალესტინისთვის გაერო-ში დამკვირვებლის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით, შეიცვალეს თუ არა ებრაელმა ბიზნესმენებმა შეხედულება ქართული საინვესტიციო გარემოს მიმართ ცნობილი სკანდალის შემდეგ, ექნებათ თუ არა მომლოცველებს, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით წმინდა მიწაზე მოსალოცად უპრობლემოდ ჩასვლის საშუალება, როგორ ვითარდება საქართველო-ისრაელის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობები, რა საფრთხეების წინაშე დგას ახლო აღმოსავლეთი და როგორ შეიძლება აღნიშნული საფრთხეები საქართველოზე აისახოს — ამ და სხვა საკითხებზე „ნიუსპრესს“ ექსკლუზიურად, ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში იუვალ ფუქსი ესაუბრება.

— ბატონო ელჩო, მოგეხსენებათ, ბოლო პერიოდში საქართველოს შიდა პოლიტიკურ ცხოვრებაში გარდამტეხი პროცესები განვითარდა, რაც ხელისუფლების ცვლილებით გამოიხატა. როგორი იქნებოდა ამ პროცესების თქვენეული შეფასება და შეიძლება თუ არა, ამან ორ ქვეყანას შორის არსებულ ურთიერთობებზე რაიმე მიმართულებით გავლენა იქონიოს?

— სანამ საქართველოში განვითარებული მოვლენებისა და ჩვენი ქვეყნების მომავალი ურთიერთობების შესახებ ვისაუბრებდეთ, ორიოდე სიტყვით მინდა, ისრაელში ასევე ბოლო პერიოდში მომხდარ შიდა პოლიტიკურ პროცესებს შევეხო. მოგეხსენებათ, 22 იანვარს ისრაელში იყო არჩევნები, რომელშიც „ლიკუდმა“ გაიმარჯვა. ამ პარტიის სათავეში ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბატონი ბენიამინ ნეთანიაჰუ დგას. სწორედ ამიტომ, ისრაელის პრეზიდენტმა შიმონ პერესმა სთხოვა ბენიამინ ნეთანიაჰუს, ჩამოაყალიბოს კოალიციური მთავრობა. ჯერჯერობით, ეს პროცესი მიმდინარეობს, მთავრობა ჩამოყალიბებული არ არის და, სავარაუდოდ, ახალ მთავრობას უახლოესი რამდენიმე კვირის განმავლობაში ვიხილავთ. ნამდვილად არ ვიცი, როგორი იქნება მისი შემადგენლობა, მაგრამ მინდა დაგარწმუნოთ, რომ ისრაელსა და საქართველოს შორის ურთიერთობა არ შეიცვლება, ურთიერთობები აუცილებლად გაღრმავდება და იქნება დაფუძნებული ხანგრძლივ მეგობრობაზე, ურთიერთგაგებასა და პატივისცემაზე.

რაც შეეხება საქართველოში არსებულ ვითარებასა და განვითარებულ მოვლენებს, 1 ოქტომბრის შემდეგ, ქართულ პოლიტიკაში ცვლილებები არის, თუმცა ისრაელმა ქართველ ხალხს დემოკრატიული არჩევნების ჩატარება მიულოცა, ასევე მიულოცა გამარჯვება ბატონ ივანიშვილსა და კოალიცია „ქართულ ოცნებას“, ხოლო სააკაშვილს, იმ წვლილისთვის, რომელიც მან საქართველოში, დემოკრატიის განვითარების კუთხით გასწია, მადლობა გადაუხადა. მოხარული ვარ, რომ საქართველოში ისრაელის მიმართ განწყობა არ იცვლება და ის ისეთივე პოზიტიური რჩება, როგორიც ადრე იყო. ჩვენ, როგორც საქართველოს, ასევე ისრაელს, ცალ-ცალკე ძალიან ბევრი სახელმწიფოებრივი სირთულე გვაქვს და მათ გადასალახავად ურთიერთთანამშრომლობა ჩვენს ქვეყნებს შორის აუცილებელია. ღრმავდება პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული ურთიერთობები და სწორედ ამ საკითხებზე უნდა მოვახდინოთ ფოკუსირება. ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს სამინისტროებთან, ასევე პრემიერ-მინისტრთან, რომელსაც არაერთხელ გამოუხატავს თავისი მეგობრული დამოკიდებულება ისრაელის სახელმწიფოსა და ასევე ებრაელი ხალხის მიმართ.

— როდესაც საქართველოში მოხდა ებრაელი ბიზნესმენების — ფრენკელისა და ფუქსის დაკავება, ისრაელის და არა მარტო ისრაელის პრესა წერდა, რომ საქართველოში ბიზნესის კეთება და ინვესტირება უსაფრთხო არ არის. რა შეუძლია თქვას ბატონმა ელჩმა დღევანდელი რეალობიდან, ანუ ხელისუფლების ცვლილებიდან გამომდინარე, შეიცვალა თუ არა ზემოთნახსენები შეხედულება ისრაელსა და კერძოდ, ისრაელის ბიზნესწრეებში?

— მოდით, დღევანდელ დღეზე ვისაუბროთ. დღევანდელი რეალობაა, რომ მიმდინარე კვირაში ძალიან დიდი ღონისძიება – ისრაელისა და საქართველოს ბიზნესფორუმი იგეგმება, რომელში მონაწილეობასაც 20-მდე ებრაული კომპანია მიიღებს. ესენი იქნებიან სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, ტელეკომუნიკაციებისა და სხვა სფეროებში მოღვაწე კომპანიები. ფორუმის სამზადისში საქართველოს მთავრობაც აქტიურადაა ჩართული და არა მხოლოდ მთავრობა, არამედ აქ მოქმედი ბიზნესსაზოგადოებაც. ისრაელის მხრიდან საქართველოს მიმართ ძალიან დიდი დაინტერესებაა. არის საკმაოდ დიდი პოტენციალი, ურთიერთთანამშრომლობა და საქმიანი ურთიერთობა უფრო გამყარდეს და გაძლიერდეს.

— ცოტა ხნის წინ, გაერო-ს ასამბლეაზე მხარდაჭერილი იქნა პალესტინისთვის დამკვირვებლის სტატუსის მინიჭება და მხარდამჭერ სახელმწიფოებს შორის იყო საქართველოც. ეს თავის დროზე შეფასდა, როგორც ისრაელის საგარეო პოლიტიკის მარცხი. საინტერესოა, ხომ არ იქონია ან ხომ არ იქონიებს ეს გავლენას საქართველო-ისრაელის ურთიერთობებზე. ასევე, იზიარებთ თუ არა მედიაში გაჟღერებულ მოსაზრებას, რომ ამ გადაწყვეტილებით საქართველომ მხარი „ჰამასს“ დაუჭირა?

— პირველ რიგში, არ გავაკეთებ კომენტარს იმ ჭორებსა და შეხედულებებზე, რაც მედიაში კეთდება. მინდა, ისევ და ისევ დღევანდელი გადასახედიდან დავინახოთ ყველაფერი. არსებული რეალობა კი ასეთია: ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ბარაკ ობამა უახლოეს მომავალში ეწვევა ისრაელს. ორიოდე დღის წინ, პრემიერი ნეთანიაჰუ ესაუბრა ებრაულ ლობის ამერიკის შეერთებულ შტატებში. პრემიერმა სამი უმთავრესი საკითხი გამოჰყო, რომლის შესახებაც, ის ბარაკ ობამასთან ისაუბრებს. ესენია — ირანი, სირია და პალესტინა. რომელი თემით დავიწყოთ?

— ირანით დავიწყოთ, თუმცა ნურც წინა შეკითხვას დავივიწყებთ.

— საქმე ისაა, რომ დღეს ირანი ისე ახლოს არის გამდიდრებული ურანის მიღებასთან, როგორც არასდროს. გამდიდრებული ურანი კი ატომური ბომბის შესაქმნელადაა საჭირო. ირანი მუშაობს სხვა ტექნიკური მიმართულებებითაც. მათ აქვთ ჭურვების სისტემის პროგრამაც. მე ხელთ მაქვს „მაგატეს“ დასკვნა, რომელიც 21 თებერვლით თარიღდება და რომლის თანახმად, ირანს დღეს აქვს 167 კილოგრამი 20%-ით გამდიდრებული ურანი და ასევე ფლობს 5,9 ტონა 3,5%-ით გამდიდრებულ ურანს. ერთი ატომური ბომბის დასამზადებლად კი 220 კილოგრამი 20%-ით გამდიდრებული ურანია საჭირო. ეს მონაცემები აღებულია საერთაშორისო ორგანიზაცია „მაგატეს“ და არა ისრაელის მოხსენებიდან. დღეს ირანი უფრო ახლოსაა ატომური ბომბის შექმნასთან, ვიდრე ოდესმე. ასევე ცნობილია, რომ ისინი აგრძელებენ ურანის გამდიდრებას და ახალ ცენტრიფუგებს ამონტაჟებენ. ამ თემასთან დაკავშირებით, მოცემულ მომენტში, გაერო-ს უშიშროების საბჭოს 6 რეზოლუცია და 12 მოხსენება აქვს მიღებული. ამ ფონზე, ირანი მაინც არ ეპუება, არ ეთანხმება გაერო-ს მოთხოვნებს და მთელი მსოფლიოს წინააღმდეგ მიდის. ერთადერთი ახსნა კი არის ის, რომ ირანს ურანს მხოლოდ სამხედრო მიზნებისთვის ამდიდრებს, სხვა მიზნებისთვის, მას ამდენი გამდიდრებული ურანი ნამდვილად არ დასჭირდებოდა. თუ მსოფლიოს მკაცრად აქვს გადაწყვეტილი, არ დაუშვას ირანის მიერ ატომური ბომბის შექმნა, მაშინ მის წინააღმდეგ სანქციების რაოდენობამ უნდა მოიმატოს და ასევე ჩვენ მზად უნდა გვქონდეს რეაგირების ნებისმიერი ხერხი, მათ შორის სამხედრო რეაგირების გზაც. ეს არის არა მხოლოდ ისრაელის, არამედ საერთაშორისო თანამეგობრობის პრობლემა და ამოცანა, რადგან ირანის მიერ ატომური ბომბის ფლობა საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ ისრაელს, არამედ საქართველოს და საერთოდ თავისუფალ მსოფლიოს. ნუ დაგვავიწყდება, რომ საქართველო ირანთან ძალიან ახლოსაა. მეტიც, საქართველო არის ირანის შეიარაღებაში არსებული „შიჰაბის“ ჭურვების მოქმედების რადიუსში. ირანზე საათობით შემიძლია საუბარი, მაგრამ მოკლედ ეს არის, რისი თქმაც მსურდა.

დასასრული მე-14 გვერდზე

თომას დე ვაალი: „საქართველოს ბევრი გამოწვევა ჯერ კიდევ წინ აქვს“

გამოცემა Foreign Policy აქვეყნებს თომას დე ვაალის სტატიას სათაურით — „პოლიტიკური რყევები კავკასიაში“. სტატიის ავტორი კავკასიის სამ რეგიონში: საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში ბოლო დროს განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებს ეხმაურება.

როგორ განაახლებთ სახლს, როცა ხალხი საძირკველს არყევს? – ასეთი კითხვით იწყება თომას დე ვაალის სტატია, რომელიც წერს, რომ ეს კითხვა დგას როგორც ვლადიმერ პუტინის რუსეთის, ისე სამხრეთ კავკასიის სამი ქვეყნის — სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს წინაშე. თითოეულ მათგანში, მმართველი რეჟიმი უპირისპირდებოდა ან უპირისპირდება საზოგადოებრივი პროტესტის განახლებულ ფორმებს.

როგორც თომას დე ვაალი აღნიშნავს, 1990-იან წლებში თითოეულ ამ ქვეყანას დიდი პოლიტიკური ტურბულენტურობის გამოცდილება აქვს, თუმცა წლების განმავლობაში ისე ჩანდა, თითქოს ხალხმა საზოგადოებრივი ჩართულობისადმი რწმენა დაკარგა და კმაყოფილდებოდა, აეყვანა ნებისმიერი მმართველი, ვინც თუნდაც მცირე სტაბილურობის გარანტიას მისცემდა. ახლა საქმე სხვაგვარად არის — უმოქმედობის გარკვეული პერიოდის შემდეგ პოლიტიკური ცხოვრება ისევ დაბრუნდა.

საქართველოში, — აღნიშნავს სტატიის ავტორი, — მიხეილ სააკაშვილმა ძალაუფლება დათმო გასული წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, რომელიც მოულოდნელად, მისთვის საწინააღმდეგოდ დასრულდა, მიუხედავად ამისა, ის პოლიტიკურ ბრძოლას აგრძელებს.

საქართველოსკენ ყურებისას, — წერს თომას დე ვაალი, — ბევრი სომეხი, აზერბაიჯანელი და რუსი დემოკრატიის ცუდ რეკლამას ხედავს. გასული წლის ოქტომბერში ქართველებმა ისტორიული არჩევნები ჩაატარეს, რომელშიც მმართველი პარტია პირველად დამარცხდა და ძალაუფლება მშვიდობიანად გადავიდა ოპოზიციური კოალიცია „ქართული ოცნების“ ხელში, რომელსაც მილიარდერი ბიძინა ივანიშვილი უდგას სათავეში. მას მერე, ქვეყანა ივანიშვილის მთავრობასა და პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს შორის არსებულ მტკივნეულ კოჰაბიტაციაშია. სააკაშვილი საპრეზიდენტო პოსტს ოქტომბერში დატოვებს.

როგორც სტატიის ავტორი აღნიშნავს, საქართველოში ყოველი დღე თავისებური პოლიტიკური მელოდრამის მომტანია: ორმხრივი ბრალდებების, საკონსტიტუციო საკითხებზე ვაჭრობის, უცხოელი ვიზიტორებისადმი დემარშის, ყოფილი მაღალჩინოსნების დაკავებებისა და ქუჩაში დაპირისპირებისაც კი, როცა პრეზიდენტი სიტყვით გამოსვლისთვის ემზადებოდა.

ქვეყნის შიგნით კი, — წერს თომას დე ვაალი, — განწყობა არც ისე ტურბულენტურია, როგორც ვარაუდობენ. **„იუსტიციის შთამბეჭდავმა ახალმა მინისტრმა თეა წულუკიანმა მითხრა, რომ წინა მინისტრის დროს მომუშავე თანამშრომლების 98% შეინარჩუნა. გარდა ამისა, სააკაშვილის ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ელიტა განზე გადგა, უპასუხისმგებლო და სულ უფრო შეურაცხმყოფელი გახდა. ქართველები მზად იყვნენ ცვლილებებისთვის“.**

როგორც თომას დე ვაალი აღნიშნავს, ახალ მთავრობას ჯერაც არ მოუკიდია ხელი ბევრი საკითხისთვის და ეკონომიკა ცუდად ვითარდება, თუმცა ძალაუფლების ცვლილება ქვეყანას მისცემს საშუალებას, ბევრი გადაუჭრელი პრობლემა მოგვარდეს — ისეთი, როგორიც სასამართლო სისტემა, ფარული მონოპოლია და სოფლის მეურნეობის საკითხია. საქართველოს ისეთივე სტრუქტურული დეფიციტი აქვს, როგორც მის პოსტსაბჭოთა მეზობლებს - კონტროლისა და ბალანსის ქრონიკული ნაკლებობა. ამ საკითხში ივანიშვილს ცუდი სასტარტო პოზიციები ჰქონდა, მაგრამ თუ მისი მთავრობა თავს აარიდებს ზოგიერთ ძირითად პრობლემას, საქართველოს ჯერ კიდევ შეუძლია, იყოს წარმატებული.

თომას დე ვაალი აღნიშნავს — ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით კარგი იქნება, თუ ივანიშვილი საერთოდ არაფერს გააკეთებს. ასე მაგალითად, ძალიან კარგი იქნება, თუ მისი მთავრობა არ ჩაერევა საქართველოს სატელევიზიო არხების მუშაობაში, რომლებიც არჩევნების შემდეგ უფრო მრავალფეროვან ამბებს გვთავაზობენ. თუ ივანიშვილი თავისივე გეგმით იმოქმედებს – გადაახალისოს ადგილობრივი თვითმმართველობა, შექმნას 300 მუნიციპალიტეტი და დაამყაროს რეგიონული დემოკრატია საქართველოში, რითაც მძიმე დარტყმას მიაყენებს თბილისის პატრიარქალურ ხელისუფლებას.

საქართველოს მყიფე დემოკრატიისთვის უდიდესი ტესტი ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნები იქნება, — აღნიშნავს თომას დე ვაალი, — ახალი პრეზიდენტი კვლავაც სახელმწიფოს თავკაცი იქნება, თუმცა შემცირებული ძალაუფლებით. მიუხედავად ამისა, ის პრემიერ-მინისტრის საპირწონე იქნება. ივანიშვილის შერჩეული კანდიდატი ძლიერი, დამოუკიდებელი პიროვნება თუ ნაკლებშესამჩნევი ფიგურა – კიდევ ერთი ინდიკატორი იქნება საქართველოს დემოკრატიისა. ივანიშვილმა უკვე გამოუცხადა საყვედური ადრეულ ფავორიტს (განსაკუთრებით დასავლეთისას), თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას, რომელიც ვიცეპრემიერის პოსტიდან გადააყენა მას შემდეგ, რაც ალასანიამ გადაჭარბებული დამოუკიდებლობის ნიშნები გამოამჟღავნა. ივანიშვილის ზოგიერთი მხარდამჭერი იმის ინიციატივითაც გამოდის, რომ პრეზიდენტი არა ხალხმა, არამედ პარლამენტმა აირჩიოს, რაც უკან გადადგმული ნაბიჯი იქნება.

„რა თქმა უნდა, ქართული პოლიტიკა ქაოტური და დრამატულია, თუმცა კიდევ უფრო უარესია მისი ალტერნატივა. უმჯობესია, მწვავე დებატები პარლამენტში ან ტელევიზიით ვიხილოთ, ვიდრე ქუჩებში. როგორც ჩანს, ქვეყანა ისწრაფვის ნასიმ ტალების თეორიის „ანტისიმყიფის“ მიღწევისკენ („შავი გედი“ — ნასიმ ტალები). რამდენადაც მეზობელი ლიდერები ფეხქვეშ უფრო მყარი ნიადაგისკენ იცქირებიან, მათ უნდა გაითვალისწინონ, რომ საქართველოს ბევრი გამოწვევა ჯერ კიდევ წინ აქვს“, — ნათქვამია Foreign Policy-ში გამოქვეყნებულ თომას დე ვაალის სტატიაში.

„ინტერპრესნიუსი“

ვლადიმერ ბუკოვსკი: „რუსები არასოდეს დატოვებენ საქართველოს... ეს უბრალოდ იდიოტიზმია!“

ČESKÁPOZICE.CZ
INFORMACE PRO SVOBODNÉ LIDI
HOT TOP | DOMOV | ZAHRANIČÍ | BYZNYS

ჩეხური მედიის ცნობით, „ყოფილი მთავარი საბჭოთა დისიდენტი“ ვლადიმერ ბუკოვსკი 5-დან 7 მარტის ჩათვლით პრაღაში, საკუთარი წიგნის პრეზენტაციაზე იმყოფებოდა. ბუკოვსკიმ ვრცელი ინტერვიუ მისცა საინფორმაციო პორტალს Česká pozice-ს, სადაც თანამედროვე რუსულ პოლიტიკაში მიმდინარე მოვლენებს მიმოიხილავს.

ბუკოვსკი დღევანდელი რუსული ოპოზიციის შესახებ საუბრისას აცხადებს, რომ ის კონსულტაციას უწევს რუსულ ოპოზიციურ ძალებს და იცნობს მათი ლიდერების უმრავლესობას.

„ნავალნის არასოდეს შევხვედრივარ, უდალცევს არ ვიცნობ, მაგრამ ვიცნობ, მაგალითად, ლიმონოვს. მე ვიცნობ საპროტესტო მოძრაობის ლიდერების უმრავლესობას და მათთან საუბარიც შემიძლია. მე არ ვმონაწილეობ აქციების ორგანიზებაში, თუმცა ისინი ჩემთან კონსულტაციებაზე მოდიან“, — აცხადებს ბუკოვსკი და დასძენს, რომ **„პუტინზე უარესი არ შეიძლება ვინმე იყოს, მაგრამ მე ასევე ვფიქრობ, რომ საპროტესტო მოძრაობა ვერ გაიმარჯვებს. ოპოზიციონერები ვერ იქნებიან რუსეთის შემდეგი მმართველები. ამჟამინდელ ელიტაში უკვე გამოვლინდა ტენდენცია იმისა, რომ მათთვის პუტინი საშიში გახდა“.**

ყოფილი საბჭოთა დისიდენტი პუტინის დახასიათებისას აღნიშნავს, რომ ის ძალიან უხეში და აგრესიულია. ბუკოვსკი პუტინს არაშორსმჭვრეტელ, შურისმაძიებელს უწოდებს, რომელიც უკვე ტვირთად იქცა სხვებისთვისაც.

> **„მე ვთვლი, რომ მოხდება კრემლში შიდა გადატრიალება. ავიღოთ, თუნდაც, სამხედრო ოპერაცია საქართველოში. პუტინმა ამით მთელი მსოფლიო მის წინააღმდეგ განაწყო. რისთვის? იმისთვის, რომ მიეღო ორი პროვინცია, რომელიც რუსული ბიუჯეტიდან ძალიან დიდ ფულს ჭამს და არავისთვის საჭირო არ არის? ეს ხომ სრული იდიოტიზმია!“, —აცხადებს ბუკოვსკი.**

ამასთან ერთად, ბუკოვსკი რუსეთში ახლად მიღებულ კანონს იშველიებს, რომლის თანახმადაც, ამერიკელებზე იკრძალება რუსი ბავშვების გაშვილება, ბოლოს, ხაზს უსვამს პუტინის „რომანს“ „პუსი რაიოტთან“ და დასძენს: „აი, ეს არის სულ, რაც პუტინს შეუძლია!“

„მე ვფიქრობ, რუსეთში მოხდება შიდა გადატრიალება, პუტინს გააგდებენ და შეცვლიან ვინმე სხვით, არ ვიცი, ეს როდის მოხდება, შეძლებს პუტინი, დაამთავროს თავის მმართველობის ვადა, თუ მას გააგდებენ ადრე, არ ვიცი, უმრავლესობა დამკვირვებლებისა მიიჩნევს, რომ ის 2018 წლამდე ვერ მიაღწევს. ამაზე საუბრობენ ის ექსპერტები, რომლებიც უშუალოდ იქ იმყოფებიან. ისინი ფიქრობენ, რომ პუტინის დრო დამთავრდა“.

ბუკოვსკი აშშ-ს პრეზიდენტის, ბარაკ ობამას „გადატვირთვის“ პოლიტიკას აფასებს და „დიდ იდიოტიზმს“ უწოდებს, **„ეს ჰგავს ჩემბერლენის რწმენას მიუნჰენის შეთანხმებისას“.**

> **„ეს არის ცრუ იმედი, რუსები არ იტყვიან უარს იმაზე, რისი გაკეთებაც სურთ, მიუხედავად იმისა, რას შესთავაზებ. რუსები არასოდეს დატოვებენ საქართველოს, ეს უბრალოდ, იდიოტიზმია!“**

რაც შეეხება ბუნებრივ აირს, ბუკოვსკი აცხადებს: **„1970-იანი წლებიდან ვიცნობ სილვიო ბერლუსკონის, რომელიც არის ერთ-ერთი ყველაზე პრორუსი პოლიტიკოსი ევროკავშირში. მახსოვს, მას ვუთხარი — „რას აკეთებ, ჭკუიდან ხომ არ შეიშალე, პუტინი ბოროტია, რომლის კისერზეც უამრავი მკვლელობაა“. ბერლუსკონიმ მიპასუხა, რომ ეს არის მხოლოდ სარგებლიანი კონტრაქტები ბუნებრივი აირის მისაღებად და სხვა არაფერი. სინამდვილეში, ის უფრო შორს წავიდა და პუტინთან ოჯახური მეგობრობა დაიწყო. წინა წელს მე პროგნოზი გავაკეთე რუსეთის დაშლის და ეს პროცესი მიდის. პირველად ამის შესახებ 1993 წელს ვთქვი და დღესაც დარწმუნებული ვარ ჩემს სიტყვებში. ადრე თუ გვიან, რუსეთი დაიშლება, მაგრამ ზუსტი თარიღის თქმა, რა თქმა უნდა, შეუძლებელია“.**

ბუკოვსკი სამხრეთ კავკასიისა და რუსეთის ურთიერთობებზე საუბრისას, მათ შორის მორიგებას შეუძლებლად მიიჩნევს და რუსეთის შემდგომ ფრაგმენტაციას ეკონომიკური მიზეზებით ხსნის:

„ნავალნიც საუბრობს კავკასიის გამოყოფაზე. ნათლად ჩანს, რომ სამხრეთ კავკასია და რუსეთი ერთმანეთში ვერ მორიგდებიან, რადგან ძალიან ბევრი სისხლია დაღვრილი, მაგრამ მე სხვა რამეზე ვსაუბრობ — ეკონომიკურ დეზინტეგრაციაზე. რუსეთის შემდგომი ფრაგმენტაცია წარმოიშვება ნაციონალურ ნიადაგზე, მაგრამ ეკონომიკური მიზეზებით. შორეული აღმოსავლეთი, აღმოსავლეთ ციმბირი, ურალი, სამხრეთი, ჩრდილოეთი — მათ და მოსკოვს აბსოლუტურად განსხვავებული ეკონომიკური ინტერესები აქვთ. ადრე თუ გვიან, რუსეთი დაიშლება. ძალიან რთულია ვთქვა, იქნება თუ არა ეს სრული კრახი, შეიძლება, შეძლონ შეთანხმების მიღწევა ფართო ავტონომიის შესახებ, მაგრამ შეუძლებელია პროგნოზის გაკეთება ზუსტ კონფიგურაციაზე“, — მიიჩნევს ცნობილი საბჭოთა დისიდენტი.

„ნიუ პოსტი“

ვერსიანიუსი

მოსკოვში, ქართველი „კანონიერი ქურდი“ დააპატიმრეს

მოსკოვის სასამართლომ ქართველ ე.წ. კანონიერ ქურდს ლაშა ნიჟარაძეს, მეტსახელად „ლაშა წყალტუბოელს“ პატიმრობა შეუფარდა. რუსული მედიის ინფორმაციით, ლაშა ნიჟარაძე მოკლული კრიმინალური ავტორიტეტის, ასლან უსოიანის, იგივე „დედ ჰასანის“ კლანის მოწინააღმდეგედ ითვლებოდა.

გამოძიების ინფორმაციით, დაკავებულ კრიმინალურ ავტორიტეტს 17 გრამი ნარკოტიკული ნივთიერება „ჰაშიში“ აღმოუჩინეს, რის გამოც მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.

აღნიშნული ბრალდებით დაკავებამდე, ნიჟარაძეს სარატოვის ოლქის ბალაშოვის სასამართლო გადაწყვეტილებით, 1,5-წლიანი ადმინისტრაციული ზედამხედველობა ჰქონდა მისჯილი. მას აკრძალული ჰქონდა გადაადგილება და ღამის საათებში სადმე ყოფნა, გარდა მისი საცხოვრებლისა. როგორც სამართალდამცავები აცხადებენ, კრიმინალურ ავტორიტეტს არაერთხელ დაურღვევია რეჟიმი როგორც რუსეთში გადაადგილებით, ასევე უცხოეთში გამგზავრებითაც.

ლაშა ნიჟარაძე ე.წ. კანონიერი ქურდის, ჯემო მიქელაძის მომხრედ ითვლება, რომელიც მოკლული „დედ ჰასანის“ კლანთან არის დაპირისპირებული.

„ვერსიანიუსი“

იუვალ ფუქსი: „გაერო-ში პალესტინის მხარდამჭერი რეზოლუციებისთვის ხმის მიცემა კონსტრუქციული არ არის“

მე-13 გვერდიდან

რაც შეეხება სირიას, სადღეისოდ იქ არსებული მდგომარეობა ძალიან რთულია. ბოლო პერიოდში ქვეყანაში ათობით ათასი ადამიანი დაიხოცა და იხოცება. აღსანიშნავია, რომ სირია ახლოსაა არა მარტო ისრაელთან, არამედ ისევ და ისევ საქართველოსთანაც და არავინ იცის, როგორი იქნება ვითარება იქ ასადის შემდეგ და როგორი იქნება ქვეყნის პოლიტიკური სტრუქტურა. სირიიდან უამრავი ადამიანი, როგორც ლტოლვილი, თქვენს მეზობელ თურქეთის რესპუბლიკაში არალეგალურად გადადის, რაც ფეთქებადსაშიშ სიტუაციას ქმნის. სირია ფლობს არატრადიციულ, ქიმიურ იარაღს და არის საფრთხე, რომ მოხდეს მისი ქვეყნიდან გადინება. წარმოვიდგინოთ რა მოხდება, თუ ეს იარაღი „ჰესბოლას“ ან თუნდაც ირანის ხელში მოხვდება. ახლახან, ისრაელის საზღვართან ძალიან ახლოს, გაერო-ს დამკვირვებლების ავტობუსი გაიტაცეს და ის ფაქტი, რომ ეს პრობლემა ისრაელის საზღვრებს უახლოვდება, ჩვენ, რა თქმა უნდა, გვაშფოთებს. პალესტინასთან დაკავშირებით კი ერთადერთი, რაც შემიძლია დარწმუნებით გითხრათ, არის ის, რომ ისრაელი მასთან მოლაპარაკებისა და გარკვეული დათმობებისთვის მზად არის. მიმაჩნია, რომ ჩვენს შორის არსებული პრობლემების გადაჭრისა და პროგრესის მიღწევის ერთადერთი გზა პირდაპირი და უპირობო მოლაპარაკებებია. ისრაელი ამისთვის მზად არის, მთავარია, იყოს პოლიტიკური ნება პალესტინის მხრიდანაც.

— ამის ფონზე, კიდევ ერთხელ დავუბრუნდეთ გაერო-ს რეზოლუციას, რომელსაც მხარი საქართველომაც დაუჭირა და მის შეფასებას.

— საქმე ამა თუ იმ რეზოლუციას კი არა, ეხება იმას, თუ რა უნდა პალესტინას. უნდა, რომ საკითხი გადაწყდეს ორმხრივი და პირდაპირი მოლაპარაკებების გზით იმ ატმოსფეროში, რომელიც წელან ვახსენე, თუ მას უნდა, ისრაელთან დიპლომატიური ომი აწარმოოს. ეს ორი რამ ერთდროულად ვერ მოხდება. არჩეული უნდა იქნას ან ერთი გზა — მოლაპარაკებების, ან მეორე – დიპლომატიური ომის. ნებისმიერი კი, ვისაც უნდა მშვიდობას მიემხროს, არ უნდა ცდილობდეს, მხარი დაუჭიროს ისრაელის იზოლაციასა და ბოიკოტირებას, ასევე არ უნდა აწარმოებდეს დიპლომატიურ ომს გაერო-ში. პალესტინელების დღის წესრიგში კიდევ არის გეგმები, რომ გაერო-ში, სხვადასხვა დონეზე, ჩემი აზრით, უარყოფითი რეზოლუციები მიიღონ. ვფიქრობ, ამ რეზოლუციების მხარდაჭერა კონსტრუქციული არ არის. ვისაც უნდა, მხარი დაუჭიროს მშვიდობის დამყარებას ამ რეგიონში, უნდა უთხრას პალესტინელებს ისევე, როგორც ჩვენც გვეუბნებიან, რომ ეს ადამიანები ან ქვეყნები და მთავრობები ნიუ იორკში, ჟენევაში ან სხვა ქვეყნებში კი არ წავიდნენ, არამედ წავიდნენ იერუსალიმში, ან რამალაში, შეხვდნენ ერთმანეთს, გულახდილად ისაუბრონ და უარყონ ექსტრემიზმი და მუქარის ტონი. მოლაპარაკებები ორ მხარეს შორის იერუსალიმში, რამალაში ან თუნდაც, თელ-ავივში უნდა შედგეს და ვისაც უნდა, რომ ამ რეგიონში მშვიდობა დამყარდეს, პალესტინურ მხარეს სწორედ ასეთი მესიჯი უნდა გაუგზავნოს.

— საქართველოს დავუბრუნდეთ და კონფლიქტების თემა გავაგრძელოთ. დაახლოებით იმ პერიოდში, როცა საქართველოში ებრაელი ბიზნესმენები იყვნენ დაკავებულნი, ისრაელმა აფხაზეთის დელეგაციას უმასპინძლა და ამ უკანასკნელთ, გავრცელებული ინფორმაციით, ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროშიც კი ჰქონდათ შეხვედრები. გაქვთ თუ არა ინფორმაცია ამ შეხვედრის შესახებ ან გრძელდება თუ არა რაიმე სახის თანამშრომლობა ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ე.წ. აფხაზურ მხარეს შორის?

— არ ყოფილა არანაირი „აფხაზური დელეგაცია“, რომელმაც ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროში შეხვედრები გამართა.

— ანუ შესაბამისად, თქვენ რაიმე მსგავსი სახის თანამშრომლობას გამორიცხავთ?

— კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა, რომ რაიმე მსგავსი შეხვედრა არ ყოფილა. ამ საკითხთან მიმართებაში ისრაელის პოზიცია არ შეცვლილა და არც შეიცვლება. ჩვენ ვუჭერდით, ვუჭერთ და კვლავაც დავუჭერთ მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და არ ვაღიარებთ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს. ეს პოზიცია არაერთხელ დაგვიფიქსირებია როგორც საქართველოს მთავრობასთან, ასევე რუსეთის მთავრობასთან და ამაზე საუბარი ჩვენს ამერიკელ კოლეგებთანაც არაერთხელ გვქონია. ერთადერთი, რაც ჩვენ ვაღიარეთ, ეს იყო ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი, რომელიც საქართველოს მხრიდან იყო შემოთავაზებული, თუმცა არ გამოვრიცხავ, ცალკეული ინდივიდები აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან, მართლაც, ჩადიოდნენ ისრაელში, მაგრამ მინდა დაგარწმუნოთ, რომ არანაირი ოფიციალური ან ნახევრადოფიციალური ურთიერთობა, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ეგრეთწოდებულ მთავრობებთან, ისრაელის მხარეს არ გააჩნია. ამასთანავე, იყო რამდენიმე შემთხვევა, როდესაც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ებრაული თემიდან, ჩვენ კონკრეტულ ადამიანებს ვიზა მივეცით. ამის ძალიან ცოტა შემთხვევა იყო, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ჩვენ არ დავუსვით ბეჭედი იმ სამგზავრო დოკუმენტს, რომელსაც არ ვცნობდით. სწორედ ამიტომ, მათ ჩვენ ბეჭდით დამოწმებული ცალკე დოკუმენტი მივეცით. კიდევ ერთხელ მინდა გავუსვა ხაზი, რომ არ ვაღიარებთ იმ დოკუმენტაციას, რომელიც აფხაზური ან ოსურია. აქ, პირველ რიგში, პასპორტი იგულისხმება. შესაბამისად, ვერ დაარტყამ ბეჭედს იმ პასპორტს, რომელსაც არ აღიარებ. მე ვიცი, რომ ჩემი კოლეგები ანუ ჩემი წინამორბედი ისრაელის ელჩები საქართველოში, არიან ნამყოფი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. რაც შეეხება იქ ჩემს ჩასვლას, მე არაერთხელ მითქვამს საქართველოს მთავრობისთვის, რომ თუ კონფლიქტურ რეგიონებში ჩასვლას გადავწყვეტ, ეს აუცილებლად მოხდება მათთან და ჩემს მთავრობასთან შეთანხმებით.

— ვიზების თემა გავაგრძელოთ. მიუხედავად იმისა, რომ ისრაელის მხარემ ამ საკითხთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა, ვფიქრობთ, უპრიანია, ქართულ საზოგადოებას კიდევ ერთხელ ავუხსნათ, იქნება თუ არა პრობლემა ქართველი პილიგრიმებისთვის წმინდა მიწაზე ჩასვლა, მით უმეტეს, რომ ერთ-ერთი უდიდესი მართლმადიდებლური დღესასწაული ახლოვდება.

— ვიზების გაცემასთან დაკავშირებით არაფერი შეცვლილა. იყო შემთხვევები, რომლებიც გარკვეულ ახსნასა და კომენტარს საჭიროებდა, მაგრამ დღეს ჩვენ ვმუშაობთ ისრაელის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს მთავრობასთან, რათა კომუნიკაცია გავაუმჯობესოთ და ხელი შევუწყოთ ვიზის მიღებისა თუ გაცემის მექანიზმის გაადვილებას. ამ ყველაფრის მიზანი ცხადია — ჩვენ გვინდა მეტი ტურისტი საქართველოდან. ჩვენ ყველამ უნდა დავიცვათ ის კანონი, რომელიც ისრაელში მოქმედებს. ეს ეხება ისრაელში ტურისტული მიზნებით თუ სამუშაოდ ჩასულ ადამიანებსაც. რაც შეეხება ჩვენს მუშაობას ვიზის გაცემის პროცედურის გამარტივებასთან დაკავშირებით, მისი მექანიზმი მოცემულ ეტაპზე, ექსპერიმენტულ სტადიაზეა, თუმცა დარწმუნებული ვარ, ის ამ პროცედურას აუცილებლად გააადვილებს. საქართველოში, ისრაელის საკონსულოში, ვიზის გაცემის პროცესი არცერთი დღით არ შეჩერებულა, ხოლო თუ ვინმეს ჯგუფური ვიზის მიღებასთან დაკავშირებით, პრობლემები შეექმნება, ამ საკითხზე ნებისმიერ დროს შეუძლიათ, მოგვმართონ და ჩვენ მათ დავეხმარებით.

— მას შემდეგ, რაც ქვეყანაში ხელისუფლების ცვლილება მოხდა, დასავლეთის ზოგიერთი წარმომადგენელი მიიჩნევს, რომ საქართველომ შეიძლება საგარეო-პოლიტიკური ვექტორი შეიცვალოს და დასავლური და დემოკრატიული ღირებულებები გადააფასოს. თუ შეგიძლიათ, დააფიქსიროთ ამ საკითხთან დაკავშირებით თქვენი პოზიცია?

— ამასთან დაკავშირებით, მე მხოლოდ ის შემიძლია ვთქვა, რომ მთავრობა აცხადებდა და კვლავინდებურად აცხადებს, რომ ის დასავლურ გზას ადგას და მისი ურთიერთობა ევროატლანტიკურ ალიანსთან არ იცვლება. ერთ შემთხვევას გავიხსენებდი, როდესაც ბატონი თედო ჯაფარიძის მიწვევით ქუთაისში, პარლამენტში, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის სხდომას დავესწარი, სადაც როგორც საპარლამენტო უმრავლესობის, ასევე უმცირესობის წევრებიც იყვნენ, იქ არაერთი, ზუსტად იგივე შინაარსის კითხვა დაისვა და მინდა გითხრათ, რომ ადამიანი, თუ მან არ იცოდა, ვინ იყო ოპოზიციის წარმომადგენელი და ვინ ხელისუფლებისა, მათ პოზიციებს ვერც განასხვავებდა, ვინაიდან ორივე მხარე, გარკვეულწილად, ერთსა და იმავე მიმართულებას იზიარებდა.

— დაბოლოს, თქვენ დასაწყისში ორ ქვეყანას შორის არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების შესახებ ისაუბრეთ. აქედან პირველ ორთან დაკავშირებით, სამომავლო გეგმები მკითხველისთვის, ვფიქრობთ, გასაგები იქნება, რაც შეეხება მესამე მიმართულებით ურთიერთთანამშრომლობას?

— უახლოესი რამდენიმე კვირისა და თვის განმავლობაში, ჩვენ ძალიან საინტერესო პროგრამებს ვგეგმავთ კულტურულ სფეროში. 3, 4 და 5 აპრილს საქართველოში ისრაელის კინოს დღეები გაიმართება, სადაც 6 ახალი ფილმი იქნება ნაჩვენები. ასევე, დაგეგმილი გვაქვს ქუთაისში ფოტოგამოფენა სახელწოდებით – „ჰორიზონტები“ და თბილისში კიდევ ერთი გამოფენა – „ციდან დანახული იერუსალიმი“. ამას გარდა, იგეგმება კლასიკური და ჯაზ-მუსიკის კონცერტები. უნდა გადავთარგმნოთ ებრაულ ენაზე დაწერილი ლიტერატურის ანთოლოგია და ასე შემდეგ. ყველა ამ მიმართულებით, ჩვენ საქართველოს კულტურის სამინისტროსთან აქტიურად ვთანამშრომლობთ.

ისტორიული რეალობის აღდგენის მოთხოვნა და ქართველ გმირთა განადგურებული საფლავები

ეთორნიკე ხურციძე
„ვერსიისთვის“ ქუთაისიდან

იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციის შენობის მიმდებარედ, შესაძლებელია, მთავარანგელოზ მიქაელის სახელობის ტაძარი აიგოს. აღნიშნულ მოთხოვნას ადგილობრივ ხელისუფლებას ქუთაისში მოღვაწე სასულიერო პირები უყენებენ. ცნობილია, რომ ქალაქის ცენტრში მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია ფუნქციონირებდა, რომელიც საბჭოთა ოკუპაციას შეეწირა, რის შედეგადაც იქვე მდებარე ქართველ გმირთა საფლავებიც განადგურდა. ქუთაისელები ყოფილი ტაძრის ტერიტორიაზე დღეს არსებული სკვერისა და ქანდაკებების დემონტაჟს მოითხოვენ.

მთავარანგელოზ მიქაელის სახელობის ტაძარი დღეს უკვე ქუთაისის მერიის შენობაში ფუნქციონირებს. ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი მამა ნიკოლოზი ამბობს, რომ მერიის მიმდებარე ტერიტორიაზე 1800-იან წლებში აგებული მთავარანგელოზის ტაძარი კომუნისტურ რეჟიმს შეეწირა. მამა ნიკოლოზი ტაძრის აღდგენას ითხოვს და საკუთარ მრევლთან ერთად, ადგილობრივ ხელისუფლებას მიმართავს:

„ქალქის მერიის გვერდით, დაახლოებით 1944 წლამდე, მთავარანგელოზ მიქაელის ტაძარი იდგა, რომლის მშენებლობასაც საფუძველი მეთხუთმეტე საუკუნის ორმოცდაათიან წლებში ჩაეყარა მაშინ, როდესაც ამ ადგილზე სამეფო ბაღი იყო გაშენებული და პატარა ქვითკირის ეკლესია იდგა. შემდგომში მას რეაბილიტაცია ჩაუტარდა და საკმაოდ დიდი ტაძარი აშენდა, რომლის დანგრევის შემდეგაც, ყოფილი ტაძრის ტერიტორიაზე ადმინისტრაციული შენობა ააშენეს. ამ ყოველივეს საარქივო მასალებიც ადასტურებს. უამრავი ფოტოა შემორჩენილი, რომელზეც აღნიშნული ტაძარია აღბეჭდილი. გარდა ამისა, შემორჩენილია ტაძრის ქვებიც, რომელზეც ფრესკების ნარჩენებიც კი არის. იმედია, ადგილობრივი ხელისუფლება გაითვალისწინებს ჩვენს თხოვნას და საფუძველი ჩაეყრება ახალი ტაძრის მშენებლობას“.

მამა ნიკოლოზის ინიციატივა, რამდენიმე დღეში, ქუთაისის ადგილობრივ ხელისუფლებას წერილობით წარედგინება. სასულიერო პირების მოსაზრებას საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატი გოგი შავგულიძეც იზიარებს, რომელიც ამბობს, რომ ყოფილი ტაძრის ტერიტორიაზე არსებული სკვერის დემონტაჟი სასწრაფოდ უნდა მოხდეს.

„მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიის მრევლი და ქალაქის საზოგადოება, მართებულად მოითხოვს ამ ადგილზე აგებულ იქნას ტაძარი. ხოლო რაც შეეხება ამ ადგილზე დღეს არსებულ სკვერსა და საატრაქციონო ქანდაკებებს, გადატანილი იქნას შესაფერის ადგილზე. საკითხს აუცილებლად დავაყენებთ თვითმმართველობისა და საკრებულოს წინაშე და დარწმუნებული ვარ, დადებითად გადაწყდება“.

ქუთაისის ცენტრში, წარსულში მდებარე ტაძრის ტერიტორიაზე, საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ ბრძოლაში დაღუპულ გმირთა და ქართველი ოფიცრების საფლავებიც იყო. მათ ახლა საფეხმავლო გზა და ფილები ფარავს. მათ შორის არის 1918 წელს რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული ერთ-ერთი ოფიცერი სვიმონ შავგულიძეც. შავგულიძის შთამომავლები ქართველი გმირის პანთეონში გადასვენებას მოითხოვენ.

ლილი შავგულიძე, სვიმონ შავგულიძის ნათესავი: **„იქ, სადაც ოფიცერი სვიმონ შავგულიძეა დასაფლავებული, დღეს საფეხმავლო ბილიკია. საფლავს ბეტონის ფილები ფარავს. ჩვენ, მისი შთამომავლები, ყოველ აღდგომის დღესასწაულზე მივდივართ იმ ადგილზე და სიმბოლურად, წითელ კვერცხს ვაგორებთ. მოვითხოვთ, რომ ნეშტი ქუთაისში მდებარე მწვანეყვავილას პანთეონში იქნას გადასვენებული ან საფლავის ადგილზე სიმბოლურად, რაიმე ნიშანი მაინც გაკეთდეს, რომ ყველასთვის ნათელი გახდეს, სად განისვენებს ქართველი ოფიცერი“.**

ქუთაისის მერიაში ამბობენ, რომ საკითხის განხილვა აუცილებლად მოხდება, თუკი ქუთაისელები ადგილობრივ თვითმმართველობას ოფიციალური წერილით მიმართავენ.

„ჯერჯერობით, ადგილობრივ თვითმმართველობაში ოფიციალური დოკუმენტი არ შემოსულა. საკითხს განვიხილავთ, როგორც კი მოგვმართავენ“, — განუცხადა „ვერსიას“ ვიცე-მერმა ამირან ძოწენიძემ.

ძველი ეკლესიისა და ქართველ გმირთა საფლავის ქვების ნანგრევები ქუთაისის ცენტრში დღემდე შემორჩენილია, თუმცა აქვე, ერთი პარადოქსული გარემოებაც არსებობს. აღნიშნული ქვები სკვერში არსებულ შრომის სოციალისტური გმირების მემორიალის ქვეშაა განთავსებული. ქუთაისელების ნაწილი ტაძრის აღდგენას ემხრობა, ნაწილი კი ამბობს, რომ სკვერში არსებული შრომის სოციალისტური გმირების მემორიალი სახეუცვლელი უნდა დარჩეს და მის დემონტაჟს ეწინააღმდეგება. 21-ე საუკუნეში აქტუალური „ქვათა ღაღადი“ და ურთიერთგამომრიცხავი ისტორიული ნაშთები, ზღვარი პატრიოტულ და ურაპატრიოტულ გმირობას შორის... აზრთა სხვადასხვაობას წერტილი, შესაძლოა, უახლოეს პერიოდში, ახალი ტაძრის აშენებით დაესვას.

ვერსიანიუსი

ომალის მოსახლეობამ ქართველ ჯარისკაცებს ავღანეთის მთავრობასთან შუამდგომლობა სთხოვა

საქართველოს შეიარაღებული ძალების I ქვეითი ბრიგადის მე-12 ბატალიონი ავღანეთში ISAF-ის მისიას ასრულებს. ჰელმანდის პროვინციაში დისლოცირებული ქართველი სამხედროები ყოველდღიურ საქმიანობას ახორციელებენ.

სოფელ შაბანში გეგმური ქვეითი პატრულირებისას, ქართველმა სამშვიდობოებმა რამდენიმე საეჭვო შენობა გაწმინდეს. სოფელში გადაადგილებისას ასეულის სამხედრო მოსამსახურეები ადგილობრივ გლეხსაც გაესაუბრნენ. მისი განცხადებით, ინტენსიური პატრულირება სოფლებში ამბოხებულებს თავისუფალი გადაადგილების საშუალებას უზღუდავს და მოსახლეობაც უფრო უსაფრთხოდ გრძნობს თავს. ქვეითი პატრულის ბაზაზე დაბრუნებისას, მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ერთ-ერთი გამოქვაბულიდან ქართველ ჯარისკაცებს მცირე კალიბრიანი იარაღიდან პირდაპირი ცეცხლი გაუხსნეს. სავარაუდო ცეცხლის მიმართულების დადგენის შემდეგ, ბრძოლაში ჩართვის წესების შესაბამისად, ქართველმა სამხედროებმა მოწინააღმდეგეს საპასუხო ცეცხლი გაუხსნეს. რამდენიმეწუთიანი ინტენსიური სროლების შედეგად, ამბოხებულებმა საცეცხლე პოზიციები დატოვეს და მიიმალნენ. პატრულირებისას ქართველი სამშვიდობოები ადგილობრივ მოსახლეობას ხშირად ესაუბრებიან. სოფელ ომალში გადაადგილებისას, I ქვეითი ბრიგადის მე-12 ბატალიონის ჯარისკაცებმა ე.წ. შურაზე (სოფლის უხუცესთა საბჭო) ადგილობრივებთან საგაზაფხულო სამუშაოებთან დაკავშირებული საკითხები განიხილეს. მათ ქართველ სამხედროებს მადლობა გადაუხადეს ბოლო დროს ჩატარებული წარმატებული ოპერაციებისთვის, რომლის შედეგადაც თალიბები ადგილობრივ მოსახლეობას იმდენად აღარ აწუხებენ. შეხვედრის დროს, ომალის მოსახლეობამ, მე-12 ბატალიონის ჯარისკაცებს ავღანეთის მთავრობასთან შუამდგომლობაც სთხოვა. მათი მთავარი პრობლემა სასმელი წყლის სიმცირე და სასოფლო-სამეურნეო მიწებისთვის საჭირო სასუქის ნაკლებობაა. ადგილობრივები ასევე, მიესალმებიან ქართული კონტინგენტის ძალისხმევას სამედიცინო დახმარების კუთხით. როგორც უხუცესები აღნიშნავენ, საჭიროების შემთხვევაში, ქართველი სამხედროები ხშირად აწვდიან მათ სხვადასხვა აუცილებელ მედიკამენტებსაც. „შურას“ დასრულების შემდეგ, ქართველმა სამშვიდობოებმა სოფლის მცხოვრებლებსა და ბავშვებს ტკბილეული, საკანცელარიო და პირველადი მოხმარების ნივთები დაურიგეს.

„ვერსიანიუსი“

ჰოროსკოპი
13 მარტი

ვერძი — ვერძები დღეს მოჭარბებული ენერგიით გამოირჩევიან, ნუ დაკარგავთ ენთუზიაზმს. უველაზე კარგი, რაც შეიძლება გააკეთოთ, სახლის კეთილმოწყობა ან ავეჯის განაახლებაა. ეს საქმე მოსაწყენი რომ არ იეოს, ოჯახის წევრებიც ჩართეთ.

კურო — დღეს როგორც უნდა გინდოდეთ, დრო საეკარელ ადამიანთან ერთად გაატაროთ, სჯობს, ამას თავი აარიდოთ. ვარსკვლავები გაფრთხილებენ, რომ კამათი გარდაუვალია, ამასთან თავადაც ვერ მიხვდებით, ისე მოულოდნელად მოხდება ეველაფერი. ასე რომ, სჯობს, განმარტოვდეთ და ბედნიერ მომავალზე იოცნებოთ.

ტყუპები — ტეუბებმა დღეს თავს უარი არაფერზე უნდა უთხრან, ზომიერების ფარგლებში, რასაკვირველია. ძალიან წაკადგებათ დასვენება მეგობრებთან ერთად, გასართობ კონკურსებში, შეჯიბრში მონაწილეობა. არ არის გამორიცხული, დღის ბოლოს სჩუქარი მიიღოთ ნაკლებად ნაცნობი ადამიანისგან.

კირჩხიბი — ამ ნიშნის წარმომადგენლებს დღეს ერთ-ერთ შეხვედრაზე საინტერესო ნაცნობობა ელით მნიშვნელოვან ადამიანთან, რომელზეც იქნება დამოკიდებული მათი შემდგომი კეთილდღეობა. შეცადეთ, ზედმეტი კაპრანჭვისა და წინასწარ მოფიქრებული ფრაზების გარეშე, თანამოსაუბრეზე სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინოთ.

ლომი — დღეს ლომებს სიამაეე არ მისცემს უფლებას, საკუთარი საუკეთესო თვისებები და უნარები გამოავლინონ. სავსებით შესაძლებელია, სადამოს ინანოთ, ასეთი შანსი რომ გაუშვით ხელიდან. მაგრამ არ ღირს, ხელი ჩაიქნიოთ, რადგან ნებისმიერი მცდელობა, უარეოფითიც კი, მეტ საბრძნეს შეგძენთ.

ქალწული — დიდია ალბათობა, რომ დღეს ქალწულებს სხვისი პრობლემების გადაჭრა, რჩევების მიცემა, რთული სიტუაციიდან გამოსავლის პოვნა მოუწევთ. შესაძლოა ასეთმა პერსპექტივამ არ აღგაფრთოვანოთ, მაგრამ დახმარებაზე უარის თქმას, ნამდვილად, ვერ შეძლებთ.

სასწორი — მთელი დღე თაეგანისმცემელთა ეურადღების ცენტრში იქნებით. თქვენი მომხიბვლელობა და შარმი დამშვიდების უფლებას არ მისცემს ამ ადამიანებს. გაქვთ არჩევანი: ამ სიტუაციიდან ან სარგებელი ნახოთ, ან ისე დაიჭიროთ თავი, თითქოს ვერაფერს ამჩნევთ.

ღრიანკალი — დღეს სიტუაცია გაიძულებთ, ფინანსებზე დაფიქრდეთ. შესაძლოა, რაიმე საინტერესო იდეა გაგიჩნდეთ იმასთან დაკავშირებით, როგორ გაეუმჯობესოთ მატერიალური მდგომარეობა, თუმცა, შესაძლოა, ეოფილი კოლეგებისგან ან ძველი მეგობრებისგან მიიღოთ საინტერესო წინადადება.

მშვილდოსანი — მშვილდოსნები გადამწყვეტი მოქმედებებისთვის ან სერიოზული საუბრისთვის უნდა მოემზადონ. ამის ინიციატორი თქვენი ნაცნობი ადამიანი იქნება, თუმცა მთელი უბედურება ის არის, რომ სწორედ ახლა არ ხართ მზად მოკლენების რადიკალური ცვლილებებისთვის. სჯობს, კარგად მოემზადოთ ან დრო გაწელოთ.

თხის რქა — სახლის საზრუნავი იძულებულს გაგხდით, დღევანდელი გეგმები შეცვალოთ. არ არის გამორიცხული, რომ საინტერესო ვახშამზე მოგიწიოთ უარის თქმა, მაგრამ ეს „მსხვერპლი“ ამად ღირს.

მერწყული — მერწყულებს დღეს დაუოკებელი ფანტაზია შემოქმედებითი პროცესის მიუწვდომელ მწვერვალამდე აეეგანს. თუკი შეგიძლიათ საკუთარი ნაჭის გამოეენება, მთლიანად ჩაეფლეთ ხელოვნების სამყაროში. ხოლო თუ ეს უცხოა თქვენთვის, მაშინ უბრალოდ, კინოში წადით.

თევზები — ბევრი ადამიანი შეეცდება თქვენთვის ნერვების მოშლას, მაგრამ შეძლებთ, ეველა წინააღმდეგობა გადალახოთ და თავი აარიდოთ კონფლიქტებს. თვალი მიადევნეთ გარშემოეოფების ქცევებს. ახლა შესანიშნავი შანსი გაქვთ, თქვენი ნაცნობების ნამდვილი სახე შეიცნოთ, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში სხვადასხვა ნიღაბს ირგებდნენ.

სიმსივნის საწინააღმდეგო ვაქცინას თამბაქოსგან მიიღებენ

სტენფორდის უნივერსიტეტის თანამშრომლებმა წარმატებით გამოსცადეს ლიმფომას საწინააღმდეგო ვაქცინა, რომელიც გენმოდიფიცირებული თამბაქოს ფოთლებისგან მიიღეს. ახალი ტექნოლოგია საშუალებას იძლევა, პაციენტის მკურნალობისთვის საჭირო რაოდენობის პრეპარატი ერთი კვირის განმავლობაში მიიღოს. მეცნიერების მიერ შემუშავებული თერაპევტული ვაქცინა ხელს უწყობს ანტისხეულების გამომუშავებას, რომლებიც ავთვისებიან უჯრედებს ანადგურებენ. რადგან ფოლიკულარულ ლიმფომებს სხვადასხვა ანტიგენური თვისებები აქვს, ვაქცინის ოპტიმალური შემადგენლობა ყოველი ავადმყოფისთვის ინდივიდუალურად შეირჩევა. თავიდან, ვირუსის მეშვეობით, მცენარეში გენეტიკური მასალა შეჰყავთ, ერთი კვირის შემდეგ, მის ფოთლებში საკმაო რაოდენობის ანტიგენი-ცილა გროვდება, რომელთა ექსტრაჰირებაც ადვილად შეიძლება და მერე ვაქცინას პაციენტს უკეთებენ. პრეპარატის კლინიკურ გამოცდაში 16 ავადმყოფი მონაწილეობდა. არც ერთ მათგანში ვაქცინას არსებითი გვერდითი რეაქციები არ გამოუწვევია. სპეციფიკური იმუნიტეტი კი პაციენტთა 47 პროცენტში გამომუშავდა. მცენარეული ვაქცინის კიდევ ერთი უპირატესობა მისი დაბალი თვითღირებულებაა.

შენდემა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის საკანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

ზარის ღირებულება 1 ლარი

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205. გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი). სს „კორ სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!

ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

ჰღანეტა
იუპიტერის თანამგზ.
დიდი ხვლიკი
სპარსი მწერალი
აღამიანის ორგანო
სამასალე ხე
ქართული ანსამბლი
ძირითადი საბუთი
სისხლ ძარღვი
სპორტული ფირმა
მდინარე რუსეთში
მხტვრ. მაფორ მეზა
ქრისტი ანული სიმბოლო
საგელი ცინო სითხე
სოფელი გურიაში
ცყის მცველი
ცხოველთა სამყარო
ჰატარა ანუ..
ტლაპო ანუ..
ბამბუკის ღათვი
რეკორდების წიგნი
ცისტრუსი
ლატვიელი ბალერონი
მარეული ფრინველი
თვე
ფართო გზა
ეიგარ ..
გაღია
ქალაქი ქართლში
თიხის ლოქი
ხელფასის ნაწილი
ფანდი ანუ..
ხ

ლი

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები



ადვილი

9	4	6	1	3	8	2	7	5
8	7	5	2	4	6	3	1	9
3	2	1	9	7	5	8	4	6
1	9	2	4	8	7	5	6	3
7	6	4	5	2	3	1	9	8
5	3	8	6	1	9	4	2	7
6	1	9	8	5	2	7	3	4
4	8	3	7	9	1	6	5	2
2	5	7	3	6	4	9	8	1

რთული

6	1	3	9	4	5	2	8	7
7	2	8	3	6	1	9	5	4
4	9	5	8	7	2	6	3	1
9	6	4	2	3	8	1	7	5
5	7	2	4	1	6	8	9	3
8	3	1	7	5	9	4	6	2
3	8	9	1	2	7	5	4	6
2	5	7	6	9	4	3	1	8
1	4	6	5	8	3	7	2	9

საშუალოზე

3	2	9	7	1	8	6	5	4
8	5	7	4	6	3	2	1	9
4	6	1	9	5	2	3	8	7
2	1	8	6	9	4	7	3	5
5	7	4	3	2	1	9	6	8
6	9	3	8	7	5	4	2	1
7	3	5	2	8	9	1	4	6
1	4	6	5	3	7	8	9	2
9	8	2	1	4	6	5	7	3

ეჯსკერტი

6	2	8	5	3	1	9	4	7
1	7	5	9	6	4	8	3	2
4	9	3	7	2	8	1	6	5
9	6	7	4	1	5	3	2	8
8	5	2	6	9	3	7	1	4
3	1	4	2	8	7	6	5	9
7	3	1	8	5	2	4	9	6
2	4	9	3	7	6	5	8	1
5	8	6	1	4	9	2	7	3

ჰოროსკოპი
14 მარტი

ჯერი — ნუ დაივიწყებთ, რომ უველაფერი, რაც კი დიდი შრომის შედეგად შექმენით, ადრე თუ გვიან, ხელშესახებ რეზულტატს მოგცემთ. ჰოდა, სწორედ ახლა დადგა ასეთი დღე. შეგიძლიათ იგემოთ თქვენი შრომის ნაყოფი.

კურო — ახლა თქვენთვის მოგზაურობა პრიორიტეტული ამოცანაა, რომელსაც უპრობლემოდ გაუმკლავდებით. შეეცადეთ თუნდაც, მცირე გადაადგილება მოახდინოთ სივრცეში და მაშინვე შეიგრძნობთ, რა ახლოს ხართ წარმატებასთან.

ტყუპები — ტყუპებს პირად ცხოვრებაში ცვლილებები ელით და, რასაკვირველია, უკეთესობისკენ. მხოლოდ თავად უნდა იყოთ შინაგანად დარწმუნებული, რომ ეს ნამდვილად გინდათ. ნებისმიერი დაეჭვება შეაფერხებს პოზიტიური მოვლენების განვითარებას. შეეცადეთ, მსგავსი არაფერი დაუშვათ.

კირჩხიბი — დღეს აუცილებელია გაიხსენოთ, რისი გაკეთება გინდოდათ ძალიან და გადაგავიწყდათ. სწორედ ახლაა დრო, განახორციელოთ ის, რაც თქვენი ქვეცნობიერის სიღრმეშია დაფარული. დახმარებას კი ინტუიცია და ტელეფეზიით სრულიად შემთხვევით მოსმენილი რჩევები გაგიწევთ.

ლომი — ლომებს საკუთარ ოპონენტებთან ინტელექტით გაჯიბრება მოუწევთ. საქმე კამთამდე არ მივა, მაგრამ რეპუტაციისა და ავტორიტეტის დაცვა კი დაგჭირდებათ. კარგია, თუ თქვენს მხარეს ერთგული ფანატებისა და გულშემატკივრების მხარდაჭერა იქნება. თუ ნამდვილად შეძლებთ ლოგიკურად აზროვნებას, გამარჯვება აუცილებლად თქვენ დაგრჩებათ.

ქალწული — ქალწულებს ემოციური დღე ელით. სადაც უნდა იმეოფებოდეთ, მომხდარს ძალიან მწვავედ აღიქვამთ და გულთან ახლოს მიიტანთ. კარგი იქნება, თუ ცოტათი მაინც მოახერხებთ სიტუაციისგან ჩამოშორებას და მოვლენებს გვერდიდან შეხედავთ.

სასწორი — დღეს ჩვეულებრივზე მეტი ეურადღება გმართებთ და თვალი გეჭიროთ საკუთარ ნივთებზე. არ არის გამორიცხული წვრილმანი ქურდობა და დანაკარგი. შეეცადეთ, არ მიიღოთ მონაწილეობა მასობრივ ღონისძიებებში და დიდ თანხას ნუ ატარებთ.

ღრიანკალი — ამ ნიშნის წარმომადგენლებს ტექნიკის მცირე გაუმართობა, კავშირის სისტემების გაწეტა, ელექტრონული წერილების შეფერხებაც კი გააღიზიანებთ. არ ღირს, დღეს დაგეგმოთ მნიშვნელოვანი ინფორმაციის გაცვლა ინტერნეტით ან მობილური ტელეფონით, მინიმუმით შემოიფარგლეთ და ეს თქვენვე წაგადგებათ.

მშვილდოსანი — მშვილდოსნებს დღეს სტუმრად ძველი მეგობრები და ახალი ნაცნობები დაპატიჟებენ. თუკი არჩევანის გაკეთება გაგიჭირდებათ, წიღი ეარეთ. ბედი არ მოგატეუებთ, შეხვედრა მხიარულად და თავისუფალ გარემოში ჩაივლის. შესაძლოა, ამავდროულად, ხელსაყრელ შეთანხმებასაც მიაღწიოთ.

თხის რქა — ამ ნიშნის წარმომადგენლებს დღეს ვარსკვლავები აჩქარებას არ ურჩევენ. სხვათა შორის, ეს ადვილად გამოგივათ, მაგრამ შეეცადეთ, არც თქვენმა ახლობლებმა და მეგობრებმა დააჩქარონ მოვლენები. სიჩქარეში შეიძლება რადაც მნიშვნელოვანი გამოგრჩეთ და მთავარი მიგავიწყდეთ. ეცადეთ, უველაფერი რამდენჯერმე შეამოწმოთ.

მერწყული — მერწყულებისგან ნათესავები დღეს ვიზიტს ელოდებიან. ნუ გაუტრუებთ ამ მოლოდინს საუკარელ ადამიანებს, გამონახეთ დრო და მოინახულეთ. ამასთანავე, გაუზიარეთ მათ თქვენი სიახლეები, მომავლის გეგმები. მათი მხარდაჭერა დაგეხმარებათ, მომავალში არჩეული გზიდან არ გადახუვიოთ.

თევზები — ნუ მიაპერობთ მზერას წარსულს. შეაფასეთ ის, რაც გააკეთეთ, შედეგები შეაჯამეთ, გაანალიზეთ შეცდომები და მათი აღმოფხვრის გზები ეძიეთ. ახლა საუკეთესო დროა ახლო მომავლის გეგმების დასაწყობად. ისე.. სჯობს, საკუთარი აზრები ჩაიწეროთ, რადგან ისინი ადვილად დაიკარგება ეოველდღიურ ფაციფუცში.

სასტუმრო მიცვალებულებისთვის

იაპონიის ქალაქ იოკოჰამას გარეუბანში მდებარე სასტუმრო, სახელწოდებით Lastel, დიდად არაფრით განსხვავდება სხვა ნებისმიერი ოტელისგან, რომლითაც მოფენილია ეს საპორტო ქალაქი. ის ზოგჯერ „სასიყვარულო“ დაწესებულება ჰგონიათ, სადაც წყვილს რამდენიმე სასიამოვნო საათის გატარება შეუძლია, თუმცა აქ მსგავსს ვერაფერს ნახავთ. ნაცრისფერი ფილებით მოპირკეთებული შენობა სასტუმროა გვამებისთვის, სადაც 18 მიცვალებულის დაბინავება შეიძლება კომფორტულ, გრილ კუბოებში. კლიენტებს ვაფრთხილებთ, რომ ჩვენ მხოლოდ ცივი ნომრები გვაქვს, — აცხადებს სასტუმროს მფლობელი. Lastel-ში ერთი დღის გატარება 12 000 იენი (157 დოლარი) ღირს. ამ თანხის გადახდის შემდეგ, ოჯახი, რომელმაც ახლობელი დაკარგა, მას ნომერში მოათავსებს და მშვიდად დაელოდება რიგს კრემატორიუმში. ახლა, როცა ამომავალი მზის ქვეყანა უძრაობის პერიოდშია, სიკვდილი სარფიან ბიზნესად იქცა. ბოლო წლებში ქვეყანაში მნიშვნელოვნად გაიზარდა სიკვდილიანობა და ეს მაჩვენებელი კვლავაც ზემოთ მიიწევს. პროგნოზების მიხედვით, 2040 წელს პიკს მიაღწევს, როცა დემოგრაფიული აფეთქების დროს დაბადებული იაპონელების თაობა გაქრება. ამ პერიოდისთვის ქვეყნის მოსახლეობაც 20 მილიონამდე შემცირდება. მიუხედავად ეკონომიკური ვარდნისა, აქაურები დაკრძალვის ცერემონიებზე ეკონომიას არ აკეთებენ და დაახლოებით 1,2 მილიონ იენს (16 000 დოლარი) ხარჯავენ ყვავილებზე, კუბოსა თუ სხვა საჭიროებაზე, რაც მთლიანობაში, წელიწადში დაახლოებით, 21 მილიარდ დოლარს შეადგენს.

სიკვდილით დასჯის უცნაური მიზეზები

გასულ საუკუნეებში უამრავი ადამიანი, დამნაშავე თუ უდანაშაულო სიკვდილით დასაჯეს. ზოგის მიმართ ბრალდებები, შესაძლოა, ძალიან მძიმე იყო, მაგრამ ისტორიაში ცნობილია ისეთი ფაქტებიც, როცა ადამიანს ძალიან უცნაური და ზოგჯერ სასაცილო მიზეზების გამო ასალმებდნენ სიცოცხლეს. სწორედ ასეთი ფაქტების ტოპ-ათეული შეადგინა ერთ-ერთმა გამოცემამ. რეიტინგის ბოლო საფეხურზე შუა საუკუნეების ინგლისია — აქ სერიოზულ დანაშაულად ითვლებოდა უცხოელთან რომანის გაბმა. ნისლიანი ალბიონის ყველა მცხოვრებს, ვისაც მსგავს „დანაშაულში“ ამხელდნენ, სიკვდილით დასჯა გარანტირებული ჰქონდა. მე-9 პოზიციაზე ჩინელები არიან: აქ სიკვდილით სჯიდნენ ადამიანებს, რომლებიც ისტორიას ამახინჯებდნენ. ქვეყანაში სპეციალურად დაქირავებული ხალხი აკონტროლებდა ისტორიის სწორად გადმოცემას. ამ უჩვეულო მიზეზთა სიაში, რასაკვირველია, ინკვიზიტორებიც მოხვდნენ. ისინი ჯადოქრობის ბრალდებით, ცოცხლად წვავდნენ ადამიანებს. თუმცა, ამ „დანაშაულისთვის“ არასოდეს გაუსამართლებიათ 50 კილოგრამზე მეტი წონის ქალბატონები, მიზეზი კი ის იყო, ცოცხი (ჯადოქრების აუცილებელი ატრიბუტი) 50 კილოზე მეტ წონას ვერ გაუძლებსო. სასიკვდილო განაჩენი გამოჰქონდათ ფილოსოფოსებისთვისაც, რომლებიც საკუთარ ნაშრომებში ღმერთის არსებობას უარყოფდნენ.

შუა საუკუნეების ფლორენციაში დამნაშავეებს აზნაურობას ანიჭებდნენ და ასე სჯიდნენ. ინგლისში სიკვდილით სჯიდნენ მათ, ვინც ოქროს დამზადებისას იაფფასიან მეტალს გამოიყენებდა. სასიკვდილო განაჩენი ელოდათ ძველ საბერძნეთში იმათ, ვინც საერთო პლანტაციებიდან ნაყოფს მოიპარავდა. სიცოცხლესთან გამოსალმება უწევდათ რუსეთშიც მათ, ვინც სახელმწიფო ხაზინიდან ფულს მოიპარავდა. სპარსეთში კი, ცივი ლუდის დამზადებაში ეჭვმიტანილს ორი გამოსავალი ჰქონდა — ან თავად უნდა ესვა ბლომად ეს ქარვისფერი სასმელი და ასე მომკვდარიყო, ანდა, ლუდით სავსე კასრში აგდებდნენ და ახრჩობდნენ.

სპორტული ფეხსაცმელი Google-ისგან

კომპანია Google-მა ცოტა ხნის წინ, ტეხასში, ქალაქ ოსტინში მიმდინარე კონფერენციაზე SXSW Interactive ექსპერიმენტული, „მოლაპარაკე“ ფეხსაცმელი (Talking Shoe) წარადგინა. ახალი სპორტული ფეხსაცმელი მის მფლობელს სიზარმაცის დაძლევასა და სპორტული სტილით ცხოვრებაში დაეხმარება. აღსანიშნავია, რომ Google-მა ბოტასი კომპანია Adidas-თან ერთად შექმნა. მათი ინჟინრების ჩანაფიქრით, ჭკვიანმა ფეხსაცმელმა ადამიანს სპორტულად ცხოვრების მოტივაცია უნდა მისცეს. „მოლაპარაკე“ ბოტასმა შეიძლება, იბუზღუნოს და პასიური ცხოვრების გამო, პატრონს „ზარმაცი“ უწოდოს ან პირიქით, ფიზიკური აქტივობა შეუქოს. ახალი ფეხსაცმელი პედომეტრით, გიროსკოპითა და აქსელომეტრითაა აღჭურვილი. მასში ჩამონტაჟებული დინამიკები კი პატრონთან ურთიერთობისა და მწვრთნელის ფუნქციის შეთავსების შესაძლებლობასაც იძლევა. გარდა ამისა, Google-ის ფეხსაცმელი, Bluetooth-ის მეშვეობით, სმარტფონს ან კომპანიის ახალ პროდუქციას — „დამატებითი რეალობის“ სათვალეს უერთდება. აღსანიშნავია, რომ Google ამ „ჭკვიანი“ ფეხსაცმლის სერიულ გამოშვებას არ გეგმავს. ჩვენი მიზანია, ახალგაზრდობას საკუთარი მოდელების შექმნა შთავაგონოთ: ამისთვის სიახლის დეტალებს ჩვენს საიტზე გამოვაქვეყნებთ და ყველა მსურველს შეეძლება, საკუთარი „ჭკვიანი“ ფეხსაცმელი შექმნას, — აცხადებენ კომპანიის წარმომადგენლები.

სუდოკუ

ადვილი

			3	1			8	
		9			6		2	4
			5					
3		5	4					1
		1		6		8		
9					1	6		7
					3			
7	2		6			1		
	1			2	4			

სტანდარტი

				6	5			
6		4		2	1		8	
							6	3
5					8		7	
		3				1		
	2		7					9
9	8							
	6		2	3		8		4
			8	7				

რთული

	8		2					
3			1		7		5	
1		4			3			
2					1			6
	1			3			4	
4			9					8
			5			4		1
	9		4		8			3
					6		9	

ექსპერტი

			3				8	
3						4		
8			9	4			3	2
4		1			6	5		
			5		4			
		3	7			2		1
7	6			8	2			9
		2						4
	4				3			

ასპირინი კიბოს რისკს აკლებს

კვლევების შედეგად დადგინდა, რომ ასპირინის მიღებას შეუძლია, მანდილოსნები კანის კიბოსგან დაიცვას. ბრიტანელი მეცნიერების განცხადებით, რაც უფრო ხშირად იღებთ ტკივილგამაყუჩებელ საშუალებას, მით უფრო მცირდება მელანომის განვითარების რისკი, რაც სწავლულების მიერ 12 წლის განმავლობაში, სუსტი სქესის 60 ათას წარმომადგენელზე ჩატარებულმა კვლევებმა უკვე დაადასტურა. როგორ მოქმედებს ეს პრეპარატი მამაკაცებზე, უცნობია, რადგან გამოკვლევა ძლიერ სქესზე არ ჩატარებულა. ნისლიან ალბიონზე, ყოველწლიურად, დაახლოებით 13 ათას ადამიანს უსვამენ ავთვისებიანი მელანომას დიაგნოზს, აქედან 2 200 იღუპება, რაც გამოწვეულია მზის აბაზანების მიღებითა და სოლარიუმის ხშირი სტუმრობით. ბრიტანელი მკვლევარების თქმით, ასპირინი ებრძვის ანთებით პროცესებს, რასაც ვერ ახერხებს სხვა ტკივილგამაყუჩებელი საშუალებები.

ენეტიკური მუტაცია მეხსიერებას აუმჯობესებს



კანადელმა სწავლულებმა აღმოაჩინეს გენეტიკური მუტაცია, რომელიც მეხსიერების გაუმჯობესებას უწყობს ხელს. მკვლევართა აზრით, ეს აღმოჩენა ხელს შეუწყობს ახალი პრეპარატების შექმნას, რომელიც ალცჰეიმერისა და სხვა ნეიროდეგენერაციული დაავადებების მკურნალობას გააადვილებს. თაგვებზე ჩატარებული ექსპერიმენტისას, მონრეალის უნივერსიტეტის სპეციალისტები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მღრღნელები, რომელთაც eIF2a-გენის (ის პროტეინის სინთეზის კოდირებას ახდენს) დეფექტური ვერსია ჰქონდათ, უკეთესად ასრულებდნენ დავალებებს. კერძოდ, აუზში გაშვებული მუტანტი-თაგვები უფრო ადვილად პოულობდნენ წყალქვეშ მცირე პლატფორმას და ფეხზე დგებოდნენ.

მკვლევარების თქმით, მუტანტი გენის მქონე მღრღნელები თანამოძმეებისგან გამოირჩეოდნენ და იმის დასამტკიცებლად, რომ თაგვების უჩვეულო უნარი სწორედ მუტაციურ გენს — eIF2a-ს უკავშირდება, მეცნიერებმა ცხოველების ორგანიზმში ხელოვნურად გაზარდეს ამ პროტეინის დონე, რის შემდეგაც მათ აშკარად გამოუვლინდათ მეხსიერების დარღვევის ნიშნები. კანადელი სწავლულების მოსაზრებით, პრეპარატებმა, რომლებიც ადამიანის ორგანიზმში ცილა eIF2a-ს ბლოკირებას იწვევს, შესაძლოა, დიდი დახმარება გაუწიონ ავადმყოფებს, რომლებიც მეხსიერების დაქვეითებით იტანჯებიან.

პოლონელებმა მწერების ჭამა დაიწყეს

ორიგინალური კერძების მოყვარულებს შეუძლიათ, ახლა ბილეთი იყიდონ და ვარშავაში გაემგზავრონ — სწორედ აქ, პოლონეთის დედაქალაქში გაიხსნა რესტორანი, სადაც კერძებს მწერებისგან ამზადებენ. ასეთი სამზარეულოს გასინჯვის მსურველების რიგები იქ უკვე დგას, დაწესებულება კი ცნობისმოყვარე კლიენტებს სთავაზობს კერძებს კალიებისგან, მატლებისგან, ციცინათელებისა და სხვა ათასგვარი მწერისგან. რესტორნის მფლობელების თქმით, ასეთი საკვები გაცილებით ჯანსაღია, ვიდრე თევზისა და ხორცის კერძი. ვარშავის კვების ახალი ობიექტისთვის მწერები სპეციალურ პირობებში, სპეციალიზებულ ფაბრიკაში გამოჰყავთ. რესტორნის შეფ-მზარეული აცხადებს, რომ მძაფრი შეგრძნების მოყვარულთ პერიოდულად მოუწყობს სიურპრიზს და ეგზოტიკურ კერძებს მოამზადებენ მორიელებითა თუ აფრიკული ლოკოკინებით. მწერებიანი კერძების დაგემოვნება კი, დაახლოებით, 30 ევრო ჯდება.

ცეცხლოვანი მასაჟი დაბერების წინააღმდეგ

ჩინელებმა დაბერების პროცესთან საბრძოლველად ახალი საშუალება მოიფიქრეს, ეგრეთ წოდებული სახის ცეცხლოვანი მასაჟი. კოსმეტოლოგები სპირტში დასველებულ პირსახოცს იყენებენ და კლიენტს სახეზე „სპეციალურ ელექსირს“ ადებენ, რომელსაც ცეცხლს უკიდებენ. ასეთი მეთოდი არა მხოლოდ ასტიმულირებს კანს, არამედ ეფექტურია ზოგიერთი დაავადების სამკურნალოდ, მათ შორის სურდოსიც. ეს მასაჟი ჭარბ წონასაც ებრძვის. სპეციალისტები კი აცხადებენ, რომ „ცეცხლოვანი მასაჟი“ სრულიად უსაფრთხოა, სპეციალური „ელექსირის“ გამოყენებით კანი ხურდება, არ იწვის და ამ უჩვეულო მეთოდის ერთ-ერთი ახსნა იმაში მდგომარეობს, რომ ძლიერი სიცხე ადრენალინის რეაქციას იწვევს, რაც ორგანიზმის ქიმიურ მდგომარეობას ცვლის.

ხელფასს ლატარიაში ათამაშებენ

არგენტინაში, ბიალეტ მასის საქალაქო მეურნეობის თანამშრომლები საკუთარი ხელფასის მიღების უფლებას ლატარიაში ათამაშებენ. ეს ერთადერთი გამოსავალია იმ რთული ვითარებიდან, რაც ბიუჯეტის შეკვეცამ გამოიწვია. ხელფასისთვის გამოყოფილი თანხები არასაკმარისი აღმოჩნდა 92 თანამშრომლისთვის. ლატარიის ჩატარება კი მერმა ერთადერთ პატიოსან გამოსავლად მიიჩნია. მუნიციპალიტეტში შემოსული გარკვეული თანხა სხვა აუცილებლობისთვის იხარჯება, მაგალითად, ტურისტული ინფრასტრუქტურის შესანარჩუნებლად და ქალაქის უსაფრთხოებისთვის, სახანძროსთვის, დარჩენილ ფულს კი, ხელფასის მისაღებად, ლატარიაში გავათამაშებთ, — განაცხადა ბიალეტ მასის მერმა. ჯერჯერობით, საკუთარი ხელფასის მიღების უფლება გასულ თვეში მხოლოდ 23-მა ადამიანმა მოიპოვა, დანარჩენებს კი მოცდა მოუწევთ, როდის გაუღიმებს ფორტუნა.



გთხოვთ დავეხმაროთ!

ნატალია სარდლიშვილს ექიმებმა დაუსვეს სისხლძარღვოვანი კეთილთვისებიანი სიმსივნის დიაგნოზი. დაავადება საქართველოში არ იკურნება. სიმსივნე იწვევს ბავშვის ძლიერ დამახინჯებას და ასევე საფრთხეს უქმნის მის სიცოცხლეს, რადგან სიმსივნე გარდა სახისა განლაგებულია პირის ღრუში, თვალსა და ყურში. ნატალიას ჩაუტარდა მკურნალობის ნაწილი და მას აქვს გასაოცარი შედეგები. სამწუხაროდ, ოჯახს აღარ გააჩნია არავითარი საშუალება, მკურნალობის გასაგრძელებლად, რომელიც უნდა იქნეს ჩატარებული ბერლინში.

საბანკო რეკვიზიტები: GE22BG 0000000 893180100
(საქართველოს ბანკი)

მიმღები: არასამეწარმეო იურიდიული პირი „ჰემანგიომა2009“



დარეკეთ : 0 901 700 324

577-187704, 577-187705. ტრისტანი

Geocell Beeline

ჰემანგიომა

	ოთხშაბათი	ხუთშაბათი
თბილისი	+17	+18
ქუთაისი	+17	+22
ბათუმი	+17	+20
სოხუმი	+16	+19

	ოთხშაბათი	ხუთშაბათი
თელავი	+16	+18
გუდაური	+2	+4
ბაკურიანი	+4	+8
მესტია	+7	+9

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია, ნელი თორდია, დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.